

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი

კ ა ხ ა თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე

**სამეტყველო აგრესიის მექანიზმები საზოგადოებრივ-
პოლიტიკურ დისკურსში და მათი ტრანსფორმაცია თარგმანში**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ქეთევან სვანიძე

ასოც. პროფესორი

ბათუმი

2025

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კახა თავდგირიძე

თარიღი: 31.10.2024

სარჩევი

შესავალი	4
თავი I დისკურსის ლინგვისტური არსი და ჟანრობრივი ტიპოლოგია.....	13
§1.1 ექსკურსი დისკურსის ისტორიაში	13
§1.2 დისკურსის ლინგვისტური არსი თანამედროვე მეცნიერებაში.....	18
§1.3 დისკურსის სტრუქტურა და ჟანრობრივი ტიპოლოგია	25
§1.4 სოციალური და პოლიტიკური დისკურსი	44
თავი II. სამეტყველო აგრესიის თეორიული გააზრება	51
§2.1 სამეტყველო აგრესია, როგორც ენობრივი სამეცნიერო კვლევის საგანი; სამეტყველო აგრესიის ტიპოლოგია	51
§2.2 სამეტყველო აგრესია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში	74
§2.3 სამეტყველო აგრესიის ლინგვისტური ანალიზი.....	83
თავი III სამეტყველო აგრესიის მთარგმნელობითი ასპექტები	88
§3.1 თარგმანი როგორც მეცნიერება.....	88
§3.2 თარგმანი როგორც საქმიანობა.....	95
§3.3 თარგმანი როგორც ენობრივ-კულტურული მედიატორი.....	103
§3.4 მთარგმნელობითი საქმიანობის თანამედროვე გამოწვევები.....	108
§3.5 ლინგვოკრიმინალისტიკის ნიმუშები სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში და მათი თარგმნის პროცესი.....	112
დასკვნა.....	131
გამოყენებული ლიტერატურა:.....	135

შესავალი

თანამედროვე ენათმეცნიერება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსს აქტიურად შეისწავლის; მისი შესწავლა კი ენის, განსაკუთრებით სამეტყველო ენის შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია. რა არის ენა? „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ“ - ამბობს ილია ჭავჭავაძე.

ენა ურთულესი მოვლენაა; იმისათვის, რომ სრულფასოვნად შევისწავლოთ ენა, მკვეთრად უნდა განვსაზღვროთ ენათმეცნიერების ობიექტი. იგი განსაკუთრებული, უმნიშვნელოვანესი ფენომენია, რომელიც, პირველ რიგში, პიროვნების, შემდეგ კი საზოგადოების, ერისა და კაცობრიობის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. ე.ი. ენა საზოგადოებრივი მოვლენაა, როგორც ურთიერთობის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება (ჩიქობავა, 2008). მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ენის ძირითადი ფუნქცია ექსპრესიული (ლათ. „Expressio“) ფუნქციაა; ე.ი. ადამიანები ბგერითი ენის საშუალებით გამოვხატავთ საკუთარ აზრებს. ასევე, ენის უმნიშვნელოვანესი დანიშნულება საკომუნიკაციო (ლათ. „Communicacio“) ფუნქციაა. ენის საშუალებით ჩვენ ყოველდღიურად ვცვლით ინფორმაციას საზოგადოებასთან, ვამყარებთ კომუნიკაციას.

ენაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ მეტყველებაც. ენათმეცნიერებაში განასხვავებენ ენასა და მეტყველებას. ამ განსხვავების შემოტანა დაკავშირებულია ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის სახელთან. ენისა და მეტყველების გამიჯვნას **დიქოტომია** ეწოდება.

მეტყველება ენაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ენის რეალიზაციაა. შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა განყენებული აზროვნება.

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში „სამეტყველო აგრესიის მექანიზმები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში და მათი ტრანსფორმაცია თარგმანში“, ჩვენი კვლევის **საგანს** წარმოადგენს დისკურსის ლინგვისტური არსისა და ჟანრობრივი ტიპოლოგიის წარმოჩენა, ისევე როგორც, სამეტყველო აგრესიის თეორიული გააზრება და ბოლოს იმ მთარგმნელობითი ხერხების გაანალიზება, რომლის დახმარებითაც ვახორციელებთ სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში

კომუნიკანტების მიერ გაჟღერებული სამეტყველო აგრესიის ნიმუშების გადატანას წყარო ენიდან სამიზნე ენაზე.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმ სამეტყველო/ვერბალური აგრესიის ნიმუშების გამოვლენა, აღწერა და გაანალიზება, რომელთაც ადგილი აქვთ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში არსებული პოლიტიკური ვითარებისა და სოციალური სურათის ზეგავლენით; მათი გამომწვევი მიზეზების გამოვლენა, ენათმორისი ტრანსფორმაციების, სხვაობათა კულტურული თუ ეროვნული საწყისის შესწავლა და გაანალიზება. იმ ლინგვო-სოციალურ მახასიათებელთა გამოვლენა, რომლებიც განაპირობებენ სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის კონტამინირებული ბუნების არსებობას და მათ ანალიზს; ინტეგრირებული ბუნების მქონე სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის მთარგმნელობითი ასპექტების კვლევას და კვლევის ორი მიმართულებით (ერთი მხრივ სოციალური, მეორე მხრივ კი პოლიტიკური გარემოს გავლენა ენობრივ გამოხატულებასა და თარგმანზე - ენობრივი გამოხატულებისა და თარგმანის გავლენა სოციალურ-პოლიტიკურ გარემოზე) წარმართვას; ასევე, იმ რეკომენდაციების შემუშავებასა და თეორიული დებულებების სახით ჩამოყალიბებას, რომლებიც აღნიშნული სფეროს უკეთ შესწავლას, აღწერასა და მის განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენი მიზანი არ არის ამ ორი დისკურსის ბოლომდე განხილვა და ამოწურვა, რადგანაც გვესმის რომ ორივე მათგანი საკმაოდ ვრცელი დისკურსია; ჩვენი მიზანია იმ პოლიტიკური ვითარებისა და შემთხვევების სოციუმში ასახვაზე ვისაუბროთ, რაც დღევანდელობაში იკავებს ადგილს; ვაჩვენოთ ის, თუ როგორ ვრცელდება პოლიტიკა სოციუმში, რამდენად დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკა სოციუმზე;

ლინგვისტიკაში „დისკურსი“ გულისხმობს ენის ერთეულს, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე წინადადება; დისკურსის შესასწავლად საჭიროა გავაანალიზოთ წერილობითი და სასაუბრო ენის გამოყენება სოციალურ კონტექსტში.

დისკურსის ცნებას ისეთი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები გამოიყენებს, როგორებიცაა: ლინგვისტიკა, განათლება, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, კოგნიტური და სოციალური ფსიქოლოგია, კულტურის კვლევები,

საერთაშორისო ურთიერთობები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ბიბლიური კვლევები, თარგმანმცოდნეობა და სხვა.

ტერმინი „დისკურსი“ ლინგვისტურ კონტექსტებში ჩნდება 1952 წლიდან, ამერიკელი მეცნიერის ზელინგ ჰარისის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „დისკურსის ანალიზი“.

ჩვენი თემის აქტუალურობას განაპირობებს ქვეყანაში მიმდინარე როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური პროცესები, რომლებიც თანდათან უფრო დაძაბულ ელფერს იძენს და სამეტყველო აგრესიის გავრცელების საშუალებად იქცევა; აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამეტყველო აგრესია ბოლო პერიოდში ძალიან არის გავრცელებული როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ დისკურსში.

თემა ეფუძნება ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, როგორცაა:

2019 წლის 21 ივნისი („გავრილოვის ღამე“), საპროტესტო გამოსვლები და დარბევა თბილისში, რომელიც თბილისში მართლმადიდებლობის საპარლამენტათაშორისო ასამბლეის სესიის დროს, რუსეთის დუმის დეპუტატის - სერგეი გავრილოვის მიერ საქართველოს პარლამენტის იმდროინდელი თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის სკამის დაკავებასა და საქართველოს პარლამენტში რუსულ ენაზე ასამბლეის სესიის ჩატარებას მოჰყვა. რამდენიმე დღის შემდეგ, ქართველ ხალხში აღნიშნული ფაქტით გამოწვეული აგრესიის თავიდან ასაცილებლად და ტურისტული ბიზნესის ჩავარდნის მცდელობით, რუსეთი კრძალავს პირდაპირ ფრენებს საქართველოსთან;

ვინაიდან, ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვანი წილი რუსი ტურისტებისგან მიღებულ შემოსავალზე მოდიოდა, ტურიზმის სფერო აღმოჩნდა საფრთხის წინაშე; სწორედ ამან განაპირობა შემდეგი კამპანიის - „Spend Summer in Georgia – გაატარე ზაფხული საქართველოში“ წამოწყება, რის საფუძველზეც შეიქმნა „ფეისბუქ“ გვერდიც, სადაც ყოველდღიურად ქვეყნდებოდა სხვადასხვა სტატუსი, განცხადება, ფოტო, ვიდეო, გამოკითხვა - რომლებიც თემატურად, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ქართულ ტურიზმს უკავშირდებოდა - აღნიშნული კამპანია დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელი სეზონის მანძილზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ კამპანიაში ჩართული იყვნენ არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები, არამედ უცხოელი ტურისტებიც,

შემდეგ, 2020 წელს, კაცობრიობა დგება ისეთი გამოწვევის წინაშე, როგორცაა „Covid-19-ის“ პანდემიის გავრცელება, რაც თავის მხრივ უამრავი უარყოფითი დამოკიდებულების, შიშის, კარჩაკეტილობის, ასოციალიზაციისა და დისტანციური, ვირტუალური ცხოვრების საწყისად იქცა.

აღსანიშნავია 2022 წლის თებერვალი - უკრაინა-რუსეთის ომი და შესაბამისი კამპანიები;

2022 წლის მაისი - საქართველოსათვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების პროცედურები და უარის შედეგად წარმოქმნილი უარყოფითი განწყობა ქართველ ხალხში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიმართულებით ვრცელდებოდა და სხვა მსგავსი მოვლენები.

ვინაიდან ჩვენ ვსაუბრობთ რა სოციალურ-პოლიტიკურ ტექსტებზე, გვერდს ვერ ავუვლით პოლიტიკოსთა მეტყველებას, მათ მიერ გამოყენებული „სამეტყველო აგრესიის“ ნიმუშების კრიტიკულ ანალიზს, ისევე როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ სხვადასხვა სოციალურ ქსელში გავრცელებული მსგავსი სახის მაგალითების წარმოდგენასა და გააზრებას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა თანდათან უფრო აღრმავდება „სამეტყველო აგრესიას“ და თავის მხრივ, უფრო მეტად აქტიურად იწყებოდა სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის შესწავლაც.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, განვახორციელებთ შემდეგი ამოცანები: პირველ რიგში საუბარს ვიწყებთ დისკურსის რაობითა და ისტორიით, შემდეგ მიმოვიხილავთ სხვადასხვა მეცნიერის შეხედულებას დისკურსზე, ჩამოვყალიბებთ დისკურსის სტრუქტურასა და ტიპოლოგიას და ბოლოს, აღვწერთ სოციალური და პოლიტიკური დისკურსის მახასიათებლებს, რომელიც ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ასევე, დასახული მიზნის მისაღწევად განვსაზღვრეთ სხვა ისეთი ამოცანები, როგორცაა:

1. განვიხილოთ სამეტყველო აგრესია, როგორც ენობრივი სამეცნიერო კვლევის საგანი და წარმოვადგინოთ სამეტყველო აგრესიის ტიპოლოგია;
2. გავაანალიზოთ სამეტყველო აგრესიის როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური ასპექტები;
3. წარმოვადგინოთ სამეტყველო აგრესიის ლინგვისტური ანალიზი.

4. ვისაუბროთ თარგმანზე როგორც მეცნიერებაზე, ენობრივ-კულტურულ მედიატორზე, საქმიანობაზე და ბოლოს ყურადღება გავამახვილოთ თარგმანის თანამედროვე გამოწვევებზე.

და ბოლოს, მოცემულ დისერტაციაში, პრაქტიკული მაგალითების გაანალიზებით, წარმოვაჩინოთ ის, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს სამეტყველო აგრესია როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ დისკურსში; ალბათ მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ პოლიტიკოსის მიერ გაჟღერებული სამეტყველო აგრესიის ნიმუშები ასახვას ყოველთვის სოციუმში ჰპოვებს, ხალხი ისმენს, შემდეგ გამოიყენებს იგივე ფრაზებს; პოლიტიკოსთა მთავარი ამოცანაც ხომ ეს არის სიტყვით გამოსვლის დროს, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანის ყურადღება მიიპყრონ და მეტად მოახდინონ მათზე ზეგავლენა საუბრით თუ ქმედებით; ვერბალური აგრესია მანიპულაციის კარგ საშუალებად წარმოგვიდგება; ასევე აღსანიშნავია ისიც, თუ როგორ ვრცელდება ხალხის მიერ უარყოფითი კომენტარები და მიმართვები სოციალური ქსელებით, როგორ აფასებს საზოგადოება პოლიტიკას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ქვეყანაში მოვლენები ისე არ ვითარდება, როგორც მოსახლეობა მოელოდა; ამ დროს ხალხის მასებისგან წამოსული აგრესიის გავრცელება, უკონტროლო ხდება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის **ობიექტს** ძირითადად წარმოადგენს პოლიტიკოსთა მეტყველება, მათი გამოსვლები და საზოგადოების მიერ სხვადასხვა სოციალურ ქსელში გავრცელებული სტატუსები, კომენტარები, შენიშვნები და მიმართვები, რომლებშიც უხვადაა სამეტყველო აგრესიის ნიმუშები როგორც ქართულ, ისე რუსულ ან ინგლისურ ენებზე და წარმოადგენენ ისეთ ნიმუშებს, რაც სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის გააზრებისა და პრაქტიკული მაგალითებით გამდიდრებაში გვეხმარება.

ნებისმიერი კვლევა გულისხმობს კვლევისათვის საჭირო მეთოდების გამოყენებას; **მეთოდი** გახლავთ რეალობის პრაქტიკული და თეორიული ათვისებისა და გააზრების ხერხებისა და ოპერაციების ერთობლიობა (აროშიძე მ.). ჩვენ მიერ გამოყენებული ძირითადი მეთოდებია: დაკვირვება, აღწერა ანუ დესკრიფციული მეთოდი, რამაც საშუალება მოგვცა დაგვემუშავებინა ემპირიული მასალა და მოგვეწოდებინა მათი ინტერპრეტაცია; შედარების მეთოდი, რისი დახმარებითაც

მოვახერხეთ ქართულ და ინგლისურენოვანი სამეცნიერო აგრესიის ტექსტების შედარება და ანალიზი, კერძოდ კი იმ ტექსტების ანალიზი, სადაც გამოყენებული იყო სამეცნიერო-ვერბალური აგრესიის ნიმუშები; აღნიშნული მეთოდის დახმარებით შევძელით გვესაუბრა მოცემული ტექსტების მთარგმნელობით და ლინგვისტურ მახასიათებლებზე;

ნაშრომის **სამეცნიერო სიახლეს** წარმოადგენს ის, რომ აგრესიის ერთიანი ლინგვისტური ანალიზი არც თუ ისე ხშირად არის წარმოდგენილი და მოწოდებული მეცნიერთა მიერ; მით უფრო ნაკლებად არის განხილული და შესწავლილი მისი სოციალური და პოლიტიკური მახასიათებლები და აღნიშნულ სფეროებში გამოხატვის გზები, ენობრივი საშუალებების გამოყენების მიზნები და შედეგები ქართულ და ინგლისურ ენებში, პოლიტიკოსთა ან/და სამოქალაქო აქტივისტთა მიერ. ასევე, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება აღნიშნული ენობრივი ნიშნების მთარგმნელობითი ასპექტები.

ნაშრომის **თეორიულ ბაზას** წარმოადგენს აგრესიასა და სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის თემაზე დღემდე შექმნილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების (ქ. ადგიშვილი, ნ. გოგელია, ა. კოპალიანი, თ. მშვენიერაძე, ი. სალია, დ. ფანჯიკიძე, მ. ბეიკერი, ე. ბენვენისტი, ჯ. კეტფორდი, ო. კადე, პ. ნიუმარკი, ე. ნაიდა, ლ. ვიტგენშტეინი და სხვათა) ნაშრომების, დისერტაციების, მონოგრაფიებისა თუ სამეცნიერო სტატიების კრიტიკული ანალიზი, რასაც ეფუძნება სამეცნიერო აგრესიის პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური ასპექტებით კვლევა.

სადისერტაციო ნაშრომი მნიშვნელოვან **თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას** გაუწევს თარგმანმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებსა და იმ პირებს, ვინც დაინტერესებულია კულტურათმორისი კომუნიკაციითა და ენობრივი (სამეცნიერო) აგრესიის საკითხებით.

ჩვენ მიერ დასახულმა მიზნებმა და ამოცანებმა განაპირობეს სადისერტაციო ნაშრომის შემდეგი სახის სტრუქტურის ჩამოყალიბება: თავფურცელი, განაცხადი პლაგიატის შესახებ, სარჩევი, შესავალი, 3 თავი, 12 ქვეთავი, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. ნაშრომი წარმოდგენილია 148 გვერდზე.

ნაშრომის **შესავალ** ნაწილში ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი, მიზნები და ამოცანები,

მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგიური მხარე და ნაშრომის სტრუქტურა.

ნაშრომის პირველი თავი „დისკურსის ლინგვისტური არსი და ჟანრობრივი ტიპოლოგია“ ემდგინება ისეთი საკითხების მიმოხილვასა და ანალიზს, როგორცაა ცნების „დისკურსი“ რაობა და მისი სამეცნიერო კვლევის ისტორიას; დისკურსის ლინგვისტური არსის აღწერას თანამედროვე მეცნიერებაში; დისკურსის სტრუქტურისა და მისი ჟანრობრივი ტიპოლოგიის მიმოხილვას; სოციალური და პოლიტიკური დისკურსის ცნებების გამიჯვნასა და მიმოხილვას. აღნიშნული თავი თავის მხრივ შედგება ოთხი ქვეთავისგან: 1. ექსკურსი დისკურსის ისტორიაში 2. დისკურსის ლინგვისტური არსი თანამედროვე მეცნიერებაში; 3. დისკურსის სტრუქტურა და ჟანრობრივი ტიპოლოგია; 4. სოციალური და პოლიტიკური დისკურსი;

ნაშრომის მეორე თავი „სამეტყველო აგრესიის თეორიული გააზრება“ მიმოხილავს სამეტყველო აგრესიას, როგორც ენობრივი სამეცნიერო კვლევის საგანს; წარმოადგენს სამეტყველო აგრესიის ტიპოლოგიას; განიხილავს სამეტყველო აგრესიას პოლიტიკურ დისკურსში ერთი მხრივ და სამეტყველო აგრესიას სოციალურ დისკურსში მეორე მხრივ; წარმოადგენს სამეტყველო აგრესიის ლინგვისტურ ანალიზს; ავლენს მისი გამოყენების გზებსა და დანიშნულებას სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსებში; აღნიშნული თავი შედგება სამი ქვეთავისგან: 1. სამეტყველო აგრესია, როგორც ენობრივი სამეცნიერო კვლევის საგანი; სამეტყველო აგრესიის ტიპოლოგია; 2. სამეტყველო აგრესია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში; 3. სამეტყველო აგრესიის ლინგვისტური ანალიზი;

ნაშრომის მესამე თავი „სამეტყველო აგრესიის მთარგმნელობითი ასპექტები“ კი მოიცავს კვლევაზე დაფუძნებულ ისეთ ინფორმაციას, როგორცაა სამეტყველო აგრესიის ლინგვისტური ანალიზი მთარგმნელობით სპექტრში, სამეტყველო აგრესიის თარგმნის საკითხებსა და მის ეროვნულ-კულტურულ მახასიათებლებს. შედგება ხუთი ქვეთავისგან: 1. თარგმანი როგორც მეცნიერება; 2. თარგმანი როგორც საქმიანობა; 3. თარგმანი როგორც ენობრივ-კულტურული მედიატორი; 4. მთარგმნელობითი საქმიანობის თანამედროვე გამოწვევები; 5.

ლინგვოკრიმინალისტიკის ნიმუშები სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში და მათი თარგმნის პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში თავმოყრილია ყველა იმ თეორიული თუ პრაქტიკული მაგალითის წყარო, რომლებიც გამოყენებულია დისერტაციაზე მუშობის დროს.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ისევე როგორც კომუნიკაციური საშუალებების გაუმჯობესებამ, ბევრ ცვლილებასთან ერთად გამოიწვია სოციუმში სამეტყველო აგრესიის გაზრდაც;

აგრესიის ფენომენის შესწავლა წარმოადგენს ინტერდისციპლინური კვლევის საგანს; აღნიშნულით დაინტერესებულია ისეთი მეცნიერებები, როგორცაა: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, სამეტყველო აქტების თეორია, ლინგვისტიკა და სხვა.

აქვე აღსანიშნავია ის მოვლენაც, რომ სამეტყველო აგრესიის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო; მანამდე კი რაღა თქმა უნდა, ის მხოლოდ პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა.

სადი აზრის დონეზე თითქოსდა ნათელია თუ რა იგულისხმება აგრესიის ცნებაში, მაგრამ ცნების დონეზე მისი განმარტება არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა. სირთულეს ის მდგომარეობაც ჰქმნის, რომ ტერმინი „აგრესია“ მრავალ განსხვავებულ მნიშვნელობას აერთიანებს. ყველაზე მარტივი ბიჰევიორისტული ორიენტაციის ფსიქოლოგიური თეორიების განმარტებით, აგრესიულია ქცევა, რომელიც ვნებს სხვას.

ბოლო წლებში ენათმეცნიერებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა კონცეპტუალური სივრცის სხვადასხვა სეგმენტის ვერბალიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესწავლაში, თუმცა „აგრესიის“ ცნება ლინგვისტიკაში არასაკმარისად არის შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ის როგორც კულტურის მხრივ, ისე თანამედროვე ადამიანის კონცეფციის სფეროს სოციალურად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

რატომ არის ადამიანი აგრესიული? ეს საკითხი ყოველთვის განსჯის საგანს წარმოადგენდა. გამოითქვა მრავალი მოსაზრება, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც კი. ამ აზრთა სხვადასხვაობაში მაინც მოხერხდა ამხსნელი თეორიების კლასიფიცირება და გამოიყო აგრესიულობის სამი ბაზისური წყარო: 1. შინაგანი

დეტერმინანტები; 2. გარეგანი პირობებით აღძრული მოთხოვნილება და 3. არსებული სოციალური პირობა, რომელსაც ემატება ადრინდელი შეძენილი გამოცდილება.

მეცნიერები დიდი ხანია დაიბნევიან იმაზე, აგრესიულობა თანდაყოლილი ფენომენია თუ შეძენილია გამოცდილებით. ჯერ კიდევ ჟან ჟაკ რუსო თვლიდა, რომ ადამიანები თავიანთი ბუნებრივი მდგომარეობით კეთილები არიან, მაგრამ საზოგადოება მათ თავს ახვევს აგრესიას.

ზიგმუნდ ფროიდის აზრით, აგრესიის ენერჯია რაღაც ფორმით უნდა გამოვლინდეს, ანუ უნდა მოხდეს მისი განტვირთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი დაგროვება, რამაც შეიძლება მთელი რიგი ფსიქიკური დარღვევები გამოიწვიოს. აღნიშნულ თეორიას „ჰიდრაულიკურ თეორიას“ უწოდებენ.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აგრესია მომდინარეობს გარემო პირობებით განპირობებული მოთხოვნილებიდან ზიანი მიაყენონ ან აწყენინონ სხვას. გარკვეული გარემო პირობები წარმოშობს ძლიერ მოტივს განხორციელდეს ზიანის მომტანი ქცევა. ასეთ აგრესიულ მოთხოვნილებას თავის მხრივ მივყავართ სხვების წინააღმდეგ მიმართულ ქცევამდე. აღნიშნული მიდგომა ცნობილია როგორც ფრუსტრაცია - აგრესიის ჰიპოთეზა.

ადამიანური აგრესიის ერთ-ერთ თეორიულ პერსპექტივას წარმოადგენს ე.წ. სოციალური დასწავლის თეორია. ამ თვალსაზრისის მხარდამჭერები (ალბერტ ბანდურა, იჟაკ ბერკოვიჩი, ალისა ბერონი) ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ აგრესია, პირველ რიგში, განიხილება როგორც სოციალური ქცევის ფორმა. ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ ადამიანი არ იბადება აგრესიული რეაქციების ფართო არეალების დისპოზიციით. ქცევის აგრესიულ ფორმებს ისინი განიხილავენ როგორც ქცევის შეძენილ ფორმებს და მათი დასწავლა ხდება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა რამის დასწავლა.

თავი I დისკურსის ლინგვისტური არსი და ჟანრობრივი ტიპოლოგია

§1.1 ექსკურსი დისკურსის ისტორიაში

დისკურსის ანალიზი, როგორც ლინგვისტური მიმდინარეობა, ჩამოყალიბებას მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, სტრუქტურალიზმის ეპოქის დასასრულსა და პრაგმატიკული ლინგვისტიკის განვითარების პარალელურად იწყებს. დისკურს ანალიზს მკვეთრად განსაზღვრული კონტურები არ გააჩნია, რაც გულისხმობს იმას, რომ ლინგვისტიკის გარდა დისკურსის კვლევისადმი ინტერესს სხვა უამრავ მეცნიერებაშიც ვხვდებით: სოციოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სხვ.

სანამ ტერმინი „დისკურსი“ ლინგვისტიკაში დამკვიდრდებოდა, მას ფართო გამოყენება ჰქონდა კლასიკურ ფილოსოფიაში. პირველად ენათმეცნიერების სფეროში, ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ ზელინგ ჰარისმა გამოიყენა თავის სტატიაში „დისკურს ანალიზი“, რომელიც 1952 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „Language“ (<https://www.jstor.org/stable/409987>).

ტერმინის „დისკურსი“ ახალი მნიშვნელობით გამოყენება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ფრანგული სკოლა დისკურსის ანალიზში ენობრივ წარმონაქმნებს, ძირითადად, მათი პროდუცირების სოციალური პირობების გათვალისწინებით შეისწავლის, ხოლო ანგლო-საქსური მიდგომის მიხედვით, დისკურსის ანალიზი საუბრის ანალიზს უტოლდება. მისი ძირითადი პოსტულატი დისკურსის ინტერაქციული ხასიათია, რაც ზეპირი თუ წერიტი ვერბალური წარმონაქმნების გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს (ადეიშვილი, 2013: 20).

თეონ ვან დიკის აზრით დისკურსი წარმოადგენს ერთი მხრივ, ახალ, მეორე მხრივ კი ძველ დისციპლინას; დისკურსის წარმომავლობა შესაძლოა უკავშირდებოდეს ენის, საჯარო გამოსვლის ან ლიტერატურის შესწავლას, რომელთაც ორი ათასი წლის წინ ჩაეყარათ საფუძველი. სანამ დისკურსის ანალიზი, როგორც დისციპლინა ჩამოყალიბდებოდა, ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში ექცეოდა გრამატიკა - ენის სწორად გამოყენების წესები, რომელსაც რიტორიკასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ისტორიული და შედარებითი ლინგვისტიკის გამოჩენამ მე-19 საუკუნის დასაწყისში, ასევე, მე-20 საუკუნის დასაწყისში სტრუქტურული ანალიზის ჩამოყალიბებამ, ჩაანაცვლა იმ დროისათვის კაცობრიობის მთავარი

დისციპლინა - რიტორიკა; ლიტერატურული ენის შესწავლამ კი მეტყველების ანალიზის სისტემური კვლევა გამოიწვია.

ნიკოლა ვუდსი თავის ნაშრომში „Describing Discourse“ დისკურსის შესახებ წერს: „დისკურსი არის, სულ მცირე, ენას დამატებული კონტექსტი - ვგულისხმობ კონტექსტს, სადამდეც მივდივართ საუბრის პროცესში; კონტექსტი, რომელიც მოიცავს ჩვენს გამოცდილებას, ვარაუდს, მოლოდინს; კონტექსტი, რომელიც იცვლება (და რომელიც თავისთავად შეცვლილია) ჩვენს ურთიერთობებში; კონტექსტი რომელსაც ვაყალიბებთ და რომლის დახმარებითაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ჩვენეული გზებით იმ სამყაროს სოციალური პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელშიც ვცხოვრობთ“¹(Woods, 2006 :11). „დისკურს ანალიზი იკვლევს როგორც სასაუბრო, ისე არავერბალურ და წერილობით ენას და მან, შესაძლოა, ყურადღება გაამახვილოს ლინგვისტური ქცევის ნებისმიერ ასპექტზე, წარმოთქმის კონკრეტული ნიმუშის, სიტყვის არჩევის, წინადადების სტრუქტურისა და სემანტიკური წარმოდგენის შესწავლით დაწყებული, მეტყველების პრაგმატიკული ანალიზით დასრულებული“ (იქვე :11)

ჯეიმს პაულ გიი თავის ნაშრომში „An introduction to discourse analysis, theory and method“, განიხილავს რა დისკურსს, ამბობს: „გავხადოთ თვალსაჩინო და საცნობი ის, ვინც ვართ ან ის, რასაც ვაკეთებთ, ყოველთვის უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე „მხოლოდ ენას“. ის მოიცავს მოქმედებას-ურთიერთქმედებას-აზროვნებას-შეფასებას-საუბარს (ზოგჯერ წერას ან კითხვას) „შესაბამისი“ გზით, საშუალებებით, „შესაბამის“ დროსა და ადგილზე“. მსგავს სოციალურად მიღებულ ასოციაციებს ენის, აზროვნების, შეფასების, მოქმედებისა და ურთიერთობის გზებს შორის, "სწორ" ადგილებში, "სწორ" დროს და "სწორ" ობიექტებთან (ასოციაციები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საკუთარი თავის იდენტიფიცირებისთვის, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი ჯგუფის ან „სოციალური ქსელის“ წევრი), მე მოვიხსენიებ, როგორც „დიდ დისკურსებს“, ხოლო ენის გამოყენებას (დიალოგები ან ისტორიები) – „პატარა დისკურსს“ (Gee, 1999 :17).

პაულ გიი დისკურსთან დაკავშირებით რამდენიმე პუნქტს გამოჰყოფს:

¹ აქაც და ქვემოთ თარგმანი ჩვენია (კ.თ.)

1. დისკურსი შესაძლოა დაიყოს ორ ან მეტ დისკურსად; მაგალითად, შუასაუკუნეების „ბუნებრივი ფილოსოფია“ დაიყო საკუთრივ ფილოსოფიად, ფიზიკად და სხვა მეცნიერებად;
2. ორი ან მეტი დისკურსი შესაძლოა ერთმანეთს შეერწყას;
3. შეიძლება პრობლემად მივიჩნიოთ დისკურსის საკითხი იმაზე, არსებობს თუ არა ის ისეთივე სახით დღეს, როგორც წარსულში არსებობდა;
4. ახალი დისკურსები ყოველთვის იზრდება და ძველი დისკურსი ქრება;
5. დისკურსები ყოველთვის განისაზღვრება სხვა დისკურსებთან თანამონაწილეობისა და დაპირისპირების ურთიერთობებში და შესაბამისად, ისინი იცვლებიან, როდესაც საზოგადოებაში სხვა დისკურსები ჩნდება ან ქრება;
6. დისკურსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს „გრანდიოზული“ ან „მასშტაბური“;
7. დისკურსები შეიძლება ერთმანეთს ჰგავდეს;
8. არსებობს უამრავი დისკურსი და მათი დათვლა შეუძლებელია, რადგანაც ახლები, თუნდაც საკმაოდ არაგრანდიოზული, ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს და გაიზარდოს, რის გამოც საზღვრებს ვერ დავაწესებთ (Gee, 1999 :17)

თანამედროვე ქართველი მკვლევარი ნინო გოგელია, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ თავის დისერტაციაში „მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზი“ საუბრობს რა დისკურსის არსზე, იშველიებს მიშელ ფუკოსეულ განმარტებას: „დისკურსი, როგორც ამას ისტორია გვასწავლის, არ არის მხოლოდ ის მექანიზმი, რომელიც ძალაუფლებისათვის ბრძოლას ან მართვისა და კონტროლის სისტემებს ენობრივად აფორმებს, არამედ, დისკურსი არის ის, რისთვისაც და რისი საშუალებითაც იბრძვიან“ (გოგელია, 2020 :16).

ფუკოს დისკურსის თეორია საფუძვლად დაედო დისკურსის ლინგვისტურ ანალიზს, რაც აისახა დისკურსის ცნების შემდგომ განვითარებაში, კერძოდ კი დისკურსის შესახებ კონცეფციებისა და მიდგომების განვითარებისას გერმანულ ენათმეცნიერებაში (Sauer 1998, Witcher 1999, Busse 2000, Warnke 2002, ...) , რომელთა მიხედვითაც:

- დისკურსი ცოდნის სემანტიკის მარკირებული ნიშნების ქსელს წარმოადგენს;

- დისკურსი ადგენს მიმართებას ცალკეულ ტექსტებს შორის, რადგანაც ტექსტები არ არის იზოლირებული;

- დისკურსი შეიძლება განისაზღვროს „როგორც ტექსტების ვირტუალური კორპუსები, რომელთა შედგენილობაც შინაარსობრივი კრიტერიუმებით განისაზღვრება“;

- დისკურსი ერთგვარი „თემების ამაღვამებია“ (შენადნობები) ტექსტში;

- დისკურსი შეიძლება განიხილებოდეს როგორც „დიალოგი“ ტექსტებს შორის, ანუ მისთვის დამახასიათებელია დიალოგური პრინციპები;

- დისკურსი, თუ მას ლინგვისტური პოზიციიდან განვიხილავთ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებობს, ამიტომ ის, ერთი მხრივ, გამონათქვამთა ერთობლიობაა, რომლითაც ერთ რომელიმე თემას განიხილავს; მეორე მხრივ, დისკურსი კონკრეტულ ტექსტებშია ფიქსირებული. საერთო თემატიკით დაკავშირებული ტექსტები ერთმანეთის მიმართ ფორმალურ და სემანტიკურ ურთიერთმიმართებებს ავლენს და კომპლექსურ ქსელურ სტრუქტურებად არის წარმოდგენილი.

სოციოლოგიაში დისკურსი მიშელ ფუკოს მიერ ჩამოყალიბებული მნიშვნელობით გამოიყენება. შესაბამისად დისკურსში მოიაზრება გარკვეული მეცნიერული და სპეციალური ენები, მათთან დაკავშირებული იდეები და სოციალური შედეგები, რომლებიც, ფუკოს მიხედვით, უნდა გავიგოთ, როგორც სოციალური ძალაუფლება და არა როგორც უბრალოდ სამყაროს აღწერის საშუალება. [...] ფუკოს კონცეფციის მნიშვნელოვანი ასპექტი ის არის, რომ ნებისმიერი მოვლენა დისკურსის შიგნით ყალიბდება, ანუ არ არსებობს მოვლენა დისკურსის გარეთ (სალია, 2018 :160).

ენათმეცნიერებაში დისკურსს რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენებენ:

1. დისკურსს თვლიან წინადადებაზე დიდ ერთეულად (რაც შემდეგი ორი მნიშვნელობის ინვარიანტული მნიშვნელობაა);

2. დისკურსი ტექსტის სინონიმია.

ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის მხოლოდ ისეთ ენობრივ გამონათქვამებს, რომელთაც შეუძლიათ საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება. ამ თვალსაზრისით ტექსტი ანუ დისკურსი შეიძლება იყოს ცალკეული სიტყვა (მაგალითად

„შესასვლელი“), არასრული წინადადება, ფრაზა, დასახელება (მაგალითად „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“), წინადადება (მაგალითად „ნუ მოწევთ!“) და, ბოლოს, მთელი წიგნი (მაგალითად, დასრულებული მოთხრობა ან რომანი) და სხვ.

3. დისკურსი იგივეა, რაც მეტყველება ან უფრო ფართო გაგებით, ნებისმიერი გამონათქვამი, რამდენადაც მეტყველება შედგება გამონათქვამებისაგან. დისკურსის ამგვარი გაგება დაკავშირებულია მეტყველების სიტუაციურ გამოყენებასთან.

4. მეოთხე მნიშვნელობა, რომლითაც ტერმინი დისკურსი გვხვდება სამეცნიერო პრაქტიკაში და რომელიც უშუალოდ მომდინარეობს დისკურსის იმგვარი გაგებისაგან, რომ იგი არის გამონათქვამთა კომპლექსი, პროცესი და კომუნიკაციური აქტის შედეგი, დისკურსის თეორიის პრაგმატიკულ-კომუნიკაციურ ჭრილში განხილვას გულისხმობს. მაშასადამე, ტექსტი მართალია არ არის დისკურსი, მაგრამ დისკურსი არ არსებობს ტექსტის გარეშე და იგი არის ტექსტის იმგვარი განზომილება, რომელიც შედგება გამონათქვამთა ჯაჭვისაგან, ანუ როგორც პროცესი და სამეტყველო (კომუნიკაციური) აქტის შედეგი – ტექსტი აღებული ხდომილებრივ ასპექტში... ექსტრალინგვისტურ, სოციოკულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორთა ერთობლიობასთან ერთად; ხოლო თავად ტექსტი არის დისკურსის პროდუქტი (სალია, 2018 :161-162).

მცირე ექსკურსი დისკურსის ისტორიაში საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დისკურსის წარმომავლობა შესაძლოა უკავშირდებოდეს ენის, საჯარო გამოსვლის ან ლიტერატურის შესწავლას; ვინაიდან დისკურსი მიიჩნევა უფრო ვრცელ ფენომენად, ვიდრე უბრალოდ ტექსტი, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დისკურსი იმ ტექსტების ერთობლიობაა, რომლებიც შინაარსობრივად და ფორმით ერთმანეთს უკავშირდება და ერთი და იმავე აზრის წარმოჩენას ცდილობენ, ერთსა და იმავე სფეროს ეხება.

§1.2 დისკურსის ლინგვისტური არსი თანამედროვე მეცნიერებაში

დომინიკ მენგენო თავის პუბლიკაციაში „დისკურსის ანალიზი და მისი საზღვრები“, დისკურსს „სუპერლინგვისტიკის“ ანუ ტექსტის ლინგვისტიკის სახეობად მიიჩნევს, სადაც ფორმა და ფუნქცია, სისტემა და მისი გამოყენება თანაარსებობენ (Maingueneau, 2005 :65). მან დისკურსის ანალიზის საგნად გამოყო არა საკუთრივ ტექსტის შიდა ორგანიზაცია, არა საკომუნიკაციო სიტუაცია, არამედ გამონათქვამის მექანიზმი, რომელიც როგორც ტექსტის ორგანიზაციას, ასევე, განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტს აერთიანებს.

ნორმან ფერკლოუ დისკურსად განიხილავს ენის გამოყენებას ზეპირი და წერიტი მეტყველებისას და განმარტავს მას, როგორც სოციალური პრაქტიკის ერთ-ერთ ფორმას. ფერკლოუს მიხედვით, ერთი მხრივ დისკურსი განსაზღვრავს რეალობას და, მეორე მხრივ, რეალობა განაპირობებს დისკურსს; დისკურსის მეშვეობით ხდება საზოგადოების ტრანსფორმაცია, ის აყალიბებს სოციალურ იდენტობასა და ურთიერთობებს, ჰქმნის ცოდნისა და რწმენის სისტემებს. დისკურსი „დისკურსული წესრიგის“ (Diskursordnungen) მეშვეობით „ცოცხლდება“. „დისკურსული წესრიგი“ წარმოადგენს ენობრივი გამოყენების კონვენციასა და დაკავშირებულია სოციალურ ინსტიტუტებთან (Fairclough, 1992 :64);

უშუალოდ დისკურსის ანალიზი კი თეონ ვან დიკის აზრით, შეისწავლის „ენის რეალური გამოყენების შემთხვევებს რეალური პირობების მიერ რეალურ სიტუაციებში.

ემილ ბენვენისტმა გამონათქვამის თეორიის შექმნაზე მუშაობისას დისკურსი გამონათქვამის პროცესთან ახლოს მდგომ ფენომენად მიიჩნია. მისი განსაზღვრებით, დისკურსი არის ენა, „რომელსაც ინტერსუბიექტურობის პირობებში იყენებს მოლაპარაკე პირი, რის საშუალებითაც ლინგვისტური კომუნიკაცია ხდება შესაძლებელი“ (Benveniste, 1966 :266); ამგვარად, ბენვენისტისთვის დისკურსი ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ენის, როგორც სისტემის, ინტერსუბიექტურ სივრცეში გადასვლა ხორციელდება.

ზიგფრიდ იეგერი ძირითადად ეყრდნობა ფუკოს შრომებს და ლიტერატურათმცოდნე იურგენ ლინკის მიერ შემოთავაზებულ ფუკოს რეცეფციას. იურგენ ლინკმა ურსულა ლინკ-ჰეერთან და სხვა მკვლევარებთან ერთად, განავითარა

მიდგომა, რომელიც არსებულ იდეოლოგიებს აკრიტიკებს და, ამასთან, ჰქმნის დისკურსის თეორიულ და ანალიზურ საფუძვლებს. იურგენ ლინკი მიშელ ფუკოს კონცეფციებზე დაყრდნობით დისკურსში გულისხმობს ინსტიტუციონალიზებულ სპეციალურ ცოდნას, რომელიც ვლინდება შესაბამის წეს-ჩვეულებებზე დაფუძნებული სასაუბრო ფორმებისა და ქცევების სახით. როგორც იეგერის, ასევე ლინკისთვისაც განხილვისა და კვლევის საგანია პოლიტიკურად აქტუალური დისკურსი და მისი უპირატესობის დამკანონებელი ფუნქცია საზოგადოებაში (Jager, 1993 :151) .

ზიგფრიდ იეგერის აზრით, დისკურსული სტრუქტურები გასაგები და მისაწვდომია ისეთი ტერმინების საშუალებით, როგორებიცაა, მაგ.: ინტერდისკურსი, დისკურსული ფრაგმენტი, დისკურსული მწკრივი ან რიგი, დისკურსული მოვლენა, დისკურსული კონტექსტი, დისკურსული დონეები. იგი ტექსტებს ნაკლებად აღიქვამს როგორც ინდივიდუალური ქმედების შედეგს და თვლის, რომ ისინი უფრო მეტად განზოგადებული და სოციოისტორიული დისკურსის ფრაგმენტებია, რომლებიც გარკვეულ მიმართებებს ავლენენ სოციალური პროცესების მიმართ და მათი სტაბილიზება ან შეცვლა შეუძლიათ. იეგერი დისკურსს განმარტავს, როგორც დროში განფენილი სოციალური ცოდნის მარაგის ნაკადებს. ეფუძნება რა ლინკის თეორიას, იგი დისკურსს ინსტიტუციონალიზებული და მოწესრიგებული მეტყველების თავისებურებას უწოდებს, რადგან ის მოქმედებებთან არის დაკავშირებული და ზეგავლენის მოხდენა შეუძლია;

მიშელ ფუკოსეული გააზრება დისკურსის შესახებ ეფუძნება რიგ მეცნიერულ დისციპლინას, კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ფსიქოლოგიურ თეორიებს, სამართალმცოდნეობას, მედიცინას, ფილოსოფიასა და რელიგიას, ანუ ისეთ ინსტიტუციებსა და სამეცნიერო სფეროებს, სადაც დისკურსი იქმნება და ვითარდება;

მიშელ ფუკო მიიჩნევს, რომ „დისკურსი არის გამონათქვამთა ის ერთობლიობა, რომლებიც წარმოსდგებიან ერთი და იგივე დისკურსული ფორმაციიდან“ (Paveau, Sarfati, 2003 :199).

ფუკო თვლის, რომ დისკურსი უნდა გაანალიზდეს როგორც წყვეტილი, პერიოდული პრაქტიკა, რომელიც ხშირად ერთმანეთს გადაკვეთს და ზოგჯერ ერთმანეთის არსებობასაც კი გამორიცხავს.

ფუკოს აზრით, ჩვენ ვსაუბრობთ და ვმოქმედებთ იმ საზღვრებში, რომლებსაც გვიწესებს დისკურსი, ხოლო დისკურსული შეზღუდვა ნებადართულია გარკვეული ინსტიტუციების მიერ. ფუკოსთვის ნაკლებად საინტერესოა ამ შეზღუდვების ინსტრუმენტი. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია შეზღუდვების ზეგავლენა ადამიანის ენობრივი გამოხატვის უნარზე. დისკურსის საზღვრებს ადგენს ის ტრადიციები და წესები, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში ზღუდავს კონკრეტული აზრების გამოხატვას. ფუკოსეული დისკურსის ანალიზი ყურადღებას ამახვილებს იმ შეზღუდვაზე, რომელიც ამავე დროს კონკრეტული დისკურსის ფარგლებში ჩვენს მოქმედებასაც განაპირობებს;

1969 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში „ცოდნის არქეოლოგია“ მიშელ ფუკომ სისტემურად აღწერა ცვლილებები კონკრეტული ეპისტემის დისკურსული სტრუქტურის, როგორც მთლიანობის ფარგლების დასადგენად, რომლის შიგნითაც მოქცეულია კონკრეტული კულტურული აზროვნება. „ცოდნის არქეოლოგია“ ფუკოს თეორიული მოსაზრებების არსს წარმოადგენს, რომელშიც წარმოდგენილია დისკურსის ანალიზის პირველი მეთოდოლოგიური კონცეფცია. ფუკოსეული დისკურსის ანალიზის ამოსავალი კითხვაა „თუ როგორ ხდება, რომ მოცემულ ადგილებში აქტიურდება მაინცდამაინც ერთი რომელიმე კონკრეტული გამონათქვამი და არა რომელიმე სხვა“ (Foucault, 1981 :42).

დისკურსის არქეოლოგიის მთავარი იდეა ფუკოსთან დისკურსის, ასე ვთქვათ, „ხელშეუხებლად“ გამოვლენაა. მისი აზრით, არსებულმა ვითარებამ და კონტექსტმა ის არ უნდა გადაფაროს. დისკურსმა უნდა აჩვენოს შეუღამაზებელი რეალობა და არა ყალბი სინამდვილე. კვლევის საგანია ცალკეულ გამონათქვამებს შორის კავშირების ძიება. ყოველი გამონათქვამი განსაკუთრებული დისკურსული მოვლენაა, რომელიც [...] მთლიანად ისტორიული წარმოშობისაა, ისტორიის ფრაგმენტია და ამავე დროს მისი უწყვეტობის დარღვევაა (Foucault, 1981 :170).

დისკურსის საანალიზო მეთოდი მიზნად ისახავს, ერთმანეთისაგან განსხვავებული დისკურსული მოვლენები ამოიღოს თავდაპირველი კონტექსტიდან, თავიდან დააჯგუფოს და აღწეროს, როგორც „სხვა ერთეულები“. სწორედ ეს „სხვა ერთეულები“ ჰქმნის დისკურსს. დისკურსის შიგნით იქმნება წესები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი გამონათქვამები ითვლება „ქეშმარიტად“ კონკრეტულ

ეპოქაში და რის გამო იქცევა ისინი დისკურსის შემადგენელ ელემენტებად. დისკურსის არქეოლოგიამ უნდა წარმოაჩინოს, რატომ არის ზოგიერთი გამონათქვამი მისაღები და რატომ ემიჯნება სხვა გამონათქვამები სათანადო და ჭეშმარიტებად მიჩნეულ ცოდნის სივრცეს (Foucault, 1981 :50-55).

ჟან-მიშელ ადამი დისკურსის ფენომენს განსაზღვრავს როგორც ტექსტის კონტექსტში ჩართვას, კონტექსტში კი ის მოიაზრებს პროდუცირებისა და ინტერპრეტაციის პირობებს.

დომინიკ მენგენომ თავის ნაშრომში „დისკურსის გენეზისი“, რომელიც 1984 წელს გამოაქვეყნა, დისკურსის განმარტებისას 7 ჰიპოთეზა ჩამოაყალიბა, ესენია:

1. ინტერდისკურსულობა - ინტერდისკურსი მეტია, ვიდრე დისკურსი. იგი აზრობრივად სრულყოფილ მნიშვნელობას მხოლოდ სხვა დისკურსების სერიაში ჩართვის შედეგად იღებს.

2. ურთიერთგავლენა - ავტონომიურად არც ერთი დისკურსი არ იქმნება. სხვის მიერ პროდუცირებული დისკურსები რამდენადმე გავლენას ახდენს ნებისმიერი დისკურსის კონსტრუირებაზე.

3. წესთა სისტემა - დისკურსში არის იმპლიციტური და ექსპლიციტური ნიშნები, რომლებიც ამა თუ იმ დისკურსულ ფორმაციაში მისი ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.

4. ინტერდისკურსული კომპეტენცია - სუბიექტს განათლების, აღზრდის, საზოგადოების გავლენით, ხშირად, გაუცნობიერებელი სამეტყველო კომპეტენცია უყალიბდება. ინდივიდი პროდუცირებს ისეთ დისკურსებს, რომლებიც მისი ინდივიდუალური დისკურსული ფორმაციის შესაბამისია და განსხვავებული დისკურსული ფორმაციის გამონათქვამებს არაადეკვატურად აღიქვამს.

5. დისკურსული პრაქტიკა, რაც მოიაზრებს იმას, რომ დისკურსი უნდა განვიხილოთ როგორც არა მხოლოდ გამონათქვამთა ერთობლიობა, არამედ ინტერსემიოტიკური პრაქტიკა, რომელიც ჩართულია სხვა სემიოტიკურ ნიშანთა სისტემაში.

6. სოციალურ-ისტორიული ფონი - დისკურსი სოციალურ-ისტორიულ გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად ყალიბდება. ყოველგვარ ენობრივ და

ამდენად, სააზროვნო სპეციფიკას განაპირობებს ის გარემო, რომელშიც ნებისმიერი დისკურსი წარმოიშობა (Paveau, Sarfati, 2003 :200-201).

შვეიცარიელი მკვლევრის, კირსტენ ადამციკის აზრით, დისკურსი განსაზღვრავს, თუ რომელი პოზიცია, შეხედულება ან ფუნქციაა სასურველი და დასაშვები და რომელი უგულებელყოფილი ან უარყოფითად აღიარებული საზოგადოების მიერ. ყოველი ცალკეული ტექსტი რომელიმე დისკურსის კუთვნილებაა. ადამციკიც, ისევე როგორც დიტრიკ ბუსე, თვლის, რომ ტექსტები დისკურსის სამყაროს „ამონაჭრებად”, საერთო დისკურსის ფრაგმენტებად აღიქმება, რომლებიც მეტ-ნაკლებად დასრულებული ენობრივი ერთეულებია. შესაბამისად, ყოველი ტექსტი დისკურსულობის ნიშნით არის აღბეჭდილი (Adamzik, 2004 :253).

ვინაიდან, დისკურსის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ინტერტექსტუალობის ცნება, ინგო ვარნკე მის შესატყვისად გვთავაზობს ტერმინს „დისკურსულობა“ ტექსტუალობის იმ კრიტერიუმისათვის, რომელიც დისკურსის ცნებას აფართოებს და ინტერტექსტუალურ შინაარსებს ტრანსტექსტუალური ენობრივი სტრუქტურების ერთეულებად წარმოადგენს. დისკურსულობა თავის მხრივ იქმნება და ყალიბდება ცალკეულ ტექსტებს შორის არსებულ მიმართებათა ქსელით. ვარნკეს აზრით, ერთი მიმართულების მქონე თემატიკის ტექსტობრივ სივრცეში გადატანას, ანუ ტექსტუალიზაციას, რომელიც კონკრეტულ კონტექსტშია მოქცეული, შეიძლება დისკურსი ეწოდოს, ხოლო სივრცეს, რომელიც ცალკეული ტექსტის ფარგლებს სცდება და სადაც პარალელურად ხდება ასეთი გამიზნული ქმედებების თანხვედრა, ვარნკე დისკურსულობას უწოდებს. ამ ცნების ქვეშ ის გულისხმობს ცალკეული, ტექსტობრივ სივრცეში გადატანილი თემების (ტექსტუალიზაციების) კომუნიკაციურ ერთობლიობას, რომელიც გარკვეული ხასიათის ცნებათა ჯგუფებს აერთიანებს, ერთგვარ ანონიმურ ხასიათს ატარებს და ფუნქციურ ენობრივ თავისებურებებს განაპირობებს (Warnke, 2002b :2).

ინგო ვარნკეს განმარტება, რომ დისკურსულობას ცალკეული ტექსტების კომუნიკაციური ერთობლიობა წარმოქმნის, მისი მოსაზრების მიხაილ ბახტინის დიალოგურობის პრინციპთან კავშირზე მიანიშნებს. ტექსტებს შორის ჰომო და პოლიფონიური დიალოგის ბახტინისეულ იდეას, ანუ მოსაზრებას ტექსტების დიალოგურობის შესახებ, რომელიც პოსტსტრუქტურალისტური მეცნიერებების

საბაზისო ინვენტარია, შეესაბამება ვარსკვლავის დისკურსულობის ცნებას. ტექსტის დისკურსულობა ცალკეულ ტექსტებს და მათ ნაწილებს შორის ინტერტექსტუალური კავშირების მეშვეობით ხორციელდება და მათ ერთი კონკრეტული დისკურსის ირგვლივ დისკურსულობის ნიშნით აერთიანებს.

პიტერ აუერის აზრით, დისკურსი საზოგადოებრივი პრაქტიკის სრულიად დამოუკიდებელი საფეხურია, ერთგვარი რეალობის შემცვლელი მოდელია, რომელიც ორგანიზებას უწევს გარკვეული დროის მონაკვეთში საზოგადოებაში არსებულ კოლექტიურ ცოდნას გარემომცველი რეალობის კონკრეტული პერიოდის შესახებ. დისკურსი უამრავი ტექსტისა და გამონათქვამისაგან შექმნილი აბსტრაქტულ მიმართებათა სისტემაა, რომელშიც ისინი ერთმანეთის მიმართ პრაგმატულ და სემანტიკურ მიმართებებს ავლენენ და ხშირად ერთმანეთთან ინსტიტუციური თვალსაზრისითაც არიან დაკავშირებული. ეს სისტემა, ასევე, ტექსტებში ასახული და ტექსტების მეშვეობით რეალიზებული საზოგადოებრივი ცოდნის მარაგს მოიცავს. დისკურსული ერთეული, რომელიც კომუნიკაციურ დონეზე არსებობს და ცალკეული ტექსტის ფარგლებს სცდება, ყალიბდება და იქმნება ცალკეულ გამონათქვამებს შორის არსებულ იმ მიმართებათა საფუძველზე, რომლებიც რომელიმე კონკრეტული დისკურსის წესებს ემორჩილებიან (Auer, 1999 :233-235).

საბოლოოდ, უნდა შევაჯამოთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებული განმარტებიდან, ჩვენთვის ყველაზე მეტად მისაღები აღმოჩნდა მიშელ ფუკოს, დებორა შიფრენისა და კირსტენ ადამციკის შეხედულება დისკურსზე;

როგორც დებორა შიფრენი აღნიშნავს, დისკურსის ანალიზი არის ენათმეცნიერების ყველაზე ნაკლებად შემოსაზღვრული და ყველაზე ვრცელი ზონა. მისი განმარტებით დისკურსის ანალიზი შეისწავლის „ენის გამოყენებას სოციალური, ექსპრესიული და რეფერენციული მიზნებით“.

ადამციკიც, ისევე როგორც დიტრიკ ბუსე, თვლის, რომ ტექსტები საერთო დისკურსის ფრაგმენტებად აღიქმება, რომლებიც მეტ-ნაკლებად დასრულებული ენობრივი ერთეულებია. შესაბამისად, ყოველი ტექსტი დისკურსულობის ნიშნით არის აღბეჭდილი. ვიზირებთ რა მოცემულ განმარტებას, მიგვაჩნია, რომ დისკურსი

და ტექსტი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია; ტექსტი შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი, ხოლო დისკურსი წარმოადგენს უფრო ვრცელ ფენომენს, რომელიც ძირითადად ეხება კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ხდება ტექსტის წარმოება და ინტერპრეტაცია. დისკურსი უზრუნველყოფს სიტუაციურ კონტექსტს, რომელიც აყალიბებს და გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობაზე. დისკურსის გაგება ხელს უწყობს ტექსტის ზუსტად ინტერპრეტაციას სოციალური, კულტურული და სიტუაციური ფაქტორების გათვალისწინებით. ტექსტი წარმოადგენს სინტაქსითა და გრამატიკით სტრუქტურირებულ ერთეულს, ხოლო დისკურსი შეისწავლის აღნიშნული სტრუქტურირებული ტექსტების თანმიმდევრულობასა და შესაბამისობას. დისკურსი ითვალისწინებს ტექსტის მიზანსა და ფუნქციას, მიუხედავად იმისა ტექსტი გამიზნულია ინფორმირებისთვის, დარწმუნებისთვის, გასართობად თუ სხვა ფუნქციის შესასრულებლად. ტექსტებს შეუძლიათ გააძლიერონ გარკვეული მსოფლმხედველობა, ნორმები და ღირებულებები, დისკურსის ანალიზი კი კრიტიკულად განიხილავს ამ განზომილებებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, სანამ ტექსტი წარმოადგენს ენის ხელშესახებ გამოვლინებას, დისკურსი უზრუნველყოფს უფრო ფართო ჩარჩოს, რომელიც ანიჭებს მას მნიშვნელობას და ღირებულებას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი დისკურსის შესწავლა ლინგვისტიკისთვის, რადგან ის გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ გამოიყენება ენა რეალურ კონტექსტში მნიშვნელობის გადმოსაცემად და სოციალური ურთიერთობების დასამყარებლად. დისკურსის ანალიზით, ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ კომუნიკაციის პროცესში დაფარული მინიშნებები, კულტურული ნორმები, რაც თავის მხრივ გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს და ასახავს ენა საზოგადოებას.

§1.3 დისკურსის სტრუქტურა და ჟანრობრივი ტიპოლოგია

მიშელ ფუკოს მიხედვით, დისკურსის არქეოლოგია შედგება 5 (ხუთი) კომპონენტისაგან. ესენია: გამონათქვამი, დისკურსული ფორმაცია, დისკურსი, ისტორიული აპრიორი და არქივი (Foucault, 1981 :50-55).

გამონათქვამი ყველაზე ადვილად განსასაზღვრავ კატეგორიად ითვლება. ფუკო მას „დისკურსის საწყის ერთეულს“ უწოდებს. დისკურსი შედგება ცალკეული გამონათქვამებისაგან, რომლებიც გაბნეულია საკვლევ სივრცეში. დისკურსის ანალიზის დროს მათ აჯგუფებენ და შესაბამის დისკურსულ სივრცეს მიაკუთვნებენ. ყოველი მათგანი განსაკუთრებული და უნიკალური მოვლენაა. გამონათქვამები თვითმყოფადობას ენობრივი გამოხატვის ფორმების მეშვეობით ინარჩუნებენ. ფუკოსთვის გამონათქვამი ის გამოთქმული აზრებია, რომლებსაც გარკვეული ინსტიტუციონალური ძალა აქვს, მისი არსებობის უფლება კი კონკრეტული ფორმით დასტურდება. გამონათქვამები კლასიფიცირდება, როგორც სიმართლე, როგორც რეალობის შეუღამაზებელი ასახვა. „ნამდვილი და სწორია ნათქვამი, თუ ის ემორჩილება დისკურსული ფორმირების წესებს“. სწორად გამოთქმულ აზრებსა და ტექსტებს, რომლებიც აღიარებულია როგორც ცოდნა, გამონათქვამების კლასიფიკაცია ენიჭება (Foucault, 1981 :25-117).

ფუკო დისკურსულ ფორმაციებს წარმოადგენს როგორც ურთიერთკავშირთა მთელ წყებას. გამონათქვამების ფორმაციებს, რომლებიც ერთმანეთის მსგავსია, შინაგანი კავშირი აქვთ და თავიანთი გავრცელების ველებში განიბნევიან. დისკურსული ფორმაცია იქმნება დისკურსის შიგნით დისკურსის თემის, გამოხატვის მოდალობის და დისკურსული ცნებების პოზიციური განლაგებით, რაც ჰქმნის დისკურსის სტრატეგიას. სტრატეგიაში ფუკო გულისხმობს „სისტემურად განსხვავებულ თავისებურებას დისკურსის იმ ობიექტებისა და გამოხატვის ფორმების კვლევისა და განხილვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ „მარეგულირებელ სამუალებას დისკურსის შესაძლებლობების გამოსაყენებლად“.

ფუკო დისკურსს განიხილავს სოციოლოგიური ცოდნისა და კონსტრუქტივიზმის ფარგლებში, როგორც პირობით მოვლენას, რომლის არსებობას ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებული ფორმირება განაპირობებს. დისკურსს, ერთი მხრივ, დაგროვილი ცოდნის გამტარის ანუ მედიუმის ფუნქცია ენიჭება, ხოლო,

მეორე მხრივ, იგი პრაქტიკულად ხორციელდება საზოგადოებაში და აღნიშნავს სივრცეში გაბნეულ უამრავ გამონათქვამს, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში ერთი სახით და რეგულირების ერთი სისტემით შეიძლება გამოიყენებოდეს. ფუკო დისკურსს განიხილავს, როგორც ცოდნის სეგმენტების მაფორმირებელ სისტემას, რომელსაც შეუძლია მართოს ის პროცესები, რომლებიც კონკრეტული გამონათქვამების პროდუცირების შესაძლებლობას განაპირობებს. დისკურსი შუალედური რგოლია აზროვნებასა და მეტყველებას შორის, რომელშიც ქმედითია ისეთი დისკურსული მექანიზმები, როგორებიცაა: დისკურსული მოვლენების პროდუცირების შეზღუდვა, ეპისტემების სტრუქტურირება, ასევე ცოდნის ფორმირების და (თემატური) გამორიცხვის სისტემები. დისკურსს მიეკუთვნება გამონათქვამთა კონკრეტული ტიპები, რომლებიც მის მხოლოდ ექსპლიციტურ ანუ ხილულ ნაწილს ასახავს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ყოველ დისკურსს საკუთარი ისტორია აქვს და საკუთარ დროში არსებობს. დისკურსი არ ექვემდებარება დროის მიღმა მდგომ მუდმივ ფორმალურ ღირებულებებს. ის წესებს თვითონ განსაზღვრავს და საკუთარ დროში არსებობისას უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ფორმალობები. დისკურსულ წესებს ემორჩილება ის, ვინც ამა თუ იმ კონკრეტულ დისკურსს ჰქმნის. ისტორიული აპრიორი ეფუძნება „იმ წესების ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია დისკურსული პრაქტიკისათვის“; იმას კი, რაც ამ წესებით იქმნება და ერთი კონკრეტული ეპოქის დისკურსული პრაქტიკის ერთობლიობას წარმოადგენს, ფუკო არქივს უწოდებს (Foucault, 1981 :188).

ნაშრომში „დისკურსის წესრიგი“ ფუკო ერთმანეთისაგან განასხვავებს დისკურსის ორ ძირითად სახეობას: ა)დისკურსი, რომელსაც ყოველდღიურობა წარმოქმნის და გამოთქმისთანავე ქრება და ბ)დისკურსი, რომლის წიაღშიც სხვა დანარჩენი სამეტყველო აქტები ყალიბდება. ისინი დისკურსს მუდმივად ანახლებენ, განმარტავენ, განიხილვენ და გარდაქმნიან. ეს ის დისკურსია, რომელიც მუდმივად არსებობს, როგორც გამონათქვამი, გამოთქმულად რჩება და მომავალშიც გამოითქმება;

თანამედროვე მკვლევარი თ. მშვენიერაძე, თავის სადისერტაციო ნაშრომში „დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა პოლიტიკურ დისკურსში“

საუბრობს რა დისკურსის ჟანრებზე, იშველიებს მიხეილ ბახტინის ციტატას: „საუბრისას ჩვენ ყოველთვის დისკურსის ჟანრებს ვიყენებთ... პრაქტიკაში ჩვენ მათ დარწმუნებითა და მოხერხებით ვიყენებთ... ეს დისკურსის ჟანრები ჩვენ თითქმის ისევე გვაქვს ბოძებული, როგორც ჩვენი მშობლიური ენა... ჩვენი მეტყველება ისევეა დისკურსის ჟანრებით აგებული, როგორც ამას გრამატიკული ფორმები ახერხებენ“.

ბახტინი აქვე გამოყოფს პირველად (მარტივ) და მეორად (რთულ) დისკურსის ჟანრებს. დისკურსის პირველად ჟანრს მიეკუთვნება სპონტანური ვერბალური გაცვლები. ხოლო, დისკურსის მეორადი ჟანრები - რომანი, თეატრი, მეცნიერული დისკურსი - თავს იჩენს კულტურული (ძირითადად წერილობითი) გაცვლის ისეთ გარემოებებში, როგორცაა მხატვრული, მეცნიერული, სოციო-პოლიტიკური, რომლებიც უფრო რთული და მეტად ღირებულნი არიან. შექმნის პროცესში ეს მეორადი ჟანრები შთანთქავენ და გარდაქმნიან პირველად ჟანრებს, რომლებიც, თავის მხრივ, სპონტანური, ვერბალური გაცვლის დროს შეიქმნა. პირველადი ჟანრები ხდებიან რა მეორადი ჟანრების შემადგენელი ნაწილები, გარდაიქმნებიან და განსაკუთრებულ მახასიათებლებს იძენენ, კარგავენ პირდაპირ კავშირს არსებულ და სხვისი გამონათქვამების რეალობასთან, რომლებიც რომანის ნაწილს შეადგენდნენ (Bakhtine, 1984 :267-284).

განსხვავებას დისკურსის პირველად და მეორად ჟანრებს შორის მეტად დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, საჭიროა თავიდანვე გაირკვეს და განისაზღვროს გამონათქვამის ტიპი, ბუნება ამ ორი ტიპის ჟანრის ანალიზის მიხედვით. ლინგვისტიკისა და ფილოლოგიისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გამონათქვამთა ჟანრების მრავალფეროვნებასა და გამონათქვამის ბუნების შესწავლას. ბახტინის აზრით: „ენა ცხოვრებაში იჭრება კონკრეტული გამონათქვამების საშუალებით (რომლებიც მას გამოხატავენ) და ცხოვრებაც ასევე ამ კონკრეტული გამონათქვამების საშუალებით იჭრება ენაში“ (Bakhtine, 1984 :268).

რაც შეეხება სტილს, ბახტინის აზრით, იგი განუყოფელია გამონათქვამისა და დისკურსის ჟანრებისგან: „იქ რომელშიც არის სტილი, არის ჟანრიც... სტილი უცილობლად დაკავშირებულია გამონათქვამთან და გამონათქვამის ტიპურ ფორმებთან, ანუ დისკურსის ჟანრებთან“.

დისკურსის მკვლევრები და მეცნიერები (თ.ვ. დეიკი, რ. ბარტსი, მ. ბახტინი და სხვა) დისკურსის ტიპოლოგიის შედეგად მის ხუთ სახეს განიხილავენ:

- ა) თხრობითი
- ბ) აღწერილობითი
- გ) დამარწმუნებელი
- დ) არგუმენტირებული
- ე) ექსპოზიციური

თხრობითი წერილობითი დისკურსი გულისხმობს ამბის მოყოლას, რომელშიც გამოიყოფა რამდენიმე მახასიათებელი:

- შეხედულება (პირველი პირი თუ მესამე პირი)
- პერსონაჟები
- გარემო
- გეგმა
- კონფლიქტი
- რეზოლუცია

აღწერილობით წერილობითი ტექსტის ძირითადი მიზანი არის ის, რომ მკითხველს (ან მსმენელს) თავი ისე აგრძნობინოს, თითქოს მოვლენის მონაწილე იყო. ამისთვის კი გამოიყენება აღწერილობითი სიტყვები და ფრაზები.

დამარწმუნებელი წერილობითი/სასაუბრო ტექსტის მიზანი არის ის, რომ მკითხველი/მსმენელი დაარწმუნოს რაიმე ქმედების შესრულებაში და შეუცვალოს მას აზრი. დარწმუნების ტექნიკის ხშირი გამოყენების სფეროებია:

- რეკლამა
- არგუმენტირებული წერა
- პოლიტიკური კამპანიები

დამაჯერებლობა ხშირად მიმართავს ემოციას.

არგუმენტირებული წერილობითი/სასაუბრო ტექსტი მსგავსია დამარწმუნებელი ტექსტისა. თუმცა, არგუმენტი ხშირად წარმოდგენილია ლოგიკური ფორმით და გაჯერებულია ფაქტებით. დარწმუნების ტექნიკა ხშირად გამოიყენება არგუმენტირების დროს.

ექსპოზიციური წერის მიზანი არის ინფორმაციის მიწოდება რაიმე საგანზე, მეთოდზე, იდეაზე. ის მოიცავს:

- ანალოგიას
- ანალიზს
- გამომწვევ მიზეზსა და ეფექტს
- კლასიფიკაციას
- შედარებას და კონტრასტს
- განმარტებას
- მაგალითებს
- პროცესის ანალიზს

დისკურსის ტიპების განსაზღვრისათვის, აუცილებელია ყურადღების ქვეშ მოექცეს შემდეგი:

- მწერლის (ავტორის) მიზანი
- საუბრის ძირითადი იდეა
- გამოყენებული ენის ტიპი
- გზა, რომლითაც ინფორმაციაა ორგანიზებული

ხშირად, საუბრის ან წერის დროს, ადგილი აქვს რამდენიმე დისკურსის კომბინაციას, შერევას, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათგან მხოლოდ ერთია დომინანტური.

სხვადასხვა ტიპის (ლიტერატურული, საგაზეთო, იურიდიული, პოლიტიკური...) დისკურსის შესახებ არსებული კვლევები ამტკიცებს, რომ მათ აქვთ პრაგმატული, კოგნიტური, იდეოლოგიური და კულტურული მოტივები.

• ლიტერატურული და სამეცნიერო დისკურსი განსხვავდება საგაზეთო და პოლიტიკური დისკურსისგან; ისინი არ ასახავენ რეალურ ცხოვრებას და წინაპირობებიც განსხვავებულია.

• მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტიპის დისკურსს აქვს გარკვეული პრაგმატული განზრახვა, პოლიტიკური და იურიდიული დისკურსული ტექსტები უფრო დამაჯერებლად, შთამბეჭქდავად და მანიპულირებისთვის კარგ საშუალებადაც კი მიაჩნიათ.

რუსულ ენათმეცნიერებაში (Матвеева 1990, Кирич 2003, Анисимова 2003, Ревзина 2005, Карасик 2009 და სხვ.), საუბარია იმაზე, რომ დისკურსი (ტექსტი) შეიძლება დაიყოს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით:

1. ინფორმაციის გადაცემის არხი: ზეპირი და წერილობითი, გონებრივი, ინტერნეტ-დისკურსი;

2. ინფორმაციის გადაცემის გზები: რადიოგადაცემა, ბეჭდური დისკურსი, სატელეფონო საუბარი, მოსასმენი საშუალებები, ავტომოპასუხე, ელექტრონული ფოსტით მიმოწერა... ;

3. ჟანრობრივი მახასიათებლები

4. სემანტიკური შინაარსი

5. საკომუნიკაციო სფერო და გარემო: საყოფაცხოვრებო, სამეცნიერო, პოლიტიკური, საქმიანი, კონფესიონალური (აღიარებითი), მწიგნობრული, სასაუბრო, მასობრივ-საკომუნიკაციო...

6. გამოხატვის გზები: ვერბალური გამოხატვა, პარალინგვისტური საშუალებების გამოყენების გარეშე; მათ შორის, ლინგვისტური, პარალინგვისტური საშუალებების გარდა, კრეოლიზებული ტექსტების ჩათვლით (სემიოტიკურად გართულებული, იკონური საშუალებებით).

7. სოციოლინგვისტური მიდგომა (ვინ საუბრობს ან ამა თუ იმ საქმიანობასთან ურთიერთობის საფუძველი): პოლიტიკური დისკურსი, საქმიანი დისკურსი, მასობრივ-ინფორმაციული დისკურსი, სარეკლამო, რელიგიური, იურიდიული, სამეცნიერო, პედაგოგიური (დიდაქტიკური სამეცნიერო), დიპლომატიური, სამედიცინო, კომპიუტერული (ელექტრონული, ვირტუალური) დისკურსი;

8. პრაგმატული მიდგომა (როგორ საუბრობს): კომიკური (იუმორისტული), სარიტუალო, ეზოთერიული, დამამცირებელი დისკურსი და სიძულვილის დისკურსი.

9. თემატური კრიტერიუმი: ეკონომიკური, მორალური, ეკოლოგიური, ზღაპრული, პროგნოზული, ავტობიოგრაფიული, რასისტული, ქსენოფობიური;

10. სუბიექტის (სამეტყველო პორტრეტი) სტილი: მენეჯერის სტილი, პოლიტიკური ლიდერი, ინტელიგენტი.

11. ნაციონალური-ლინგვო-კულტურული პარამეტრი; რუსული ნაციონალური დისკურსი, ინგლისური დისკურსი, ესპანური დისკურსი და ა.შ.

12. სამყაროს აღქმა და რეალობის გამარტივება: სუბიექტის დისკურსი და ობიექტის დისკურსი;

13. შექმნის ბუნება: პირველადი - დაკავშირებული კვლევის პროცესებთან, მათი მნიშვნელობა არის ინდივიდუალური და ახლო, სურათების კავშირი ასოციაციურია, სტილი - პერსონალური: ქრისტეს აფორიზმები, რუსული ფოლკლორული სიმღერები, სამოგზაურო ცნობები. მეორადი - განსაზღვრულია პრეზენტაციის, პუბლიკაციის დავალებებით, ისინი ერთმნიშვნელოვანია, ადვილად გასაგებია, ლოგიკურადაა დაკავშირებული, სტილი საერთოა.

14. მეტყველების აქტის სტრუქტურა, მეტყველების ტიპი: დიალოგური, მონოლოგური.

15. გამოხატული განზრახვის თვალსაზრისი: ინფორმაციული (დიალოგი-ინტერვიუ), ინტერპრეტაციული, (თვითპრეზენტაციის დისკურსი), ინსტრუმენტალური (ბრძანებითი, არგუმენტირებული, დამარწმუნებელი), შეერთებითი (ემოციურ-ზემოქმედებითი ურთიერთქმედება კომუნიკანტებს შორის) და სხვა. კომპლემენტარული (ახასიათებს ინფორმაციის სიმწირე ერთ-ერთ კომუნიკანტს), კომპეტენტური (დაკავშირებულია აზრების კონკურენციასთან, ცოდნასთან, კომუნიკანტების მისწრაფებებთან), კოორდინაციული (ასოცირდება კომუნიკანტთა ქმედებების კოორდინაციასთან, პერკულტურული ეფექტის მისაღწევად).

16. სოციოლინგვისტური პრინციპი: პირადად-ორიენტირებული (როდესაც კომუნიკაციის მონაწილეები უმხელენ ერთმანეთს შინაგანი სამყაროს ყველა სიმდიდრეს და იღებენ როგორც პირადულს), საყოფაცხოვრებო და ეგზისტენციალური (მხატვრული და ფილოსოფიური დისკურსი) და სტატუსზე ორიენტირებული („ხდება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთს აღიქვამენ, როგორც საზოგადოების გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლებს, ერთი და იგივე ხარისხით“): ინსტიტუციონალური დისკურსი (პოლიტიკური, პედაგოგიური, რელიგიური და სხვა).

17. კომუნიკაციური ტონალობა: სერიოზული და იუმორისტული, საზეიმო-რიტუალური და ჩვეულებრივი, ინფორმაციული და მომხიბლავი, არსებითი და საბედისწერო.

18. სოციალური მნიშვნელობის დონე: დისკურსები, რომლებიც საუბრობენ და იცვლება დღითიდღე, დისკურსი, რომელიც ქრება იმ მოქმედებით, რომელშიც მათზე საუბრობდნენ და დისკურსი, რომლებსაც საფუძვლად უდევს გარკვეული სიტყვის ახალი მოქმედებები; აწყობს, აყალიბებს მათ ან ლაპარაკობს მათზე, რაც უკვე ნათქვამია და კიდევ ერთხელ უნდა ითქვას: რელიგიური, იურიდიული, ლიტერატურული და სამეცნიერო.

19. სამეტყველო კომუნიკაციის ასპექტები: საკრალური, უტილიტარული, სამხატვრო, ტექსტი ხმოვან მასობრივ კომუნიკაციაში.

20. ფუნქციის საფუძველი: ნორმატიული, საკონტაქტო, ჯგუფური, პოეტური, თვითგამოხატვის დომინირებით, მოტივების დომინირებით, სპეციალური ინფორმაციის დომინირებით.

21. ფსიქოლოგიური მახასიათებლები: ნათელი, აქტიური, უბრალო (სასტიკი), მხიარული, ლამაზი, დადლილი, სევდიანი, რთული, სასაცილო.

თანამედროვე მკვლევრები ნ. ცეცხლაძე და მ. ხახუტაიშვილი თავიანთ სახელმძღვანელოში „სტილისტიკა“, საუბრობენ რა ფუნქციურ სტილზე, იმოწმებენ ლ. ბარლასის სიტყვებს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ფუნქციურ სტილს ზოგი მეცნიერი ენის კატეგორიად მიიჩნევს, ზოგი - მეტყველების. საკითხი უკავშირდება ენათმეცნიერებაში თვით ენისა და მეტყველების მიმართების სხვადასხვაგვარ გაგებას. მკვლევრები მიდიან დასკვნამდე, რომ ფუნქციურ-ენობრივი სტილი ეს არის მეტყველების სახეობა, რომელიც ადამიანის საქმიანობის ტიპობრივი სფეროს შესაბამისად განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებს.

ფუნქციური სტილის სახეების გამოსაყოფად სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულ საკლასიფიკაციო ნიშანს გვთავაზობს და შესაბამისად, კლასიფიკაციაც ნაირგვარია.

ა. ეფიმოვი გამოყოფს სტილის შემდეგ სახეობებს: 1. მხატვრულ-ბელეტრისტულს; 2. საზოგადოებრივ-პუბლიცისტურს; 3. სამეცნიეროს; 4.

პროფესიულ-ტექნიკურს; 5. ოფიციალურ-დოკუმენტურს; 6. ეპისტოლარულს (Ефимов, 1969 :14-20).

რ. ბუდაგოვი გამოყოფს 1. ზეპირ და წერილობით 2. სამეცნიერო და მხატვრულ სტილებს (Будагов, 1958 :396).

ვ. მურატი განასხვავებს სტილის შემდეგ სახეებს:

1. სასაუბრო-ლიტერატურულს;
2. პოეტურს;
3. ოფიციალურ-საქმიანს;
4. სამეცნიეროს;
5. პროფესიულ-ტექნიკურს;
6. უბრალო სასაუბრო-ფამილიარულს (Мурат 1957 :20-21).

ყველა ეს სახესხვაობა დაიყვანება სტილის ხუთ სახეობამდე: სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული ლიტერატურის და სასაუბრო.

ა. არაბული წერს: „ფუნქციურ სტილთა რიგში ზოგჯერ მოიხსენიებენ მხატვრული ლიტერატურის სტილსაც, როგორც ენის ფუნქციონირების ერთ-ერთ სფეროს, თუმცა უმჯობესია მხატვრული და ფუნქციური სტილები გაიმიჯნოს მათი პრინციპული შინაარსობრივი განსხვავების გამო, იმდენად, რომ ისინი არსებითად დამოუკიდებელ სამეცნიერო სფეროებს წარმოადგენენ“. იქვე ვკითხულობთ, რომ „სტილისტური ნიშნების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო გამოკვეთილია მხატვრული სტილი, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი ტიპობრივი მხატვრული საშუალებების გამოვლენა არ გამოირიცხება სხვა სტილთა ფარგლებში“ (არაბული, 2005 :193);

ქართულ სალიტერატურო ენას ფუნქციურ სტილთა სრულყოფილი, კარგად განვითარებული სისტემა აქვს. თითოეული მათგანი ემსახურება საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს: მეცნიერებას - სამეცნიერო სტილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სფეროს - ოფიციალურ-საქმიანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას - პუბლიცისტური, ყოფით ურთიერთობებს - სასაუბრო. სტილის სხვა სახეობანი შედარებით ჩაკეტილი სისტემებია. ამათგან განსხვავებით მხატვრული ლიტერატურის სტილი არ უკავშირდება ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობას და აკისრია ესთეტიკური

ფუნქცია. ის არც ჩაკეტილ სისტემას ჰქმნის. ამდენად, იგი აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ ფუნქციური სტილის სახეობად თავისი სპეციფიკურობის გამო. თუ სტილის დანარჩენი სახეობების გამოყოფის საფუძველი ადამიანის საქმიანობის პრაქტიკული სფეროებია, ეს უკანასკნელი ენის მხატვრულ რეალიზებას უკავშირდება (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014 :43).

გამართული მეტყველებისა და სწორი წერისათვის აუცილებელია რამდენიმე ნიშანი:

1. აზრის გამოხატვის სისწორე - წინადადებაში აზრის გამოსახატავად საჭირო სიტყვები შინაარსობრივად და გრამატიკულად სწორად უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს.

2. მეტყველების სიზუსტე - მეტყველება ზუსტია, თუ ორაზროვნებისა და გაუგებრობისგან დაზღვეულია...

3. მეტყველების სიცხადე - ... მეტყველება მკაფიოა, თუ სიტყვები გარკვევით და შესაბამისი ინტონაციითაა წარმოთქმული, დაცულია პაუზა, ლოგიკური მახვილი სწორია, წერის დროს კი სასვენი ნიშნები სწორადაა გამოყენებული.

4. ლაკონურობა - მეტყველება ლაკონიურია, თუ სათქმელი მოკლეა და ტევადი.

5. სიწმინდე (ნორმატიულობა) - მეტყველება სწორია, თუ დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები, საჭირო სიტყვები და თვით წინადადებები შინაარსობრივად და ფორმობრივად გამართულია. მეტყველება წმინდაა თუ იგი არ შეიცავს ბარბარიზმებს, დიალექტიზმებს (პროვინციალიზმებს, ჟარგონიზმებს, კალკებს).

6. ბუნებრიობა - ბუნებრიობა ნიშნავს ისეთი თქმების გამოყენებას, რომელიც მოცემული ენისათვის ნიშანდობლივია. ხელოვნური ფორმები ენას ამძიმებს.

7. სიტყვათა წყობა - დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა წყობასაც. მართალია, ქართულში სიტყვათგანლაგება თავისუფალია, მაგრამ ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებებს.

ყოველ სტილს გარდა საერთო ნიშნებისა, მოეპოვება სპეციფიკური მახასიათებლებიც - საგანგებოდ შერჩეული ენობრივი შესაძლებლობები. ის ნიშნებიც, რომლებიც საერთოა სხვადასხვა სტილისათვის, აქ განსხვავებულ ფუნქციებს იძენს (იქვე :45).

სამეცნიერო სტილი: სამეცნიეროა გამოკვლევების, სახელმძღვანელოების, მოხსენებებისა და მისთანათა ენობრივი სტილი, მათი ენა. ამ სტილის ნიმუშებია აკადემიური (მონოგრაფია, გამოკვლევა, სტატია, სახელმძღვანელო) და ინფორმაციულ-რეფერატული ტექსტები (ანოტაცია, რეფერატი, ასევე რეცენზია, გამოხმაურება) (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014 :46).

სამეცნიერო სტილის უმთავრესი ფუნქციაა ინტელექტუალური კომუნიკაცია. იგი „სპეციალურადაა განკუთვნილი ადამიანთა ოპტიმალური სამეცნიერო ურთიერთობებისათვის“.

ფუნქციისა და მიზნის მიხედვით გამოიყოფა სამეცნიერო სტილის შემდეგი სახეები: საკუთრივ სამეცნიერო, სასწავლო-სამეცნიერო (საგანმანათლებლო) და სამეცნიერო პოპულარული.

სამეცნიერო სტილის სპეციფიკა შეპირობებულია რამდენიმე ნიშნით:

1. ფორმოზრივი მხარე: იგი წერილობითია (ასეთი ფორმა დიდხანს ინახავს ინფორმაციას, ეკონომიურია და იძლევა შესაძლებლობას, მკითხველი ბევრჯერ მიუბრუნდეს მას); მოხსენება ზეპირია, მაგრამ იქმნება სამეცნიერო სტილით, უქვეტექსტოა, ნაწარმოების ფორმა მონოლოგია.

2. შინაარსობრივი მხარე: სამეცნიერო სტილის შინაარსობრივი მახასიათებლებია: სიზუსტე, ლოგიკურობა, თანმიმდევრული მსჯელობა, ობიექტურობა, მტკიცებითობა, განზოგადება, დასკვნა.

სამეცნიერო სტილში უგულებელყოფილია სუბიექტურ-ემოციური ლექსიკა, სიტყვები მონოსემიურია, მეტაფორა დემეტაფორიზებული. მუდმივ და აუცილებელ ცნებათა სისტემა ჰქმნის ტერმინოლოგია, რომელიც შეიძლება იყოს: საერთომეცნიერული (სისტემა, ფუნქცია, დრო, ელემენტი, კლასიფიკაცია...), დარგობრივი (ვაკუუმი, გენერატორი, თერმული...), ვიწროსპეციალური (ბიოგენური, უჯრედოვანი, სუფიქსი, აფიქსი, აბრევიატურა...).

თითოეულ დარგს სპეციალური ტერმინოლოგია აქვს.

მორფოლოგიური სისტემის თავისებურებანი სამეცნიერო სტილში გამოიხატება იმაში, რომ გამოყენების სიხშირით პირველ ადგილზე არსებითი სახელია.

სამეცნიერო სტილში ახლანდელი დროის ფორმებიც უდროა. აქ ნიშანდობლივია ხანგრძლივი სტატიკური მდგომარეობის გამომხატველი ფორმები: ყოფნა, ქონა, მდებარეობა... (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014 :51).

პუბლიცისტური სტილი: პუბლიცისტური ეწოდება პერიოდული გამოცემის მრავალფეროვანი მასალის ენობრივ თავისებურებებს, მათ სტილს. ამ სტილის ნიმუშებია: ნარკვევი, ჩანახატი, მოწოდება, ცნობა, ფელეტონი, პოლიტიკური სტატია, რეპორტაჟი, მიმართვა, რეკლამა.

პუბლიცისტური მასალა ნაბეჭდია, წერილობითია, თუმცა იგი ზეპირადაც გადმოიცემა კრებებზე, საზეიმო სხდომებზე. ზეპირია პოლიტიკური მოხსენება, აგიტაცია, პროპაგანდა.

პუბლიცისტური ტექსტების მიზანია მოქალაქეთა ჯგუფის ინფორმირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ახალი ფაქტების, მოვლენების, კულტურის, მეცნიერებისა თუ ტექნიკის ახალი მიღწევების (კომუნიკაციური ფუნქცია) შესახებ; ობიექტური ვითარების წარმოდგენა და სასურველი მიმართულებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირება; მოქალაქეთა ინტერესისა და აქტიურობის გამოწვევა, სოციალური პროცესების წახალისება. ამ სტილის მიზანია, პროპაგანდა გაუწიოს ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი შეგნების, განათლების დონის ამაღლებას. განასხვავებენ პროპაგანდის სამ სახეს: თეთრს, რუხს და შავს (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014 :71).

თეთრი პროპაგანდის წყაროს დადგენა ადვილია, იგი გადასცემს ნამდვილ ინფორმაციას. რუხ პროპაგანდაში ინფორმაციის სიზუსტე საეჭვოა. შავი პროპაგანდა გულისხმობს ცრუ, ფაბრიკაციული ინფორმაციის გავრცელებას. ის ემსახურება განსაზღვრულ იდეოლოგიას (იქვე :71).

პუბლიცისტური სტილის შინაარსობრივ მხარეს რაც შეეხება, ის განისაზღვრება ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან, მიზანსა და მისწრაფებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი თემატიკით. „თხრობა ზუსტია და ცხადი, ფაქტები აისახება ადეკვატურად, მსჯელობა ლოგიკურად თანმიმდევრული და იდეურად გამართულია, მოვლენები განზოგადებულადაა წარმოდგენილი, გამოხატულია

სათქმელისადმი ემოციური დამოკიდებულება, რითაც მიიღწევა მკითხველზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა, შექმნან მასში საგნისა თუ მოვლენისადმი შესაფერისი დადებითი ან უარყოფითი განწყობილება“ (ბასილაია, 1991 :55-56).

ფორმობრივი ნიშნები: პუბლიცისტური სტილი წერილობითია; ის მრავალსტილიანია, გვხვდება სხვადასხვა სტილის ნიმუშები. მაგ.: საინფორმაციო ხასიათისაა ცნობა, განცხადება, რეპორტაჟი, ინტერვიუ, რეცენზია, ბიოგრაფია, ნეკროლოგი. ზემოქმედებითი ანუ ემოციურ-ექსპრესიულია ფელეტონი, პაფლეტი, ჩანახატი, მოწოდება, ლოზუნგი, მიმართვა, პოლემიკური წერილი (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014 :71).

ლექსიკური თავისებურებანი: პუბლიცისტური სტილი მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობითაც. პუბლიცისტური სტილის ლექსიკა ამბებისა თუ მოვლენების სოციალურ შეფასებას გამოხატავს და მომწოდებლური, დეკლარაციული ხასიათი აქვს.

მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად აუცილებელია ლექსიკის ემოციური შეფერილობა. დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას და სიტყვათა მყარ შენაერთებს: დაპყრობითი პოლიტიკა, თანაარსებობა, თეთრი სახლი, ცივი ომი, თავდადებული შრომა, აქტიური მონაწილეობა, მაღალი მაჩვენებლები (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014 :72).

ინტერვიუში, კორესპონდენციასა და რეპორტაჟში ბევრია ნასესხები, უცხო სიტყვა და ინტერნაციონალიზმი; ახალი ინფორმაციის ოპერატიული მიღება-გადამუშავებითაა გამოწვეული ენობრივი კალკების შემოჭრაც. მრავლად გვხვდება სამეცნიერო, პროფესიული ტერმინოლოგია, დაწესებულებების, ორგანიზაციების, პერიოდული გამოცემების სახელწოდებანი.

მორფოლოგიური თავისებურებანი: ზმნის ორგანულ ფორმათა ნაცვლად გამოიყენება აღწერითი ფორმები; აქ ზმნის პირველი პირის ფორმა უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის სტილში.

სინტაქსური თავისებურებანი: პუბლიცისტურ სტილში მეტწილად მარტივი ან მოკლე რთული წინადადებები გამოიყენება; მოდალობის მიხედვით ისინი ძახილის, კითხვა-ძახილის, ან ბრძანებითია. ნიშანდობლივია წინადადების წევრთა ინვერსიული წყობა.

პუბლიცისტურ სტილში საგანგებო ყურადღება ექცევა სათაურს. ეფექტური სათაური ტექსტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია. იგი მკითხველს ეხმარება, გამოიცნოს პუბლიკაციის თემა და მისი მთავარი იდეა, ავტორისეული პოზიცია. სათაურის შერჩევა კარგად დაფიქრებას, ოსტატობას მოითხოვს ჟურნალისტისაგან, რომელიც, მართალია, დროით შეზღუდულია, მაგრამ ვალდებულია ის ოსტატურად მოარგოს ტექსტს (იქვე :73).

პუბლიცისტური სტილის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. სხარტი და დინამიკური თხრობა;
2. თემის აქტუალურობა, ინფორმაციის სიახლე და ექსკლუზიურობა;
3. ახალი ლექსიკა-ტერმინოლოგიის, სლენგის აქტიური გამოვლენა;
4. პოლიტიკური პათოსი;
5. ენობრივი შტამპების, კლიშეების ჩამოყალიბების ტენდენცია;
6. საზოგადოებრივი პოზიციის აქტიური გამოვლენა;
7. სიტყვებისა და გამოთქმების მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენება;
8. შემოკლებები და აბრევიატურები;
9. ეფექტური და საპრეზენტაციო ფრაზების წინ წამოწევა;

პუბლიცისტური სტილის ხარვეზებია:

1. სინამდვილის სუბიექტური ასახვა;
2. ნეგატიური ინფორმაციის შეფარვა;
3. ჭარბი ნეგატიურობა;
4. სათქმელის ზედმეტი პოლიტიზება;
5. სათქმელის ბუნდოვნად გადმოცემა;
6. რთულ, გაუგებარ ტერმინთა გამოყენება;
7. აღწერითი ფორმების გაბატონება;
8. ენის ვულგარიზაცია;
9. სასაუბრო სტილის ფორმების მიზანშეუწონელი გამოყენება;

მაშასადამე, პასუხი კითხვაზე თუ რატომ არის პუბლიცისტური სტილი ასეთი მნიშვნელოვანი ჩვენთვის, შემდეგია: პუბლიცისტური სტილი გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, ინფორმაციის გავრცელებაში და საჯარო დებატების წახალისებაში. ეს სტილი, რომელიც უფრო ხშირად

ჟურნალისტიკაში იჩენს თავს, ისევე როგორც მოსაზრებების დაფიქსირებისა და სიტყვით გამოსვლის შემთხვევაში, შექმნილია ისე, რომ იყოს მიმზიდველი, დამაჯერებელი და ხელმისაწვდომი, რაც ხელს უწყობს ფართო აუდიტორიის ინფორმირებას და მათზე გავლენის მოხდენას. აღნიშნული სტილის გაგება საშუალებას გვაძლევს კრიტიკულად გავაანალიზოთ მედიის ენა, ამოვიცნოთ მიკერძოება და შევაფასოთ ენის ძალა საჯარო კომუნიკაციაში.

მხატვრული ლიტერატურის სტილი: მხატვრულია სტილი, რომელიც ემსახურება სინამდვილის მხატვრულ გარდასახვას. სამეცნიერო და მხატვრულ სტილთა შედარებითი ანალიზი წარმოაჩენს მათ შორის მსგავსება-განსხვავებას.

ლიტერატურა სიტყვიერი ხელოვნებაა, მისი სპეციფიკური მასალა სიტყვაა, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ მიუთითებენ იმაზე, რომ შეუძლებელია იმ შეხედულების შეწყნარება, რომელიც მხატვრული ლიტერატურისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმას ენასთან აიგივებს. ეს შეხედულება ისეთივე შეუსაბამოა, როგორცაა, მაგალითად, ფერწერისათვის ნიშანდობლივი მხატვრული ფორმის ფერთან გაიგივება (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014: 79).

მხატვრული სტილის ჟანრებია: ბელეტრისტიკა (მოთხრობა, ნოველა, რომანი, ფელეტონი, პამფლეტი, ჩანახატი); პოეზია (პოემა, ლექსი); დრამატურგია (დრამა, კომედია, ტრაგედია); იუმორისტულ-სატირული ნაწარმოებები.

ამ სტილის ფუნქციებია ესთეტიკურობა, გამომსახველობითობა და ექსპრესიულობა.

სასაუბრო სტილი თავისი სპეციფიკური ნიშნებით უპირისპირდება მწიგნობრულს. თუ კოდიფიცირებულ ტექსტებში დაცულია ენობრივი წესები და ნორმები, სასაუბრო სტილის წესები და ნორმები არაა ფიქსირებული.

ამ სტილის ჟანრებია: საუბარი, დიალოგი, კამათი, თხრობა. მისი ეთიკა განისაზღვრება მისალმება-დამშვიდობების ფორმულებით, სათქმელის ევფემიზაციით, თავაზიანი ფორმებით თუ საუბრის შეწყვეტინებით ანდა შემხვედრი რეპლიკებით.

სასაუბრო სტილის ძირითადი ფუნქციაა აზრთა გაზიარება. იგი ჰქმნის გარკვეულ სისტემას, რომელიც ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება.

ზეპირი მეტყველების დროს მოლაპარაკეს წინასწარ არ აქვს მოფიქრებული სათქმელი, ან მისი გადმოსაცემი ენობრივი საშუალებანი. მოკლედ, სასაუბრო სტილი სიტუაციურია, რომელიც ერთგვარად ავსებს და აზუსტებს მოსაუბრის მეტყველებას, ამიტომ აქ უპირატესობა ენიჭება მოკლე ფორმებს (იქვე :82).

გამოყოფენ სასაუბრო სტილის ორ სახეს: სასაუბრო-ლიტერატურულს და სასაუბრო-ფამილიარულს. ზეპირმეტყველებას განეკუთვნება: ლექცია, მოხსენება, საჯარო სიტყვა, რომლებიც გადაიცემა წერილობითაც და ტექნიკური საშუალებითაც, მაგრამ მათი სტილი წიგნურია, დიდი ყურადღება ექცევა სალიტერატურო ენის ნორმის დაცვას.

სასაუბრო სტილი ძირითადად დიალოგურია ან პოლილოგური, იგი უშუალოა, თუმცა აქ გვხვდება მოკლე მონოლოგები ან გაბმული თხრობა.

მხოლოდ სასაუბრო სტილში გვხვდება ისეთი ექსტრალინგვისტური ელემენტები, როგორებიცაა ჟესტები და მიმიკა. ჟესტი კიდურების მოძრაობას ეწოდება, მიმიკა კი - სახის ნაკვეთებისას; მათი ზომიერი გამოყენება მეტყველებას ექსპრესიულობას სძენს, გადაჭარბება კი ნაკლად ითვლება. არაენობრივი (ექსტრალინგვისტური) ფაქტორების გამოყენების გამო სასაუბრო მეტყველება უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე წერილობითი ინფორმაცია, რაც ასევე იმით დასტურდება, რომ მაგალითად, აგრესიის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ხელის ზედმეტად ქნევა, საჩვენებელი თითით ვიდაცასთან საუბარი და მის პირისპირ ახლოს დგომა, მუშტის ჩვენება, დაჟინებული მზერა, დოინჯი და სხვ.

ჩვენთვის სასაუბრო სტილის სტილურ ნიშნებზე დაკვირვება საინტერესოა, რადგანაც ისინი გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში. საუბრის სტილის გაანალიზებით, ლინგვისტებს შეუძლიათ გამოავლინონ ნიუანსები იმისა, თუ როგორ გამოიყენება ენა ურთიერთობების დასამყარებლად, ემოციების გადმოსაცემად, კონკრეტული ურთიერთქმედებების მიზნების მისაღწევად და ა.შ. ამ გაგებას, ასევე შეუძლია გამოავლინოს კულტურული ნორმები, ინდივიდუალური პიროვნული თვისებები.

გარდა ამისა, ის ხელს უწყობს საკომუნიკაციო სტრატეგიების გაუმჯობესებას, ენის უფრო ეფექტურად სწავლებას.

ფონეტიკური თავისებურებანი: ამ სტილში ბევრად უფრო შესამჩნევია ხმოვნების და თანხმოვნების ჯგუფების რედუქცია. მასში დიდ როლს ასრულებს ტემპი, რიტმი, ტემბრი, პაუზა, მახვილი.

პაუზა მეტყველების ერთ-ერთი ელემენტია და ფრაზის დანაწევრებისთვისაა აუცილებელი. ტემპი შეიძლება იყოს ჩქარი, ზომიერი და ნელი. სალიტერატურო მეტყველებისათვის დამახასიათებელია ფრაზის რიტმული მოწესრიგებულობა.

ტემბრი ადამიანის ხმის შეფერილობაა, ჟღერადობაა. მეტყველების ტემბრი განსხვავებულია, თუ სათქმელს ირონიულად გადმოვცემთ ან ვესაუბრებით თანატოლს ანდა ვკითხულობთ მოხსენებასა თუ ლექციას, ინტონაციაც მრავალფეროვანია. იგი სულ სხვა აზრობრივ ელფერს შეიცავს.

ლექსიკური თავისებურებანი: სასაუბრო სტილისთვის ნიშანდობლივია მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო ლექსიკა, ფამილიარული (შინაურული, მოურიდებელი), ემოციის, ექსპრესიისა და შეფასებითი იერის სიტყვები (შორისდებულები, ნაწილაკები), თავისებური ფრაზეოლოგია (ფეხებზე დაიკიდა, კისერი ამოიგდო, მის ყბაში ჩავარდა, პაპაჩემის მოსაკითხად წავიდა, მარილზე გავიდა, ფეხები გაფშკა ...) (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014 :83).

სალიტერატურო ენის ნორმები აქ მეტწილად უგულებელყოფილია და ფართო გასაქანი აქვს დიალექტივიზმებს, ჟარგონებს, ბარბარიზმებს და ა.შ. გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ერთი ინდივიდის მეტყველების თავისებურებაა და არაა სხვათა მეტყველებაში. სასაუბრო სტილში გამოიყენება ე.წ. სიტყვა-პარაზიტებიც, რომლებიც მხოლოდ ზეპირი მეტყველების ნაკლია.

გრამატიკული თავისებურებანი: მორფოლოგიაში სავალდებულოა ზმნის აქტიური ფორმების გამოყენება, სინტაქსში ქართულისათვის ბუნებრივი თქმების დაცვა, მაშინ როცა რუსულში ნიშანდობლივია სახელზმნის - საწყისისა და მიმღეობის ფორმები, ინგლისურში კიდევ მრავლადაა ფრაზული ზნა.

სინტაქსური თავისებურებანი: აღსანიშნავია მარტივი, ელიფსური და უსრული წინადადებები. პასუხში გამოტოვებული სიტყვები კითხვაში არის მოცემული. სასაუბრო სტილს ახასიათებს როგორც თხრობითი, ისე კითხვითი, ბრძანებითი და

მახილის წინადადებების სიმრავლე, ხშირია რთული წინადადებების შენაცვლება მარტივით. წინადადებაში ნიშანდობლივია სიტყვათა გამეორება, განკერძოებული წევრები, ჩართული თქმები, მიმართვა, შეკვეცილი სიტყვები.

სასაუბრო სტილში მოქმედებს სამეტყველო საშუალებების ეკონომიის კანონი (ე.წ. „ენობრივი ეკონომიის პრინციპი“): მსაზღვრელ-საზღვრული იშვიათადაა წარმოდგენილი სრულად, საზღვრული ხშირადაა გამოტოვებული. მაგ.: დიპლომი - სადიპლომო ნაშრომი, დეკრეტი - სადეკრეტო შვებულება; ჩაბარება - უნივერსიტეტში ჩაბარება, დამთავრება - უნივერსიტეტის დამთავრება, მოხსნა- სამსახურიდან გათავისუფლება (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014 :84).

მეტყველების ზეპირი ფორმების მახასიათებლებია: სინქრონულობა, ოპერატიულობა და ადრესატის კონკრეტიზაცია. ზეპირი ყოფითი დიალოგი ურთიერთობის იდეალური ფორმაა. იგი, როგორც ყოველგვარი ურთიერთობა, ორმხრივი აქტია. დიალოგში მუდმივად მონაწილეობენ და იცვლიან მოლაპარაკე და მსმენელი როლებს.

საუბარში განსაკუთრებულ როლს ასრულებს პრაგმატიკა. კომუნიკაციის სტრუქტურაზე გავლენას ახდენს ადრესატის დახასიათება, ადრესანტი და სიტუაცია. საუბრის მოტივაცია დამოკიდებულია მოსაუბრეთა სოციალურ როლებზე, მათ ფსიქიკურ თავისებურებებსა და ემოციურ მდგომარეობაზე. მოსაუბრენი ეცნობიან ერთმანეთს, ე.ი. მათ აქვთ ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია (იქვე :85).

სასაუბრო სტილის სტილური ნიშნებია:

1. არაოფიციალურობა;
2. სიტუაციურობა;
3. სპონტანურობა, მყისიერება;
4. სალიტერატურო ენის ნორმათა დაუცველობა;
5. დიალოგურობა;
6. ენობრივ საშუალებათა ეკონომია;
7. რეკლიკათა შერწყმა, უსრული წინადადებები;
8. ექსპრესიულ-ემოციური ლექსიკა.

დასკვნის სახით: ისეთი მეცნიერები და მკვლევრები, როგორებიც არიან თ. ვან დიკი, რ. ბარტსი და მ. ბახტინი, დისკურსის ტიპოლოგიის შედეგად მის ხუთ სახეს

განიხილავენ: თხრობითი, აღწერილობითი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და ექსპოზიციური;

აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი დამოკიდებულება ფუნქციური სტილისა და დისკურსის სინონიმებად მიჩნევის თაობაზე; ვინაიდან, ტექსტები შესაძლოა დავყოთ სხვადასხვა ფუნქციურ სტილად ანუ ისეთ ტექსტებად, რომლებიც ამა თუ ფუნქციურ სტილში ერთიანდება და რადგანაც, დისკურსს მივიჩნევთ ტექსტების ერთობლიობად, შეგვიძლია ხაზი გავუსვათ იმას, რომ ტექსტები თავიანთი ფუნქციითა და დანიშნულებით, ერთიანდებიან შემდეგ დისკურსებად: სამეცნიერო დისკურსი, ოფიციალურ-საქმიანი დისკურსი, პუბლიცისტური დისკურსი, მხატვრულ-ლიტერატურული დისკურსი და სასაუბრო დისკურსი.

ფუნქციური სტილი, ცნობილი როგორც რეგისტრი, წარმოადგენს ენის სახეობებს, რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში, კონკრეტული მიზნებისთვის. ისინი გავლენას ახდენენ და ექვემდებარებიან დისკურსს რამდენიმე გზით: ფუნქციური სტილი, ჩვეულებრივ, შეირჩევა კომუნიკაციის მიზნისა და კონტექსტის გათვალისწინებით. მაგ.: სამეცნიერო დისკურსი იყენებს ფორმალურ, ზუსტ სტილს ტექნიკური ინფორმაციის მკაფიოდ გადმოსაცემად, ხოლო კონტექსტი (აკადემიური, პროფესიული) აყალიბებს ტექსტის ენობრივ თავისებურებებს; სხვადასხვა ფუნქციური სტილი მორგებულია სხვადასხვა აუდიტორიაზე; მაგალითად, პოლიტიკურმა დისკურსმა შეიძლება მიიღოს დამაჯერებელი სტილი ამომრჩევლებზე ჩართვისა და გავლენის მოხდენის მიზნით, რაც იმასაც გულისხმობს, რომ განკუთვნილი აუდიტორია კარნახობს სტილის არჩევანს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ტექსტის აგებასა და ინტერპრეტაციაზე. ფუნქციური სტილები ხასიათდება სპეციფიკური ენის ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა ლექსიკა, სინტაქსი და რიტორიკა. ეს თვისებები ხელს უწყობს დისკურსს, რომ მაილწიოს კომუნიკაციურ მიზანს. ფუნქციური სტილები ასახავს და აძლიერებს სოციალურ და კულტურულ ნორმებს დისკურსში. სტილის არჩევანი მიუთითებს კონკრეტული საზოგადოების ან კონტექსტის მოსალოდნელი ნორმების დაცვაზე. მაგალითად, სოციალურ მედიაში შემთხვევითმა დისკურსმა შეიძლება გამოიყენოს არაფორმალური ენა და აბრევიატურები.

მოკლედ რომ ვთქვათ, ფუნქციური სტილები და დისკურსი ურთიერთდაკავშირებულია. ფუნქციური სტილი იქმნება და ყალიბდება დისკურსის კონტექსტის, მიზნის, აუდიტორიისა და სოციალური ნორმების მიხედვით. ამ ურთიერთობის გაგება კი გადამწყვეტ როლს ასრულებს ეფექტური კომუნიკაციისა და დისკურსის ანალიზისთვის.

§1.4 სოციალური და პოლიტიკური დისკურსი

სოციალურ დისკურსზე საუბარი უნდა დავიწყოთ იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, თუ რას ვგულისხმობთ სოციალურ ტექსტში (დისკურსში). შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი რასაც ვსაუბრობთ, ვწერთ ჩვენს საზოგადოებაში, ყველაფერი რაც, თუნდაც, იბეჭდება ან წარმოდგენილია ელექტრონული მედია საშუალებების სახით - თავის მხრივ წარმოადგენს სოციალური ტექსტების მაგალითებს..

ინტერნეტმა, მასმედია - შეამცირა მანძილი ადამიანებს შორის, შეამცირა ახალი ამბების მიწოდების დრო, ზოგ შემთხვევაში ადგილიც კი. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ მასმედია დიდ როლს თამაშობს პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში.

მედია დისკურსისთვის დამახასიათებელია ორაზროვნება; მკითხველისთვის შეიძლება გაურკვეველი იყოს ზოგიერთი ფაქტი, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც პოლისემიურობით, ისე კულტურათა შორის სხვაობით. საყოველთაო ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენს ყურადღებას იპყრობს პრესის დისკურსი, რომელიც მედია დისკურსის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ტელედისკურსი საკმაოდ განსხვავდება საგაზეთო დისკურსისაგან. ტელედისკურსი უფრო თამამი და გაბედულია, საგაზეთო კი - თავშეკავებული, რადგან ის წერილობით დისკურსს წარმოადგენს. ამასთანავე, ტელედისკურსი უფრო მეტი ეფექტურობით და არეალით გამოირჩევა, ვიდრე პრესის დისკურსი (სვანი, 2017 :16).

მ. სვანის მიხედვით: „მედიის განვითარება უწყვეტი და შეუქცევადი პროცესია, სადაც კომუნიკაციის ერთი ფორმა მეორეთი იცვლება, თუმცა ახალ მედია საშუალებებთან ერთად ძველიც არსებობს. მედია ენის მოქმედებისა და

შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს, რომელსაც „ყველას სახლში შეღწევა“ შეუძლია. მედიის ენა ბუნებრივობითა და კომუნიკაციური სპონტანურობით გამოირჩევა, ხოლო პრესის ენა უფრო დაკვირვებულია და დაფიქრების საშუალებას იძლევა, თუმცა ორივე მათგანში აირეკლება მუდმივად ცვალებადი ენობრივი ნორმები. პრესაში გამოყენებული ტექსტების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ყველაზე ხშირად გავრცელებული შემდეგი ტიპის ტექსტები:

- ინფორმაციული ტექსტები - მათი ძირითადი მიზანი შეტყობინებაა, რეალური მოვლენებისა და ფაქტების შესახებ.

- არგუმენტირებული ტექსტები - აზრი რომ უფრო დამაჯერებელი და მყარი გახდეს, ეს მეთოდით გამოიყენება პრესაში.

- მტკიცება - რომელიც ჩვეულებრივ რაიმე ფაქტს ან მოვლენას შეეხება“ (სვანი, 2017 :17)

მედია-ტექსტი კოდებისა და ნიშნებისაგან შედგება.

ცნობილი ენათმეცნიერი რომან იაკობსონი სამეტყველო აქტებისა და ვერბალური კომუნიკაციის ექვს შემადგენელ ფაქტორს გამოჰყოფს: ადრესატი, ადრესანტი, კონტექსტი, გადასაცემი ინფორმაცია (მესიჯი), კონტაქტი და კოდი. კონტაქტში იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქოლოგიური კავშირი ადრესატსა და ადრესანტს შორის, რომელიც საშუალებას აძლევს მათ დაამყარონ კომუნიკაცია. საგაზეთო სტატიების განხილვისას სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო. ზემოთ მოყვანილი ექვსი ფაქტორი ენის სხვადასხვა ფუნქციას განსაზღვრავს. ენის ფუნქციაზე საუბრისას იაკობსონი შემდეგ ექვს ფუნქციას განიხილავს: ემოციურს, რეფერენციულს, პოეტურს, პათიკურს, მეტალინგვისტურსა და კონატურს.

მეცნიერები სოციალური სტილის ორ ძირითად ფუნქციას გამოყოფენ: ინფორმაციულსა და პრაგმატულს (ანუ ზემოქმედების). გაზეთის ენის ერთ-ერთი თავისებურებაა გადასცეს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ნაკლებ დროში. მასმედიის ფუნქციებად მიიჩნევა: ინფორმაციულობა, შეფასება, შემოქმედებითობა, სემიოტიკური მხარე, ინტელექტუალური ასპექტი, პროპაგანდა და სხვ., ანუ ის რაც

დომინირებს კომუნიკაციურ სივრცეში. ბეჭდვითი სიტყვა ხალხს უვითარებს გემოვნებას, მსოფლმხედველობას, პოლიტიკურ შეხედულებებსა და სხვა (იქვე :72).

მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა ინტონაცია.

მასმედიის მთავარ ფუნქციებს ინფორმაციის გადაცემა და აგიტაცია-პროპაგანდის გაწევა წარმოადგენს. საგაზეთო პუბლიცისტიკა უშუალოდ გამოხატული ზემოქმედების ანუ ექსპრესიული ფუნქციის გამომხატველია. ავტორი ცდილობს თავის სიმართლეში დაარწმუნოს ადრესატი. თუ სამეცნიერო მეტყველებაში ავტორი მიმართავს ადრესატის გონებას, ობიექტური არგუმენტაციით ცდილობს მის დაარწმუნებას, პუბლიცისტი კი ამას ემოციური ზემოქმედების გზით აღწევს; ამ დროს იგი აშკარად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას შეტყობინებისადმი. საინფორმაციო ფუნქცია მასმედიაში ხორციელდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მსგავსი თემატიკის გადმოცემით.

„ექსპრესიულ საშუალებათა გამოყენებით მასმედიის ენა უახლოვდება მხატვრულ მეტყველებას და შორდება მეცნიერულს. მასმედია უბრალოდ კი არ გადმოგვცემს რაიმე ფაქტს, არამედ მკვეთრად გამოხატავს ამ ფაქტისადმი საკუთარ დამოკიდებულებას, ისწრაფვის რა ადრესატიც დაარწმუნოს თავისი დამოკიდებულების სისწორეში, რისთვისაც მიმართავს ენის ისეთი რესურსების მობილიზაციას, რომელთაც უკეთ შეუძლიათ ადამიანთა გონებასა და გრძნობაზე ზემოქმედება“ (იქვე :73).

რაც შეეხება პოლიტიკურ დისკურსს; ის, დღეისთვის, აქტიური შესწავლის საგნად იქცა ლინგვისტებისთვის, რომლებიც ცდილობენ წარმოაჩინონ პოლიტიკური დისკურსის კონცეფცია და ჩამოაყალიბონ მისი ძირითადი მახასიათებლები, ასევე განსაზღვრონ ფუნქციები. ნ. სინეოკაია პოლიტიკურ დისკურსს ანალიზებს, როგორც: „ინსტიტუციონალურ კომუნიკაციას, რომელიც პიროვნულობაზე ორიენტირებულისაგან განსხვავებით, გამოიყენებს პროფესიონალურად ორიენტირებულ ნიშანთა გარკვეულ სისტემას, ანუ მას აქვს საკუთარი ენა“ (Синеока, 2012 :1-7).

ვ.ზ. დემიანკოვი აფასებს პოლიტიკას, როგორც: „ადამიანის საქმიანობის სპეციფიკურ სფეროს, რომელიც თავისი ბუნებით წარმოადგენს მეტყველების

მოქმედებების ერთობლიობას. პოლიტიკური კომუნიკაციის მთავარი მიზანი ძალაუფლებებისთვის ბრძოლაა. ძალაუფლების უფლების დაცვა პოლიტიკურ დისკურსში გამოიხატება შემდეგი მახასიათებლებით: შეფასება და აგრესია, ეფექტურობა და თვალსაზრისის დაცვა“ (Демьянков, 2002 :35).

პოლიტიკური დისკურსის აგრესიულობა და შეფასება: ტოტალიტარული დისკურსის შესახებ აღწერილობაში ვ.ზ. დემიანკოვი აღწერს ეთიკურ ტერმინს - „ორატორობა“ - განცხადების დეკლამატორული სტილი, პროპაგანდული ტრიუმფალიზმი, იდეოლოგიზაცია იმაზე, რაზეც საუბარია - „კონცეფტების ფართო გამოყენება ლოგიკის საზიანოდ, გაზრდილი კრიტიკა, სლოგანიზმი, აგიტაციური ენთუზიაზმი, „სუპერ-ეგოს“ გავრცელება, სრული ჭეშმარიტების პრეტენზია“. ეს თვისებები პოლიტიზირებულია და განასხვავებს მას მეტყველების სხვა ფორმებისგან. პოლიტიკა გავლენას ახდენს სიტყვების არჩევანზე და წარმოადგენს ერთგვარ თეატრალურ აგრესიას. პოლიტიზმი მიზნად ისახავს მოსაუბრის მიერ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შემოტანას, სხვა ფასეულობების შეფასებების დაკისრებას. სწორედ ამიტომ, გარკვეულ შემთხვევებში პოლიტიკური ტერმინები აღიქმება უარყოფითად ან პირდაპირ შეურაცხყოფად.

პოლიტიკური დისკურსის ეფექტიანობა: პოლიტიკური დისკურსის საზოგადოებრივი დანიშნულება - ვ.ზ. დემიანკოვის აზრით - მდგომარეობს იმაში, რომ ადრესატს (ერთობის წევრს) შთააგონოს პოლიტიკურად მართალი ქმედებებისა და შეფასებების აუცილებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური დისკურსის მიზანია არა აღწერა, არამედ დადანაშაულება, ადრესატში განზრახვების გამოღვიძების გზით, უზრუნველყოს დამაჯერებლობა და გამოიწვიოს მოქმედება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დარწმუნება - პოლიტიკური დისკურსის მთავარი მახასიათებელია (Демьянков, 2002 :37).

პოლიტიკური დისკურსის თვალსაზრისის დაცვა: იმისათვის, რომ პოლიტიკური დისკურსი ეფექტური იყოს, აუცილებელია ის აიგოს გარკვეული მოთხოვნების შესაბამისად. მომხსენებლები ჩვეულებრივ ვარაუდობენ, რომ ადრესატმა იცის რომელ ბანაკს ეკუთვნის ინფორმაციის გამგზავნი, რა როლს თამაშობს ის, რისთვის და რის წინააღმდეგ საუბრობს ის. პოლიტიკური დისკურსი

მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის „საბრძოლო ძალის“ განადგურებას - მოსაზრებები და არგუმენტები. მ.ვ. გავრილოვა პოლიტიკური დისკურსის შემდეგ სისტემატიზირებულ ნიშნებს გამოჰყოფს: ინსტიტუციონალიზმი, სპეციფიკური ინფორმაციულობა, სემანტიკური გაურკვევლობა, ფანტომი, მასმედიის ფაქტორების განსაკუთრებული როლი, დისტანცია და ავტორიტარიზმი, თეატრალიზმი და დინამიკურობა (Гаврилова, 2002 :10-15).

პოლიტიკური დისკურსის სემანტიკური სივრცე მოიცავს სამი სახის ნიშანს: სპეციალიზირებულად ვერბალური (პოლიტიკური ტერმინები, ანთროპონიმები), სპეციალიზირებულად არავერბალური (პოლიტიკური სიმბოლოები) და არასპეციალიზირებული, რომლებიც თავდაპირველად არ იყო ორიენტირებული კომუნიკაციის ამ სფეროსთან, მაგრამ მასში სტაბილური ფუნქციონირების გამო შეიძინა სპეციალური მნიშვნელობა (პირადი ნაცვალსახელები) (Гаврилова, 2002 :10-15).

პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ შენიღბონ თავიანთი მიზნები ამომრჩევლის ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის ისეთი მეთოდებით, როგორცაა: დასახელება, ელიფსისი, მეტაფორიზაცია, სპეციალური ინტონაცია და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გრამატიკული ფორმის არჩევა - აქტიური თუ პასიური ზმნის ფორმები - შეიძლება იყოს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი, რადგან ისინი, არა მარტო გავლენას ახდენენ მიმღების მიერ მიზეზობრივი ურთიერთობების აღქმაზე, არამედ იწვევენ სიტუაციის ხელახლა გადახედვის საშუალებას იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის მოქმედი პირი. ჩამონათვალის შემთხვევაში სიტყვების თანმიმდევრობის შერჩევა ასევე ზეგავლენას ახდენს ადრესატის მიერ ინფორმაციის გაგებაზე.

არგუმენტაციის ლინგვისტური თეორია სწავლობს მეტყველების გავლენის მეთოდებს, რომლებიც მიზნად ისახავს პიროვნების მიერ არჩევანის შეცვლას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პოლიტიკური მეტყველება, როგორც მეტყველების მოქმედება, ძირითადად გამოიხატება გამოყენებული არგუმენტაციის სისტემის საშუალებით. ჯ. კოპერშმიდტი განსაზღვრავს მთელ რიგ წინაპირობებს,

რომელიც აუცილებელია არგუმენტაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროებში. ეს წინაპირობები მოიცავს:

1. არგუმენტირების ინდივიდუალურ უნარს;
2. არგუმენტირების ინდივიდუალურ მზადყოფნას;
3. არგუმენტირების სოციოკულტურულ აუცილებლობას;
4. არგუმენტირების სიტუაციურ საჭიროებას;

პოლიტიკური არგუმენტი ერთდროულად არის პოლიტიკის ფორმა, იგი თავისთავად არის პოლიტიკური მოქმედება, პოლიტიკური და მეტყველების მოქმედების ერთობლიობა.

ჩვენ განვიხილეთ სოციალური და პოლიტიკური დისკურსების მახასიათებლები, გამოვყავით ის ძირითადი ნიშნები, რაც მათ განასხვავებს სხვა დანარჩენი დისკურსებისგან: დამარწმუნებელი სტილი, განცხადების, დეკლამატორული სტილი, მოწოდება, ექსპრესიულობა, ზემოქმედებითი ბუნება, ენის აპელაციური ფუნქცია... - ეს ის ნიშნებია, რომლითაც სოციალური და პოლიტიკური დისკურსები ერთმანეთს უახლოვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალურ დისკურსს, პოლიტიკური დისკურსისგან განსხვავებით, აგრესია არ ახასიათებს, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია ვხვდებით ისეთ სოციალურ ტექსტებს, რომლებიც აგრესიულობის დონის მიხედვით არაფრით ჩამორჩება პოლიტიკურ ტექსტებს.

შეჯამებისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში ტექსტები ინარჩუნებენ სოციალური დისკურსის ნიშნებსა და მახასიათებლებს და იძენენ პოლიტიკურ დატვირთვასაც, რის შედეგადაც ვიღებთ კონტამინირებულ დისკურსს, რომელიც თავის თავში აერთიანებს სოციალურ და პოლიტიკურ მახასიათებლებს. როგორ აისახება სოციალური დისკურსი პოლიტიკურ დისკურსში? სოციალური დისკურსი ხშირად აისახება პოლიტიკურ დისკურსში სოციალური ღირებულებების, ნორმებისა და კონფლიქტების არეკვლით. პოლიტიკური დისკურსი აერთიანებს სოციალურ დისკურსებში გავრცელებულ ენასა და საკითხებს, გამოიყენებს მათ საზოგადოებასთან გამოხმაურებისთვის. პოლიტიკოსთა მეტყველებას თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ისინი ცდილობენ გამოიყენონ ენა კონკრეტული საკითხისადმი საზოგადოებაში

გავრცელებული გრძნობების შესაბამისად, რისი მეშვეობითაც ისინი თავიანთ სათქმელს მეტად დამაჯერებელს და შესაბამისს ხდიან. აღნიშნული ურთიერთქმედება ხაზს უსვამს იმასაც, რომ საზოგადოების დამოკიდებულება და პოლიტიკური დღის წესრიგი, უმეტესწილად, ურთიერთდაკავშირებულია. როდესაც საზოგადოებას რაღაც ტიპის პრობლემა აწუხებს, პოლიტიკოსები ყოველთვის ცდილობენ აღნიშნული პრობლემით ისარგებლონ და გამოიყენონ ის თავიანთ სიტყვით გამოსვლებში, რითიც იზრდება იმის შესაძლებლობა, რომ მეტი მხარდაჭერი მოიზიდონ.

თავი II. სამეტყველო აგრესიის თეორიული გააზრება

§2.1 სამეტყველო აგრესია, როგორც ენობრივი სამეცნიერო კვლევის საგანი; სამეტყველო აგრესიის ტიპოლოგია

კაცობრიობამ აგრესიის ფენომენისადმი ინტერესი ანტიკური დროიდან გამოავლინა, დღეს იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სამეცნიერო კვლევის საგანია. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

ადამიანის აგრესიული მდგომარეობის შესწავლა, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრესია კომუნიკაციის დროს, რომელიც მრავალი ენათმეცნიერის ყურადღების ცენტრი ხდება. ამის მიუხედავად, თანამედროვე ენათმეცნიერებაში აგრესიის ფენომენის გაგება შორს არის ერთმნიშვნელობისაგან.

ინგლისური ენის ონლაინ განმარტებითი ლექსიკონის “Macmillan Dictionary”-ის მიხედვით: “aggression – an angry feeling that makes you want to attack or defeat someone else; a situation in which one country attacks another; a situation in which someone attacks another person“ (<https://www.dictionary.com/browse/aggression>) - აგრესია წარმოადგენს გაბრაზებულ გრძნობას, რომელიც აღძრავს თავდასხმის ან ვინმეს დამარცხების სურვილს; სიტუაცია, რომლის დროსაც ერთი ქვეყანა თავს ესხმის მეორეს; სიტუაცია, რომელშიც ერთი ადამიანი თავს ესხმის მეორეს;

აღნიშნული პრობლემის შესწავლა განპირობებულია იმით, რომ იგი ასოცირდება თანამედროვე პრაგმალინგვისტიკის ორ კვლევით პროგრამასთან: სხვადასხვა კულტურაში „ზრდილობის“ პოსტულატის ფუნქციონირების ანალიზი, აგრეთვე, კონფლიქტების მართვის თეორია. როგორც ვერბალური აგრესიის ფორმას, საფრთხე ემუქრება საკომუნიკაციო ქცევის კოდექსს, რაც კონფლიქტის წინაპირობაა.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში „სამეტყველო აგრესიის“ დეფინიციის პარალელურად, გამოიყენება „აგრესიის ენა“, „ვერბალური აგრესია“ და „კომუნიკაციური აგრესია“. ზემოთ მოყვანილ დეფინიციებთან ერთად, თანამედროვე ენობრივ კვლევებში ასევე გამოიყენება ტერმინები „სიძულვილის ენა“, „ძალადობის ენა“ და „სიტყვიერი ექსტრემიზმის დისკურსი“. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „სამეტყველო აგრესია“ ჩვენთვის უფრო მეტად ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენც, ისევე როგორც ბევრი სხვა მეცნიერი, ტერმინებს „ვერბალური აგრესია“ და „სამეტყველო აგრესია“ არ განვასხვავებთ ერთმანეთისგან, მეტიც, ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მათ ერთმანეთის სინონიმებად გამოვიყენებთ.

აგრესიის კონცეფცია ფსიქოლოგიაში მოიცავს განზრახვის კრიტერიუმებს; ენობრივი გაგებით, ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ადრესატის პოზიციის გააზრების ფაქტორი, რაც შესაძლებელს ხდის დიფერენცირება მოახდინოს კომუნიკაციური უკმარისობისა და სამეტყველო აგრესიის ცნებებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგრესიის გამოხატვა კომუნიკაციაში მოიცავს არა მხოლოდ ვერბალურ, არამედ არავერბალურ საკომუნიკაციო ელემენტებსაც (ნიშნები, ჟესტები, მზერა, სახის გამომეტყველება და ა.შ.).

ინსტინქტივისტთა წარმოდგენების მიხედვით აგრესია ინსტინქტური ქცევაა, რომელიც გენეტიკურად თუ „კონსტიტუციურად“ დაპროგრამებულია. ადამიანის შემთხვევაში კი, იგი ერთგვარ ანთროპოლოგიურ კონსტანტას წარმოადგენს და მისი განხორციელების მოთხოვნილება ადამიანის სულის სიღრმიდან მოდის. ამ მიმართულებას ეკუთვნის ზ. ფროიდისა და კ. ლორენცის კონცეფციები (ჭიჭინაძე, 2010 :11).

ფსიქოანალიტიკური კონცეფციის მიხედვით ადამიანის მთავარ მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ სიცოცხლისაკენ ლტოლვა (ეროსი) და სიკვდილისაკენ ლტოლვა (ტანატოსი). სწორედ ამ უკანასკნელიდან გამომდინარეობს აგრესიული ქცევის ფენომენი, როგორც მოვლენა, რომელიც აუცილებელი შედეგია ტანატოსის არსებობისას, რადგანაც თუკი მისი ენერგია არ იქნება მიმართული გარეთ, იგი გამოიწვევს საკუთარი ორგანიზმის დაზიანებას. მაშასადამე, ფროიდთან აგრესია ორგანიზმში არსებული თანდაყოლილი სიკვდილის ინსტინქტის შედეგია (Freud, 1960 :235-289).

ეთოლოგიური მიდგომა, რომლის ავტორს უდიდესი გერმანელი მკვლევარი კონრად ლორენცი წარმოადგენს, ემყარება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ცოცხალ ორგანიზმში აგრესია სპონტანურად გენერირდება, გროვდება და განმუხტავს მოითხოვს, რომ იგი თანდაყოლილი ინსტინქტია (Lorenz, 1994 :272).

ხშირად ნაშრომებში სამეტყველო აგრესია განიხილება როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენი, სადაც აგრესიის ფსიქოლოგიური გაგება მეტყველების ქცევად არის მიჩნეული და მხოლოდ გამოხატვის გზა ასოცირდება ენათმეცნიერებასთან. იმისათვის რომ უკეთ გავიგოთ ტერმინები „ვერბალური აგრესია“ ფსიქოლოგიაში და „სამეტყველო აგრესია“ ენათმეცნიერებაში, უნდა გავეცნოთ ლექსიკონში მოცემულ ამ ფრაზების განმარტებებს;

ფსიქოლოგიურ ლექსიკონში მოცემულია შემდეგი სახის განმარტება: „ვერბალური აგრესია არის აგრესიული ქცევის ფორმა, რომელშიც უარყოფითი ემოციების რეაგირება გამოიყენება როგორც ინტონაციით, ისე მეტყველების სხვა არავერბალური კომპონენტებით და განცხადების მუქარის შინაარსით“ (Боловин, 2005 :12-13).

სტილისტიკურ ლექსიკონში ვხვდებით შემდეგი სახის განმარტებას: „სამეტყველო აგრესია - ენობრივი საშუალებების გამოყენება მტრული დამოკიდებულების, მეტყველების მანერის გამოხატვის, სხვისი სიამაყის და ღირსების შელახვისათვის“ (Кожина, 2003 :340)

ენობრივ ფსიქოლოგიური პოზიციიდან სამეტყველო აგრესია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამიზნული კომუნიკაციური მოქმედება, მეტყველების ობიექტისადმი უარყოფითი ემოციური და/ან ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოწვევის მიზნით.

ლ. ენინა განმარტავს, რომ „სამეტყველო აგრესია არის მეტყველების ქცევის სფერო, რომელიც განპირობებულია მოსაუბრის აგრესიული მდგომარეობით“ (Енина, 2002 :105).

იმისათვის რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ „ვერბალური აგრესია“ და „სამეტყველო აგრესია“, საკმარისია გავიხსენოთ ფერდინანდ დე სოსიურის მიერ შემოთავაზებული ენისა და მეტყველების გამიჯვნის პრინციპი; სოსიური მიიჩნევდა, რომ ენისა და მეტყველების გამიჯვნით ერთმანეთისგან განვაცალკევებთ: 1. სოციალურსა და ინდივიდუალურს, 2. არსებითს დამატებითს, მეტ-ნაკლებად შემთხვევითისაგან. სხვა ადგილას სოსიური ამბობს, რომ სამეტყველო ქმედების შესწავლა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი, ძირითადი ნაწილის საკვლევი ობიექტია ენა, ანუ ისეთი რამ, რომელიც თავისი აზრით სოციალურია და

ინდივიდისაგან დამოუკიდებელი. ეს მეცნიერება წმინდა ფსიქიკური ბუნებისაა; მეორე, მეორეხარისხოვანი ნაწილის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს სამეტყველო ქმედების ინდივიდუალური მხარე, ე.ი. მეტყველება ბგერადობის ჩათვლით. იგი ფსიქო-ფიზიკური ბუნებისაა. ენა წარმოადგენს „ნიშანთა სისტემას“, ხოლო მეტყველება ამ სისტემის კონკრეტული რეალიზებაა. სოსიური აგრძელებს: „ენა აუცილებელია იმისათვის, რომ მეტყველება გასაგები და ეფექტური იყოს. მეტყველება კი აუცილებელია ენის ჩამოსაყალიბებლად“. ისტორიულად მეტყველება მუდამ უსწრებს ენას. ამრიგად, სოსიურის აზრით ენა სოციალურია, მეტყველება კი ინდივიდუალური; ენა არსებითია, მეტყველება კი (მეტ-ნაკლებად) შემთხვევითი; ენა ფსიქიკური მოვლენაა, მეტყველება კი ფსიქო-ფიზიკური. მეტყველება არის ურთიერთობის პროცესი და ეს მაშინაც მართებულია, თუკი მეტყველებაში წერით მეტყველებასაც ვიგულისხმებთ. ენა კი არის ურთიერთობის საშუალება, ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს მეტყველება. მეტყველება დინამიური პროცესია, ის მუდამ აქტიური და თანაც აქტუალურია, ენა კი მისი ინსტრუმენტალიზმიდან გამომდინარე პასიური მოვლენაა, ის, ასე ვთქვათ, მუდამ მზადყოფნაშია რომ „გამოვლინდეს“ რეალურ საკომუნიკაციო ვითარებაში, შესაბამისად ენა პოტენციურია (სოსიური, 2002 :29-30).

მიუხედავად აქ მოყვანილი პრინციპული სხვაობისა ენასა და მეტყველებას შორის, ჩვენ მაინც ვიკავებთ თავს ჩვენზე ნაშრომში მათი განსხვავებისგან, სწორედ ამიტომ, ამ ორ ცნებას ერთმანეთის სინონიმებად აღვიქვამთ.

„აგრესიული მდგომარეობა“, როგორც ერთგვარი ფსიქოლოგიური ფენომენი, აისახება ენობრივი და სამეტყველო საშუალებების არჩევაში, თუ სამეტყველო აგრესია გამოხატულია ექსპლიციტურად. სამეტყველო აგრესიის იმპლიციტური ფორმები, როგორც წესი, არ ამჟღავნებს ადრესანტის ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას.

სოციოლინგვისტური ასპექტი სამეტყველო აგრესიას განიხილავს საზოგადოებაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით; ამიტომ, სამეტყველო აგრესია განიხილება, როგორც ფართო ენობრივი ფენომენი.

იურიდიულ ლინგვისტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „შეურაცხყოფის“ კონცეფციის განხილვას, როგორც სამეტყველო აგრესიის გამოვლინებას. ამ თვალსაზრისით, სამეტყველო აგრესიის ძირითადი მაჩვენებელია

სტილისტურად გამოხატული ენობრივი და სამეტყველო საშუალებები (ექსპრესიულად ფერადი ლექსიკა, ინვექციური, უხეში სასაუბრო სიტყვები და ფრაზები, ენობრივი ლექსიკის გადაჭარბებული გამოყენება, ჟარგონული ენობრივი ერთეულების გამოყენება) ეთიკური ან არათიკური გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა დისკურსში.

ტ. ვორონცოვი თავის სადისერტაციო ნაშრომში სამეტყველო აგრესიას განიხილავს საკომუნიკაციო-პრაგმატული პოზიციიდან, რაც გამომდინარეობს იქედან, რომ მისი არსებობის კომუნიკაციური და შემეცნებითი თვისებები განისაზღვრება დისკურსული ინდიკატორებით. ამ კვლევის ფარგლებში, სამეტყველო აგრესია განხილულია, როგორც სამეტყველო ქცევის სახეობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი დისკურსის ფარგლებში, მისი დროებითი და ეროვნული პარამეტრების მიუხედავად (Воронцов, 2006 :31).

თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში ფართოდ არის წარმოდგენილი სამეტყველო ქცევის სხვა ისეთი ტიპები, როგორცაა „ენობრივი ძალადობა“ და „კომუნიკაციური ზეწოლა“. „ენობრივი ძალადობა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლინგვისტიკაში გულისხმობს ენის გამოყენებას სხვისთვის ზიანის მიყენების მიზნით ან ვინმეზე დომინირების გამოსახატავად. იგი მოიცავს შეურაცხყოფას, მუქარას, დამამცირებელ შენიშვნებს და ნებისმიერ სამეტყველო აქტს, რომელიც თავის მხრივ, მიზნად ისახავს დამცირებას, დაშინებას ან კონტროლს. ენობრივი ძალადობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა კონტექსტში, მათ შორის ინტერპერსონალურ ინტერაქციაში, მედიასა და პოლიტიკურ დისკურსში, რაც ხშირად მტრული კომუნიკაციური გარემოს შექმნას უწყობს ხელს. „კომუნიკაციური ზეწოლა“ კი გულისხმობს ტაქტიკას, რომელიც აიძულებს ვინმეს იმოქმედოს, იფიქროს ან ისაუბროს გარკვეული გზით. ის შეიძლება მოიცავდეს მუდმივ კითხვას, რიტორიკულ სტრატეგიებს ან სოციალურ იძულებას, რომელიც ინდივიდის პასუხის თავისუფლებას ზღუდავს და მათ სასურველი შედეგისაკენ უბიძგებს. კომუნიკაციური ზეწოლა შეიძლება ყოველთვის აგრესიის გამომხატველი არ იყოს, მაგრამ მან შეიძლება მაინც გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სტრესი და გავლენა მოახდინოს ადამიანის ქცევაზე. ენობრივი ძალადობა შეიძლება წარმოადგენდეს კომუნიკაციური ზეწოლის ერთ-ერთ ფორმას. მაგალითად, მუქარის ან

დამამცირებელი ენის გამოყენებამ შეიძლება ზეწოლა მოახდინოს ადრესატზე, თუმცა, კომუნიკაციური ზეწოლა შესაძლოა სრულიად არ წარმოადგენდეს ენობრივ ძალადობას. ზეწოლა შესაძლოა იყოს რბილი და არა აგრესიული, ეყრდნობოდე ფსიქოლოგიურ ან სოციალურ ნიშნებს და არა აშკარა ზიანის მიყენებას. თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მათგანს, როგორც ენობრივ ძალადობას, ისე კომუნიკაციურ ზეწოლას, შეუძლია ძირი გამოუთხაროს კომუნიკაციას, გამოიწვიოს ტოქსიკური გარემოს შექმნა და გავლენა მოახდინოს კომუნიკატორების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.

აგრესიის გამოხატვა სამეტყველო კომუნიკაციაში აუცილებლად გულისხმობს სამეტყველო აგრესიის ობიექტის არსებობას, რომლისკენაც იქნება მიმართული უარყოფითი დამოკიდებულება. თუ კომუნიკაციაში წარმოდგენილია უარყოფითი დამოკიდებულების ობიექტი, ე.ი. იგი წარმოადგენს სამეტყველო აგრესიის ადრესატს, მაშინ მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება გამოხატული იყოს მკაფიოდ (მაგალითად, ინვექციური ან იმპლიციტურად კომუნიკაციური ეტიკის, დისკურსის კონვენციების, სამეტყველო ქცევის არა-კოოპერატიული ფორმების დარღვევით).

სამეტყველო აგრესიის პრობლემის შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ დღეს ენათმეცნიერებაში არ არსებობს „სამეტყველო აგრესიის“ ტერმინის საერთო გაგება.

ყველაზე ზოგადი ფორმით, სამეტყველო აგრესია შეიძლება განისაზღვროს, როგორც:

- უხეში, შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი კომუნიკაცია;
- უარყოფითი ემოციების, გრძნობების ან განზრახვების სიტყვიერი გამოხატვა იმ ფორმით, რომელიც მიუღებელია მოცემულ მეტყველებაში;

- შეურაცხყოფა
- გაფრთხილება
- საფრთხე
- უხეში მოთხოვნა
- ბრალი / ბრალდება
- დაცინვა

აგრესიული განზრახვები დაფარულია ან ირიბადაა გამოხატული:

- საჩივრებში
- გაკიცხვებში
- ჭორებში

სამეტყველო აგრესიის ზოგადი კლასიფიკაცია ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, ფსიქოლოგ არნოლდ ბასის მიერ; მის მიერ ჩამოყალიბებული კლასიფიკაცია დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ბასის აზრით, აგრესიული ქმედებების მთელი მრავალფეროვნება შეიძლება აღიწეროს სამი შკალის საფუძველზე: ფიზიკური-ვერბალური, აქტიური-პასიური და პირდაპირი-ირიბი. მათი კომბინაცია გვაძლევს რვა შესაძლო კატეგორიას, რომლებიც მოიცავს ყველაზე აგრესიულ ქმედებებს. რაც შეეხება სამეტყველო აგრესიას, ბასი გამოყოფს ოთხ ტიპს:

1. აქტიური პირდაპირი აგრესია - აგრესია, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ დაქვემდებარებას და მოასწავებს საფრთხეს უსიამოვნო შედეგებით. გამოიყენება სხვა პირის (ჯგუფის) სიტყვიერი შეურაცხყოფის ან დამცირების მიზნით, სარკაზმისათვის დამახასიათებელი გამოვლინებისა და თანამოსაუბრის დაცინვის მცდელობებით. აღნიშნული სახე დღეს ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. აქტიური პირდაპირი აგრესია ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ისე საჯარო სიტყვით გამოსვლაში. ის გულისხმობს მუქარას, დესტრუქციულ, ბოროტი სურვილების განცხადებებს ვინმეს მიმართ, ასევე სიტყვით გამოსვლებს, რომლებიც თავის მხრივ სამეტყველო ობიექტის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებისაკენ პირდაპირ მოწოდებას გულისხმობს.

2. აქტიური ირიბი აგრესია - აგრესიის ობიექტთან დაკავშირებით ყალბი ინფორმაციის გავრცელება, ცილისწამება და ჭორი. მსგავსი სახის აგრესია, როგორც წესი, გულისხმობს „ზურგს უკან“ ჭორების გავრცელებას. ასეთ შემთხვევაში „აგრესორი“ პირდაპირ კონტაქტში არ შედის აგრესიის ობიექტთან, თუმცა ავლენს მისდამი ცუდ, უარყოფით დამოკიდებულებას, ხშირად მიუღებელი ქმედებებით.

3. პასიური პირდაპირი აგრესია - უარი ოპონენტთან დიალოგის გამართვაზე, მასთან საუბარზე, კითხვებზე პასუხის გაცემაზე ან კიდევ რაიმე ფორმით მასთან დაკავშირებაზე. პასიური პირდაპირი აგრესია გამოიხატება არა

აგრესორის ვერბალურ ქმედებებში, არამედ მის ქცევაში. სუბიექტი უბრალოდ აიგნორებს თანამოსაუბრეს, უარს ამბობს მისთვის პასუხის გაცემაზე; ეს ქცევა კი მაინც აგრესიის გამოხატულებად არის მიჩნეული, რადგან სუბიექტი თავისი საქციელით უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს ობიექტისადმი.

4. პასიური ირიბი აგრესია - უარის თქმა კონკრეტული სიტყვიერი განმარტების მიცემაზე;

იულია შერბინინა გვაწვდის სამეტყველო აგრესიის შემდეგი სახის კლასიფიკაციას:

1. ინტენსივობის მიხედვით - სუსტი (ან მოძველებული) და ძლიერი; აგრესიის ძლიერი ფორმებია გინება, უხამსი ენა, ცბიერება, უხეში მოთხოვნა, ყვირილი, მტრული შენიშვნები, სარკასტული დაცინვა და მძიმე მუქარა. ხოლო სუსტი ფორმებია - უხეში უარი, არაპირდაპირი შეურაცხყოფა, არაპირდაპირი დაგმობა;

2. გამოხატვის გზების, ბუნების მიხედვით - ექსპლიციტური (ღია სიტყვიერი აგრესია, განზრახ შეურაცხყოფა, უხეში მოთხოვნა, უარი, საყვედური) და იმპლიციტური (ირონიული გამონათქვამები, ფარული მუქარა, ჭორი და სხვა); იმპლიციტური აგრესიის ნიმუშს შეიძლება წარმოადგენდეს შემდეგი წინადადება: *უფალი მხოლოდ ერთხელ აღსდგა, ივანიშვილი კი, უკვე სამჯერ* (შალვა ნათელაშვილი, 31 დეკემბერი, 2023; <https://www.facebook.com/natelashvilishalva/posts/pfbid02jLoJXJm8SEAUfEHFor3RRNuabcyz9gEJRWxvMzfiqrBENa89V7PQP6NnvdvmJnByl>); მსგავსი ცინიკური გამოსვლით ბატონი შალვა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკაში მესამედ დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ამახვილებს ყურადღებას;

3. ობიექტთან მიმართების მიხედვით - გარდამავალი ანუ ტრანზიტული (მიმართულია სამეტყველო სიტუაციის ერთი მონაწილისაკენ) და გარდაუვალი (ინტრანზიტული - როდესაც სუბიექტი ობიექტს უსაფუძვლოდ, ზოგადად ლანძლავს და გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას (Щербинина & Флинта, 2004 :109).

ელენა შეიგალი ანალიზებს რა ვერბალური აგრესიის საშუალებებს, გამოყოფს მათ სამ ტიპს:

1. ექსპლიციტური - ყველაზე პირდაპირი, მკვეთრი, იმპულსურ-ემოციური სიტყვიერი აგრესიის ფორმა (გინება, სიტყვიერი მუქარის აქტები, ვერდიქტები, კატეგორიული მოთხოვნები და მიმართვები); აღნიშნული აგრესიის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს გიგი უგულავას მიერ გავრცელებული შემდეგი ფეისბუქ პოსტი: *ვინც ახლა დუმხართ, იმაზე რასაც ოცნება ბათუმის და ზუგდიდის საკრებულოებში აკეთებს, გაგარტყით 2012-ის 1 ოქტომბრის იდეალებში.*

2. მანიპულაციური - სიტყვიერი აგრესიის უფრო მეტად რაციონალური ცნობიერი ფორმები, რომლებიც ორიგინალური მნიშვნელობების იდეოლოგიურ ტრანსფორმაციებზეა დაფუძნებული (ინვექციური ნიშნები და ცილისწამების საშუალებები); „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, კოლექტიური „ნაცმოდრაობა“ არის პირდაპირ რისკვაქტორი ქვეყნის სტაბილურობისთვის და დემოკრატიული სისტემისთვის. ამის შესახებ კობახიძემ გადაცემაში „იმედი LIVE“ განაცხადა: *გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დეპუტატი აცხადებდა, რომ „ქართული ოცნება“ ვერ მიაღწევს „ნაცმოდრაობის“ დაშლას. მართლა უნდა გაგვიცინოს, იმიტომ, რომ ისეთი დაშლილია უკვე „ნაციონალური მოძრაობა“, შეიძლება ელიავაზეც არ ჩაიბარონ. სულ სამნი იყვნენ და ვაშაძე გამოეყო ზურა ჯაფარიძესა და ელენე ხოშტარას. ანუ ერთი კაცი გამოეყო ორ კაცს, ამ დონეზე არის დაშლილი კოლექტიური „ნაცმოდრაობა“. იქ „ევრონაცები“, აქეთ „ნაცები, იქით „ლელო“ - საერთოდ გაუგებარი პარტია თავისი საბა ბუაძით და ა.შ. წარმოუდგენელი რამ ხდება კოლექტიურ „ნაცმოდრაობაში“ და ძალიან კარგი პროცესები ვითარდება საბოლოო ჯამში, რაც ჩვენ უფრო გვიმყარებს პოზიციებს და, რაც მთავარია, ჩვენს სახელმწიფოს უმყარებს პოზიციებს. კოლექტიური „ნაცმოდრაობა“ არის პირდაპირ რისკვაქტორი ჩვენი ქვეყნის სტაბილურობისთვის, დემოკრატიული სისტემისთვის, ყველაფრისთვის, რაც უკავშირდება ამ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებას. რაც უფრო მეტად დაიშლება კოლექტიური „ნაცმოდრაობა“, რა თქმა უნდა, მით უკეთესი, - აცხადებს კობახიძე(<https://www.facebook.com/www.cyc.ge/posts/pfbid02m6FjiMGf3yizuhuagFBkC7g5NizpX8uBvGNf9gzLkYQrj8dY1PmK5v8Mmd5nBmGgl> - 07 სექტემბერი, 2023 წ.).*

აღნიშნული განცხადებით ბატონი ირაკლი ცდილობს აუდიტორია დაარწმუნოს იმაში, რომ ოპოზიციური პარტია უკვე არაფრის მაქნისია და იშლება, ცდილობს დაგვანახოს რომ მათდამი ნდობა აღარ უნდა გვქონდეს და რაც მთავარია, ნაჩვენებია

რომ ნაციონალური მოძრაობა კარგავს ძალაუფლებას. სათქმელისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად და მანიპულაციისთვის კი გამოიყენებს მრავალობითი რიცხვის, პირველი პირის ნაცვალსახელს „ჩვენ“.

3. იმპლიციტური აგრესია, რომელიც შესაბამისი ილოკუციური განზრახვის დაფარულ გამოხატულებასთან არის დაკავშირებული (არაპირდაპირი სამეტყველო მოქმედებები, არაპირდაპირი პრედიკაცია, ირონიული გამონათქვამები (Шейгал 1999 :221). გიორგი თარგამაძის საავტორო გადაცემაში, ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში, 2020 წლის შემაჯამებელ გადაცემაში ინტერვიუს დროს, შალვა ნათელაშვილმა ბიძინა ივანიშვილი ბელელის ვირთხას შეადარა: ... ვირთხა მთავარი, ბელელის ვირთხა; ვირთხა რატომაა ცუდი კონტექსტით შეფასებული მითოლოგიაში? ბელელში ზის და ჭამს იმ მონაგარს, რაც ადამიანმა მოაგროვა. ეს ზის ბიუჯეტში პირდაპირ, ბიძინა ივანიშვილი თავისი ჯგუფით და ხრავს ქვეყანას, ბიუჯეტს და გადააქვს თავის ანგარიშებზე - ვირთხის წელი მთავრდება, ბიძინობაც დამთავრდება (<https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=217939309864133> –31 დეკემბერი, 2020 წ).

აქტიური ვერბალური აგრესიის ნებისმიერი ფორმა ხორციელდება შემდეგი ენობრივი საშუალებებით:

1. ლექსიკური - მოიცავს შეფასებით ლექსიკას, ხალხურ ენას, ჟარგონს, ინვექციურ და სტილისტურად შემცირებულ, არაწესიერ ლექსიკას და სხვა; თვალსაჩინოებისათვის გთავაზობთ შალვა ნათელაშვილის ფეისბუქ განცხადების ტექსტს: „რას ნიშნავს პოლიტიკაში შემოვარდნილი ოლიგარქიული მხეცი გუმბინ კაპიტოლიუმთან იხილა მთელმა სამყარომ. არავის, არც კომუნისტურ სისტემასა და იდეოლოგიას, არც ჰიტლერს და არც ყველა ტერორისტს ერთად ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული უმაღლესობისათვის ისეთი დარტყმა არ მიუყენებია, როგორც ეს განახორციელმა პრეზიდენტ--მილიარდერმა, პუტინისგან ბიზნეს-გამაგრებულმა დონალდ ტრამპმა. სწორედ პუტინ--ტრამპის საერთო მფარველობაში იმყოფებოდა ივანიშვილი და მათი ლობირებით იფორმებდა ქართულ სახელმწიფოს საკუთარ შპს-დ, სწორედ ამისთვის ჩუქნიდა ჩვენი ბიუჯეტიდან მოპარულ მილიონებს ტრამპის სიმე-ქალიშვილს, სწორედ ამიტომ გვაძალუბდა ლამის მთელი თეთრი სახლი - ბრიუსელთან (ევროკავშირი) ერთად ქართულ ოპოზიციას შეგვუებოდით ძალაუფლების უზურპაციას ოლიგარქისგან, მორჩილად შევსულიყავით პარლამენტში, პირადი კეთილდღეობა აგვერჩია ჩვენს

მომავალზე. გავუძელით, გავუძელით და აჰა - მსოფლიო პოლიტიკაში ოლიგარქიის ეპოქა სრულდება. მოკლე ხანში ჩვენც ვიზეიმებთ გაზაფხულს. (<https://www.facebook.com/natelashvilishalva/posts/pfbid02DTXTU11885BnHRJmBtfYRTEtY1qz4Zp35EP2htwyy9jM1Vy76ToXLG5ifxjaggdpl> - 07 იანვარი, 2021წ.).

2. გრამატიკული;

3. ტექსტური (ან „დისკურსული“) - ამ შემთხვევაში გამოიყენება ენობრივი დემაგოგიის ტექნიკა, ე.ი. არაპირდაპირი გავლენა ადრესატზე, ისევე როგორც ირონია, სარკაზმი და სხვა საშუალებები.

კ.სედოვი გვთავაზობს ვერბალური აგრესიის დეტალურ კლასიფიკაციას, სადაც ის 10 სახეს გამოყოფს:

1. ვერბალური / არავერბალური.

ამ შემთხვევაში აგრესია შეიძლება გამოვლინდეს მეტყველების მოქმედებების სახით (შეურაცხყოფა, მუქარა, დაცინვა, მიმართვა და ა.შ.), თუმცა ამის გარდა, ის შეიძლება გამოითქვას არავერბალური ფორმების დახმარებით, რომელთა შორისაც ავტორი, უპირველესყოვლისა, ჟესტებს (მუქარა, ირონია, პროტესტი და ა.შ.) და დუმილს გამოარჩევს; შალვა ნათელაშვილის მიერ მუქარის შემცველი ტექსტის გამოქვეყნება სოციალურ ქსელში, ვერბალური აგრესიის ერთ-ერთი მაგალითია: „მივმართავ პარლამენტში მილიონების საშოვნად დასკუპებულ მილიონრებს----- ოდიშარიდან დაწყებული ხახუბიათი დაგვირგვინებული----- როგორც კი ხელი გაგეცევათ ნიკა მელიას დასაჭერად პულტის დაწკაპუნებაზე, მოკლე ხანში ჩემი ხელით შეგყრით ყველას ციხეში და ეს გაფრთხილება კარგად გაიაზრეთ“.

<https://www.facebook.com/natelashvilishalva/posts/pfbid02gxKaZZQ174TEf7r3fjV2wTbg7FhyjxnjDjr3AJ7haAMQ9fFeaULaJY2PZqjcyUpQl> - 16 თებერვალი, 2021 წ.

2. პირდაპირი / არაპირდაპირი.

პირდაპირი ვერბალური აგრესია არის სამეტყველო აქტის შედეგი, რომელიც გულისხმობს ღია, აშკარა მტრობას; ეს არის სიტყვიერი აგრესიის ისეთი გამოვლინება, როგორცაა შეურაცხყოფა, მუქარა; არაპირდაპირი აგრესია კი პირდაპირი აგრესიისგან განსხვავებით გამოიხატება ჭორების ან ზურგს უკან საუბრების სახით; მუქარის მაგალითები პოლიტიკურ სიტყვით გამოსვლაში ან ინტერვიუს მიცემის დროს თითქმის ყოველთვის გაისმის. მსგავსი სახის აგრესიის

ერთ-ერთი ნიმუში კი გახლავთ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას მიმართვა ალეკო ელისაშვილის განცხადებაზე, რომ მზადაა თავისი ხელფასი ნიკა მელიას გირაოს გადასახდელად გადაურიცხოს - „*ალეკო ახლა ჩემი ფეხით არ მომიყვანო მაგ პარლამენტში, ჩემი ხელით გამოგიყვან იმ პარლამენტიდან. აგიღებ და გამოგიტან გარეთ ახლა, მართლა არ მომიყვანო. რა შენი ხელფასიდან გადამიხდი, ვინც გირაოს გადაიხდის, სუს-ის აგენტი და გავრილოვის მხარდამჭერი იქნება*“

<https://ajaratv.ge/article/71854?fbclid=IwAR3KFrxbokup4dd5UiCKGchbq4uW7UtabPx-oQsMg5GbRAXwxh6LxHezDs> – 16 თებერვალი, 2021 წ.

3. ინსტრუმენტული და არაინსტრუმენტული.

ინსტრუმენტული აგრესიის გამოხატვით, კონფლიქტის წამქეზებელი, ადრესატის მიმართ მტრული განზრახვის გარდა, სხვა მიზნის მიღწევასაც ცდილობს. არაინსტრუმენტული აგრესია არის თავად აგრესია აგრესიისთვის, ანუ საპასუხო რეაქციის მისაღებად. აღნიშნული ტიპის აგრესია ემსახურება ემოციურ განთავისუფლებას კომუნიკანტი პარტნიორის ხარჯზე და ჩვეულებრივ აფექტური ხასიათი აქვს.

არგუმენტები, რომლებიც გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ ვერბალური აგრესია არის კონფლიქტის წამქეზებელი, შემდეგია:

1. ემოციური პროვოკაცია - ვერბალური აგრესია პირდაპირ ზემოქმედებს ინდივიდის ემოციებზე, ხშირად იწვევს ძლიერ უარყოფით რეაქციებს, ისეთებს, როგორცაა: გაბრაზება, წყენა და დამცირება. აღნიშნული ემოციური რეაქციები შესაძლოა სწრაფად გამწვავდეს, რამაც ასევე შესაძლოა გამოიწვიოს დაპირისპირება და კონფლიქტი.

2. აღქმული საფრთხე - აგრესიული ენა შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც საფრთხე ინდივიდის თვითშეფასების, სოციალური მდგომარეობის ან პირადი უსაფრთხოებისთვის. როდესაც ადამიანები გრძნობენ საფრთხეს, ისინი უფრო მეტად პასუხობენ აგრესიას საკუთარი თავის დასაცავად. მუქარა, თუნდაც არ განხორციელდეს, ჰქმნის დაუცველობისა და გადაუდებლობის განცდას, რაც იწვევს კონფრონტაციულ ქცევას.

3. მტრობის ესკალაცია - სიტყვიერი აგრესია ხშირად იწვევს აგრესიულ პასუხს. თითოეული მხარის აგრესიულმა რეაქციამ შეიძლება გაამძიეროს

კონფლიქტი, რაც გაართულებს სიტუაციის დეესკალაციას. ამ ესკალაციამ შეიძლება მცირე უთანხმოება გადააქციოს მნიშვნელოვან კონფლიქტად, რადგან ორივე მხარე უფრო მეტად იმკვიდრებს თავიანთ პოზიციებს.

4. ფსიქოლოგიური ეფექტი - ვერბალური აგრესიის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ეფექტებიც. მათ შორის: სტრესი, შფოთვა და თვითშეფასების დაქვეითება. აღნიშნულმა ფსიქოლოგიურმა ეფექტებმა შესაძლოა ადამიანი უფრო რეაქტიული გახადოს და კონფლიქტების კონსტრუქციულად მოგვარების უნარი დაუქვეითოს.

ლ. ბერკოვიცი² ეთანხმება აგრესიის ინტრუმენტულ და მტრულ აგრესიად დაყოფა-კლასიფიკაციას, ოღონდ მტრული აგრესიის ნაცვლად იყენებს ტერმინს „ემოციური აგრესია“ [...]; ემოციური აგრესიულობისათვის დამახასიათებელია იმპულსურობა (ექსპრესიულობა) და სერიოზული დაგეგმარებისა და გააზრების არარსებობა. ამ დროს მტრული აზრები და წარმოდგენები სდევნენ აგრესიულ ქმედებას (Berkowitz, 2002 :510).

4. ინიციატიური / რეაქტიული.

ინიციატიური აგრესია წარმოადგენს თავდასხმის საშუალებას; რეაქტიული აგრესია კი ასრულებს აგრესორისგან თავდაცვის ფუნქციას (რეალური და წარმოსახვითი);

ამერიკელი მკვლევრების დოჯისა და კოიეს მერ შემოღებული იქნა რეაქტიული და პროაქტიული აგრესიის ცნებები. მათი აზრით, რეაქტიული აგრესია წარმოადგენს პასუხს რეალურ თუ წარმოსახვით შეტევასა და მუქარაზე. პროაქტიული აგრესია (დამალება, დაშინება და სხვა) კი ინიცირდება თავად მოძალადის მიერ და მის მიზანს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. პროაქტიული აგრესია ხშირად მიმართულია უფრო სუსტი და დაუცველი არსების წინააღმდეგ. მოცემულ ავტორთა აზრით, პროაქტიული აგრესია შეიძლება იყოს როგორც ინსტრუმენტული (მაგ. ძალაუფლების მისაღწევად/შესანარჩუნებლად ადამიანთა დევნა, შეკვეთილი მკვლელობა და ა.შ.), ისე მტრული (მაგ. შემთხვევით ადამიანზე ჯავრის ამოყრა) (Dodge & Coie, 1987 :1146-1158).

5. აქტიური / პასიური.

² ლეონარდ ბერკოვიცი - აგრესიის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი

კ. სედოვი აღნიშნავს რომ ეს დაყოფა მოგვაგონებს ზემოთ ხსენებულ დაყოფას - ინიციატიური და რეაქტიული. რეაქტიული აგრესია არის აგრესია აგრესიის წინააღმდეგ; პასიური აგრესია კი გამოიხატება კონტაქტის შეწყვეტის ან მასში შესვლის სურვილის დემონსტრირებით.

6. პირდაპირი / ირიბი.

აღნიშნული დაყოფა გამოირჩევა საკომუნიკაციო კონტაქტის ხასიათის მიხედვით. პირდაპირი ვერბალური აგრესია ხორციელდება სამეტყველო აქტის ფარგლებში, რომლის დროსაც კომუნიკანტები ერთსა და იმავე სივრცესა და დროში იმყოფებიან. არაპირდაპირი (ირიბი) აგრესია განიხილება სამეტყველო ზემოქმედებად, რომელიც სხვადასხვა დროს განხორციელდა.

7. სპონტანური / მომზადებული.

აღნიშნულ დაყოფაში მნიშვნელობა ენიჭება გამოთქმის წარმოქმნის პროცესის ორიგინალობას. სპონტანური აგრესია ვლინდება ისეთი სამეტყველო აქტის ფარგლებში, სადაც მოტივი და კომუნიკაციური განზრახვა თითქმის ერთდროულად რეალიზდება მათ სიტყვიერ გამოხატვასთან. მომზადებული აგრესია კი წინასწარ არის დაგეგმილი.

8. ემოციური / რაციონალური.

ემოციური აგრესია ჩვეულებრივ სპონტანური სამეტყველო აქტის ფარგლებში ვლინდება. ამ შემთხვევაში კ. სედოვი ისეთ აგრესიულ ქმედებაზე საუბრობს, რაც ვნებს სხვას. რაციონალური აგრესია წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილ სამეტყველო განცხადებას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა სახის გავლენის არაპირდაპირ ფორმებში: ხუმრობა, ირონია და სხვა. ემოციური აგრესიის ნიმუშად შეიძლება წარმოვადგინოთ შალვა ნათელაშვილის შემდეგი ინტერვიუ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოპოზიციის ერთად ყოფნა? საკითხი უკავშირდებოდა ნიკა მელიას დაპატიმრების წინასწარ პერიოდებს: „*... ჩვენ ყველა ერთად ვართ იმაში, რომ აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთ, გაგრამ უნდა დავბრუნდეთ, 20 ივნისის მიტინგიც ამას ეხებოდა და ამის გამო იჭერენ ნიკა მელიას. [...]* საქართველოზე ცდილობენ ტყვიის სროლას, მაგრამ ერთად დამდგარ საქართველოს ვერცერთი ტარტაროზი ვერ მორევია ვერასოდეს და დღეს ეს მცდელობა არის სრულიად ჩაფუშული და დღეს საქართველოა გამარჯვებული და

არა ის პალაჩები, ჯალათები და სადისტები, რომლებიც ასე პათოლოგიურად ასრულებენ ერთი პატარა კაცუკას დავალებებს; კაცუკასი, რომელსაც ერზე მეტად ზებრები, პინგვინები და ჟირაფები უყვარს. [...] მან დატოვა თავისი მონათა სპა, შეძვრა ბუჩქებში და ეხლა ცდილობს ყველას გაუსწოროს ანგარიში ვითომ პოლიტიკიდან წასულმა და სინამდვილეში დღეს ის ყველაზე მეტადაა პოლიტიკაში, ვიდრე ოდესმე ყოფილა, ოღონდ პოლიტიკაში ამ ბინძური, სადისტური, ანტიეროვნული საქმეებისათვის, იმ საქმეებისათვის, რომ გაასამართლოს ქართველ ერი ოკუპაციის წინააღმდეგ ამხედრებული და ეს არ გამოვა. [...] ჩვენ ძალიან მალე ვნახავთ ბიძინა ივანიშვილს ზოლიან ტანსაცმელში, თუმცა ეს ზოლიანი ტანსაცმელი ციხეშიც არის და ფსიქიატრიულშიც და შეიძლება ორივეგან მოუწიოს ყოფნა“.

(<https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=432565777822413> –17 თებერვალი, 2021წ).

9. ძლიერი / სუსტი.

ამ ოპოზიციის გამოკვეთის აუცილებლობას, კ. სედოვი ხედავს აგრესიული მოქმედების პერლოკუციური ეფექტის გაზომვის შესაძლებლობაში. ძლიერი აგრესია ხდება სამეტყველო აქტის ისეთი შედეგი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საკომუნიკაციო პარტნიორის ემოციურ მდგომარეობაზე, შეცვალოს ის და გამოიწვიოს - ძლიერი იმედგაცრუება, დამცირების განცდა, შიში და ა.შ. ძლიერი აგრესია სოციალური დისკურსისათვის ყველაზე მეტად სახასიათო ტიპს წარმოადგენს; მაგალითისთვის წარმოგიდგინთ ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის მიმართვას შსს-ს სამსახურისადმი, „ნაციონალური მოძრაობის“ იმდროინდელი ლიდერის - ნიკა მელიას დაპატიმრების გამო: „შინაგან საქმეთა სამინისტრო / Ministry of Internal Affairs of Georgia - თქვენ ესებუას ჩმორებო !!! გავრილოვის და პუტინის ხელის ბიჭებო, შეშლილი ოლიგარქის გომიებო - ყველაფერზე აგებთ პასუხს. ყველა!“

(<https://www.facebook.com/eka.kvesitadze.7/posts/10158305115317701> - 23 თებერვალი, 2021).

10. მტრული / არამტრული.

არამტრული აგრესია წარმოადგენს აგრესიას მხოლოდ ფორმით და ის არ მოიცავს თანამოსაუბრისათვის ზიანის მიყენების სურვილს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს გავრცელდა აგრესიის გამოხატულების ფორმა, რომელსაც „ბულინგი“ ეწოდება. ბულინგი ინგლისური სიტყვაა და ქართულად

ჩაგვრას, აბუჩად აგდებას ნიშნავს. ეს არის არასასურველი, აგრესიული ხასიათის ქცევა, რომელიც ძირითადად სკოლის ასაკის ბავშვებში ვლინდება. კითხვაზე თუ რატომ არის ბულინგი აგრესიული ქცევის გამოხატულება, პასუხი გახლავთ შემდეგი: ბულინგს განმეორებადი ხასიათი აქვს, მჩაგვრელის ქმედება არის წინასწარ განზრახული, მჩაგვრელი არ იღებს პასუხისმგებლობას ჩადენილ საქციელზე და ხშირად აღნიშნავს, რომ „მსხვერპლმა“ დაიმსახურა მსგავსი სახის მოპყრობა. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეგვიძლია ბულინგის სამი ძირითადი სახე გამოვყოთ:

1. კიბერბულინგი (cyberbullying) – სხვისთვის ზიანის მიყენება და/ან დაშინება, განზრახ შევიწროება, მუქარა ციფრული საშუალებების გამოყენებით.
2. ტროლინგი (trolling) – შეურაცხმყოფელი კომენტარების გამოქვეყნება სხვა ადამიანებში რეაქციის გამოწვევის მიზნით.
3. დოქინგი (doxing) - მავნე განზრახვით სხვა ადამიანის პირადი ინფორმაციის გასაჯაროება/გაზიარება.

არსებობს აგრესიის ისეთი კლასიფიკაციებიც, რომლებიც სცდებიან ზემოთ მოყვანილ ბინარულ სქემებს. სწორედ ასეთ კლასიფიკაციას წარმოადგენს კენეთ მოიერის კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყოფილია აგრესიის 7 ტიპი: მტაცებლური (predatory), მამრთაშორისი (intermale), ტერიტორიული (territorial), დედობრივი (maternal), გაღიზიანებით გამოწვეული (irritable), შიშით გამოწვეული (fear-induced) და ინსტრუმენტული (instrumental). ჯონ ვინგფილდმა და თანაავტორებმა, სწორედ ამ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით შექმნეს აგრესიული ქცევის საკუთარი, ასევე შვიდკომპონენტური კლასიფიკაცია: 1. სივრცითი (Spatial) აგრესია (მოიერის კლასიფიკაციაში მას შეესაბამება ტერიტორიული აგრესია); 2. საკვებისა და წყლის რესურსების დაუფლების სურვილით გამოწვეული აგრესია (აგრესიის ეს ტიპი შეესაბამება მოიერის კლასიფიკაციაში არსებული მტაცებლური აგრესიის ტიპს); 3. დომინანტური სტატუსის მიღწევისთვის აუცილებელი აგრესია; 4. სექსუალური აგრესია (პარტნიორის დაუფლებისა და დაცვის); 5. მშობლისმიერი აგრესია (როგორც დედობრივი, ისე მამობრივი); 6. მტაცებლის საწინააღმდეგო და სახეობათშორისი აგრესია. ავტორთა აზრით ამ ტიპის აგრესიას მიეკუთვნება მოიერის შიშით გამოწვეული აგრესიაც; 7. გაღიზიანებით გამოწვეული აგრესია (Wingfield, 2006 :179-

210).

აგრესიის მეცნიერული შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს. სოციალური ფსიქოლოგია მიზნად ისახავს გაიგოს აგრესიის ბუნება, ცდილობს დაადგინოს არის თუ არა ის ადამიანის თანდაყოლილი თვისება, შეიძლება თუ არა აგრესიის მოდიფიცირება და როგორია ის სოციალური და სიტუაციური ფაქტორები, რომლებიც ზრდიან ან ამცირებენ აგრესიის გამოვლენის ალბათობას (<https://bade.ge/topic/5881-agresia/> - 11 იანვარი, 2023წ.).

მკვლევრები ერთმანეთისგან განასხვავებენ თანდაყოლილ და ინსტრუმენტალურ აგრესიასაც. როდესაც აგრესია თვითმიზანს წარმოადგენს, მას თანდაყოლილი აგრესიის სახელით მოიხსენიებენ, რომელიც განსხვავდება აგრესიისგან, რომელიც მიზნის მისაღწევ საშუალებად წარმოჩნდება და მას უკვე ინსტრუმენტალურ აგრესიას უწოდებენ.

არჩევნ ანტისოციალურ და პროსოციალურ აგრესიას. საქმე ისაა, რომ აგრესია ყოველთვის არ განიხილება როგორც მიუღებელი, ცუდი ქმედება. თუ კი აგრესიის მიზანი არის სოციუმისა და სოციალური ნორმების დაცვა, მაშინ მას პროსოციალურ აგრესიად ვასახელებთ; მაშინ როდესაც აგრესიის მიზანს წარმოადგენს ძალადობა ან კიდევ, აღნიშნული ძალადობრივი ქმედებით ირღვევა სოციალური ნორმები - ანტისოციალურ აგრესიად მიჩნევენ. (<https://bade.ge/topic/5881-agresia/> - 11 იანვარი, 2023წ.).

აგრესია ჩვეულებრივ არ ხორციელდება სოციალურ და სიტუაციურ ვაკუუმში. ჩვეულებრივ აგრესია მომდინარეობს სპეციფიკური სოციალური და სიტუაციური ფაქტორებიდან. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ აგრესორის მიერ მსხვერპლის არჩევას. ამ ფაქტორებიდან გამოიკვეთება შემდეგი:

1. ფრუსტრაცია - აგრესიის ჰიპოთეზა. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ფრუსტრაციას ყოველთვის მივყავართ აგრესიის ამა თუ იმ ფორმამდე და აგრესია ყოველთვის მომდინარეობს ფრუსტრაციიდან. ერთი სიტყვით, ფრუსტრირებული ადამიანი ყოველთვის ავლენს ამა თუ იმ ტიპის აგრესიას და აგრესიის ყოველი აქტი თავის მხრივ ფრუსტრაციის შედეგია.

2. პირდაპირი პროვოკაცია - როდესაც აგრესია ბადებს აგრესიას. თუ ფრუსტრაციამ გარკვეულ ინტენსივობას უნდა მაიღწიოს რომ შეძლოს აგრესიის

გამოწვევა, პირდაპირი ვერბალური ან ფიზიკური პროვოცირება, როგორც ჩანს, შესაძლოა ეფექტური იყოს მაშინაც, როცა ის ძალიან სუსტია. ინდივიდები ხშირად რეაგირებენ, საკმაოდ ძლიერადაც, მსუბუქ დაცინვაზე ან სხვების ქცევაზე, რომელსაც გარკვეული დონის თავდასხმად აღიქვამენ. ხშირად ამ დროს ადგილი აქვს პროცესის ესკალაციას, რამაც საშიშ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს (<https://bade.ge/topic/5881-agresia/> - 11 იანვარი, 2023წ.).

ზოგიერთი მკვლევარი განასხვავებს ჰეტეროაგრესიას (სხვებზე, გარეთ მიმართულ) და ავტოაგრესიას (მიმართულს საკუთარი თავის წინააღმდეგ). როგორც ცნობილია, ადამიანებში პირდაპირი ჰეტეროაგრესიის გამოვლინებებს მიეკუთვნება - მკვლელობა, გაუპატიურება, სხეულისთვის განზრახ ზიანის მიყენება და სხვა სახის დანაშაული. არაპირდაპირი ჰეტეროაგრესია - მუქარა, მკვლელობის იმიტაცია, შეურაცხყოფა, არანორმატული ლექსიკა. ზოგიერთი ავტორის აზრით, არაპირდაპირი ავტოაგრესიის გამოვლინებას წარმოადგენს ფსიქოსომატური და ადაპტაციის დაავადებები, ვეგეტატიური ინერვაციისა და გლუვკუნთოვანი მუსკულატორის მქონე შინაგან ორგანოთა არასპეციფიკური დაავადებები. პირდაპირი ავტოაგრესიის უკიდურესი გამოვლინება თვითმკვლელობაა (Левина, 1999 :1).

ფრანგი სოციოლოგი ტარდი საუბრობს ძალადობის გადამდებ ბუნებაზე. აგრესიულობის გადამდებობის მაგალითად განიხილება ბრბოს ქცევა. ზიმბარდომ ამ ფენომენს დეინდივიდუალიზაცია უწოდა. მისივე აზრით, აღნიშნული ქცევის გამომწვევი ფაქტორები არის: ანონიმურობა, პასუხისმგებლობის დიფუზია, ჯგუფის სიდიდე, ქცევის ხასიათი, ახალი არასტრუქტურირებული სიტუაცია, ხმაური და დაღლილობა. მაგ. ომებში ძალადობის განსაკუთრებით მკაცრი ფორმების გამოყენებისას პრიმიტივები დეინდივიდუაციის ისეთ საშუალებებს იყენებდნენ, როგორც არის: ნიღბები, სახის და სხეულის შენიღბვა, სპეციალური ტანსაცმელი (<https://bade.ge/topic/5881-agresia/> - 11 იანვარი, 2023წ.).

მეტყველების ფენომენის შესწავლისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ გამგზავნი და მიმღები განსხვავებულად იაზრებენ ტექსტს: "ორი თვალსაზრისი - კოდირება და დეკოდირება, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამგზავნის როლი და შეტყობინებების მიმღების როლი, უნდა იყოს საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი".

რ. იაკობსონის აზრით, მკვლევარმა ნათლად უნდა გაიგოს, თუ რომელი თვალსაზრისის წინაშე დგას იგი - მოსაუბრის თუ მსმენელის. თანამედროვე ენობრივ ლიტერატურაში სამეტყველო აგრესიას, უპირველეს ყოვლისა, ადრესატის პერსპექტივიდან განიხილავენ: წინა პლანზე დგას სამეტყველო ქმედებების შედეგი (სამეტყველო პარტნიორის დისკრედიტაცია, შეურაცხყოფა და ა.შ.). ამ შემთხვევაში, სამეტყველო აგრესიის არსი, როგორც საკომუნიკაციო ფენომენი, კულისებში რჩება (Воронцов, 2006 :83-85).

სამეტყველო აგრესია ჩვენ მიერ განხილულია, როგორც სამეტყველო ქცევის ერთგვარი სახე, რომლის პარამეტრებს განსაზღვრავს დისკურსიული ინდიკატორები. ჩვენ ამოვდივართ წინაპირობიდან, რომ დიალოგური ურთიერთქმედების პოზიციიდან, სამეტყველო აგრესია წარმოადგენს დამოკიდებულებას ანტიდიალოგის მიმართ. აგრესიული სამეტყველო ქცევის დესტრუქციულობა ვლინდება როგორც ადრესატის შეგნებული დამოკიდებულება სუბიექტისა და ობიექტის ტიპის ურთიერთობისადმი. ამრიგად, კომუნიკაციური ტიპის მიუხედავად, სამეტყველო აგრესიის მიზანი შეიძლება იყოს:

1) განცხადების ადრესატის ან რეფერენტის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვა (პირობითად, ეს შეიძლება იყოს სამეტყველო აგრესიის აფექტური ვექტორი).

2) ადრესატთან სუბიექტ-ობიექტის ტიპის კომუნიკაციის ჩამოყალიბება, რაც თავს იჩენს დესტრუქციული (არათანამშრომლობითი) მეტყველების ქცევაში (პრაგმატული ვექტორი) (Воронцов, 2006 :85-86).

ჩვენს მიერ განხილული ინტენციის (მიზნის) ძირითადი კრიტერიუმები, საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ვერბალური აგრესია და მასთან დაკავშირებული მოვლენები: კომუნიკაციური წარუმატებლობა, მანიპულირება, კონფლიქტი.

საკომუნიკაციო-პრაგმატული პოზიციიდან სამეტყველო აგრესიისადმი მიდგომა გულისხმობს კომუნიკაციური ურთიერთქმედების შესწავლას სამეტყველო ადრესატის დონეზე, მათ დამოკიდებულებაზე სამეტყველო სიტუაციაზე და დისკურსის კონტექსტზე, მოსაუბრის თავდაპირველ პრაგმატულ დამოკიდებულებაზე, ანუ საკომუნიკაციო სივრცის კონცეფციაზე, რომელიც

ფუნდამენტურია ნებისმიერი ტიპის კომუნიკაციისთვის. თავად ტერმინს არ გააჩნია სტაბილური საკომუნიკაციო სივრცე და ერთმნიშვნელოვანი განმარტება. ამ კონცეფციის დაზუსტებით, მოსაუბრის (ადრესატის) თვალსაზრისით, ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც კომუნიკაციის თითოეული მონაწილის რეალური და პოტენციური კონტაქტების ზონას. საკომუნიკაციო ურთიერთობაში შესვლისას, კომუნიკაციის თითოეულ მონაწილეს საკომუნიკაციო პროცესის შესახებ საკუთარი ხედვა, საკუთარი როლი გააჩნია მასში, აქვს საკუთარი ღირებულებითი ორიენტაციები და იდეები კონკრეტული სამეტყველო სუბიექტის შესახებ (Воронцов, 2006 :86-87).

შეგვიძლია გამოვყოთ სამეტყველო აგრესიის მანიფესტაციის სამი კომუნიკაციურ-პრაგმატული ტიპი;

1. სამეტყველო აგრესია ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც მიმღების სამეტყველო სივრცეში შეჭრა. აგრესიის სუბიექტი ამ შემთხვევაში ადრესანტია, ობიექტი ადრესატი, ე.ი. სამეტყველო აგრესიის ობიექტი არის კომუნიკაციის მონაწილე. ადრესანტის მიზანია საკუთარი კომუნიკაციური სცენარის დაწესება. ის ცდილობს გამოიყენოს კომუნიკაციური ინიციატივა, მიანიჭოს პრიორიტეტული "სიტყვის უფლება" და ამით საბოლოოდ გარდაქმნას დიალოგი მონოლოგად. ამ შემთხვევაში, ორივე ვექტორი: აფექტური და პრაგმატული, მიმართულია ერთი ობიექტისკენ, ამიტომ ერთ-ერთი მიზნობრივი დამოკიდებულების ახსნის საშუალებას იძლევა, ხოლო მეორე გამოხატულია ირიბად. მაგალითად, ადრესანტი ექსპლიციტურად აცნობებს ადრესატს მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ ინვექციური (სულელი, კოჭლი) ტერმინების დახმარებით, რათა შექმნას საკომუნიკაციო ვერტიკალი, საკომუნიკაციო ინიციატივის ათვისების მიზნით.

2. ვერბალური აგრესია შეიძლება გამოიხატოს, როგორც ნეგატიური დამოკიდებულების აგრესიული დაკისრება განცხადების ადრესატზე. ამ შემთხვევაში, აფექტური და პრაგმატული ვექტორები მიმართულია სხვადასხვა ობიექტზე. უარყოფითი დამოკიდებულების ობიექტი ამ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი კომუნიკაციაში, მაგრამ მითითებულია მეტყველებაში. ასეთი ობიექტი შეიძლება იყოს კონკრეტული ადამიანი (პერსონიფიცირებული ობიექტი)

ან პირთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია ნებისმიერი კრიტერიუმით (მრავლობითი, მაგრამ პრინციპში თვლადი ობიექტი). მათთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვისაუბროთ სამეტყველო აგრესიის არაპირდაპირი გზით მოგვარებაზე. ამ არაპირდაპირი ადრესატების მიმართ, სამეტყველო აგრესია თავს იჩენს, როგორც დისკრედიტაციის სტრატეგია. აგრესიული განცხადებების კომუნიკაციური განზრახვა განსახილველ სიტუაციებში არის ადრესატის განცხადების ობიექტის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების აღძვრის სურვილი. ადრესატის აქსიოლოგიურ სივრცეში ამგვარი შეჭრის საკომუნიკაციო პერსპექტივაა ადრესანტსა და სიტყვის რეფერენტს შორის რეალური ან პოტენციური კონტაქტების განადგურება, ანუ მიმღების საკომუნიკაციო სივრცის შევიწროება.

3. ვერბალური აგრესია შესაძლოა წარმოადგენდეს კოგნიტურ სივრცეში შეჭრას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადრესატი ცდილობს შეცვალოს აზრი სიტყვის / საგნის შესახებ უარყოფითი მიმართულებით და, შესაბამისად, მისი ადგილი სამყაროს სურათში. სამეტყველო აგრესიის ობიექტები ამ შემთხვევაში ობიექტურად ვერ იქნება წარმოდგენილი კომუნიკაციაში, რადგან ისინი წარმოადგენენ ერთგვარ კონცეფციას "ბუნდოვანი" მნიშვნელობით (მაგალითად, სახელმწიფო, დემოკრატია და ა.შ.). ადრესატის თვალსაზრისით, ასეთი ობიექტები უნდა იყოს მთელი საზოგადოების ძირითადი ინტერესების სფეროში (ასოცირებული იყოს უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის საფრთხის წინაშე). ადრესანტი აგრესიის ობიექტს განსაზღვრავს ექსტრალინგვისტური ფაქტორების საფუძველზე: დამოკიდებულება საზოგადოების გარკვეული იდეოლოგიის, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ვითარების მიმართ. ამ ტიპის სამეტყველო აგრესიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტულ დისკურსში ინდივიდუალური გამოთქმის დონეზე, მოსაუბრეს პრაქტიკულად არ აქვს შანსი მიიღოს სასურველი პერლოკუციური ეფექტი. ამასთან, თუ მოცემული ობიექტი ნამდვილად უკავშირდება მთელი საზოგადოების ინტერესებს და მასობრივ ადრესატზე გავლენას ახდენს არაერთხელ, მრავალი ადრესანტის მიერ, მრავალი დისკურსის მეშვეობით, მაშინ თავდაპირველად ნეიტრალური კონცეფცია, რომელიც შედის ნეგატიური მოდალობის მნიშვნელოვან კონტექსტში, მიიღებს ნეგატიურ სოციალურ შეფასებას და ეს აუცილებლად გულისხმობს თავისთავად

მთელი კონცეფციის ნეგატივიზაციას. ამიტომ, ამ ტიპის აგრესია ეფექტურია მასობრივი კომუნიკაციის დროს (Воронцов, 2006 :86).

რაც შეეხება აგრესიის გამოხატულებას ქართულ კულტურულ სივრცეში; უნდა აღინიშნოს რომ, ქართულ კულტურაში აგრესიის გამოხატულებაზე ზეგავლენას ახდენს როგორც ისტორიული, ისე სოციალური და კულტურული ფაქტორები. რამდენიმე საკვანძო ასპექტი კი შემდეგნაირია:

1. კულტურული აქცენტები სტუმართმოყვარეობასა და პატივისცემაზე - ქართული კულტურა დიდ აქცენტს აკეთებს სტუმართმოყვარეობაზე და სტუმრების პატივისცემაზე. ეს კულტურული ნორმა ხელს უშლის აგრესიის აშკარა გამოხატვას საზოგადოებრივ და სოციალურ გარემოში, რადგან ჰარმონიის შენარჩუნება და პატივისცემის გამოხატვა ძალიან ფასდება. აგრესიული ქცევა ხშირად განიხილება, როგორც ამ კულტურული კოდების დარღვევა.

2. ტრადიციული ღირებულებები და პატივი - ქართულ საზოგადოებას აქვს ფესვგადგმული ტრადიციები, რომლებიც ხაზს უსვამს ღირსებას და ოჯახურ რეპუტაციას. აგრესია, განსაკუთრებით კი ფიზიკური აგრესია, შეიძლება განიხილებოდეს როგორც საკუთარი ან ოჯახის პატივის დაცვის საშუალება. ზოგიერთ შემთხვევაში, დავები შეიძლება გამწვავდეს პირადი ან ოჯახური პატივის შესანარჩუნებლად ან აღდგენის მიზნით, რაც ასახავს აგრესიის ტრადიციულ შეხედულებას, როგორც სოციალური სტატუსისა და პატივისცემის დაცვის საშუალებას.

3. საკომუნიკაციო სტილი - ქართველებს აქვთ ვნებიანი და ექსპრესიული კომუნიკაციის სტილი, რომელიც ზოგჯერ შესაძლოა არასწორად იქნას განმარტებული. ამაღლებული ხმები და ანიმაციური ჟესტები ხშირია ყოველდღიურ საუბრებში, განსაკუთრებით დებატების ან დისკუსიების დროს. თუმცა, ეს ექსპრესიულობა საერთოდ არ მიუთითებს მტრობაზე, არამედ ენთუზიაზმზე ან მტკიცე რწმენაზე.

4. კონფლიქტების მოგვარება - ქართულ კულტურაში კონფლიქტების ტრადიციული გადაწყვეტა ხშირად გულისხმობს უფროსების ან საზოგადოების პატივცემული წევრების შუამავლობას. ეს მიდგომა მიზნად ისახავს აგრესიის დეესკალაციას და ჰარმონიული გადაწყვეტილების პოვნას, რომლითაც

შენარჩუნდება სოციალური კავშირები.

5. პოლიტიკური და სოციალური კონტექსტი - საქართველოს მღელვარე პოლიტიკურმა ისტორიამ, მათ შორის კონფლიქტებმა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ, გავლენა მოახდინა აგრესიის გამოხატვაზე და აღქმაზე. პოლიტიკურ დისკურსში შესაძლოა აგრესია უფრო მეტად იყოს გამოხატული, რაც ასევე ასახავს ღრმა იმედგაცრუებებს და ცვლილებების სურვილს. ეს კონტექსტი აყალიბებს, თუ როგორ განიხილება და მიიღება პოლიტიკური აგრესია საზოგადოებაში.

6. გენდერული როლები - გენდერული როლები მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრესიის გამოხატვაში. ტრადიციული გენდერული მოლოდინები ხშირად განსაზღვრავს, რომ მამაკაცები უნდა იყვნენ ძლიერები და თავდაჯერებულები, რაც ზოგჯერ შეიძლება აგრესიის უფრო აშკარა გამოხატულებად იქცეს. ქალები, როგორც წესი, უნდა იყვნენ აღმზრდელები და მომრიგებლები, რაც იწვევს აგრესიის უფრო არაპირდაპირ ან პასიურ ფორმებს.

7. საქალაქო და სოფლის განსხვავებები - შეიძლება არსებობდეს განსხვავებები აგრესიის გამოხატულებაში ქალაქსა და სოფელს შორისაც. სოფლად ტრადიციულმა ფასეულობებმა და მჭიდროდ შეკრულმა სათემო სტრუქტურებმა შეიძლება გამოიწვიოს აგრესიის უფრო რეგულარული და სოციალურად შუამავალი გამოხატვა. ამის საპირისპიროდ, ურბანულ ადგილებში შეიძლება გამოვლინდეს აგრესიული ქცევების უფრო ფართო სპექტრი მრავალფეროვანი სოციალური გავლენისა და მეტი ანონიმურობის გამო.

8. მოდერნიზაციის გავლენა - მოდერნიზაცია და გლობალიზაცია თანდათან ცვლის აგრესიის მიმართ დამოკიდებულებას საქართველოში. ახალგაზრდა თაობებმა, რომლებიც ექვემდებარებიან გლობალურ კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს, შეიძლება აითვისონ აგრესიის გამოხატვისა და მართვის განსხვავებული გზები უფროს თაობებთან შედარებით. ამ ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტებისა და აგრესიის მოგვარების ტრადიციული და თანამედროვე მიდგომების შერწყმა.

ამრიგად, ჩვენ მიერ სამეტყველო აგრესია მიჩნეულია, როგორც საკომუნიკაციო რეალობა, რომელიც შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი დისკურსის ფარგლებში, მიუხედავად მისი დროებითი და ეროვნული პარამეტრებისა, ეს არის კონფლიქტის

გამომწვევი მეტყველების ქცევა, რომელიც იწვევს კონფლიქტს არა მხოლოდ პიროვნების კომუნიკაციის დონეზე, არამედ პირდაპირ და არაპირდაპირ ადრესატს შორის, თუმცა მას შეუძლია მასშტაბური სოციალური კონფლიქტების პროვოცირებაც.

§2.2 სამეტყველო აგრესია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში


ტრადიციულ მედიასთან შედარებით ინტერნეტი ახალი ამბების და ინფორმაციის გავრცელების შედარებით ძლიერ საშუალებად მიიჩნევა. ის უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა ისეთი საშუალებების წყალობით, როგორცაა მობილური ტელეფონი და კომპიუტერი. ამასთანავე, ინტერნეტის ხელმისაწვდომობამ, ანონიმურობამ და მასში მსოფლიო სერვისების არსებობამ, სიძულვილისა და ექტრემიზმების რაოდენობისა და მათი გამოყენების გავრცელებასაც შეუწყო ხელი; გარდა ამისა, ინტერნეტ-სიძულვილის ენის გამოყენების რაოდენობა პირდაპირ ან ირიბად ვლინდება სიძულვილის ენის, შევიწროების, კიბერბულინგისა და პიროვნებათა დისკრიმინაციის სახით, მათი კანის ფერის, წარმომავლობისა და რელიგიის საფუძველზე. ინტერნეტი ყოველთვის მოიაზრებოდა ისეთი ანტი-სოციალური ქმედების გავრცელების საშუალებად, როგორცაა ბულინგი. ბულინგი და კიბერბულინგი, რა თქმა უნდა, ჩნდება და ფართოდ ვრცელდება ონლაინ სამყაროში (Khan Taaren, 2021 :5285-5294) ...

დროთა განმავლობაში სიძულვილის ენა სხვადასხვა ფორმით გავრცელებულა ადამიანთა ურთიერთობებში, თანამედროვე სამყაროში (მაგ. რასიზმი და ცრურწმენა); ახლა კი მან ადგილი სოციალური მედიის, ინტერნეტის საშუალებით ვირტუალურ სამყაროში დაიკავა. სიძულვილის ენა ეხება ნებისმიერ რიტორიკას, რომლებიც სხვების დეჰუმანიზაციას ისახავს მიზნად, მიუხედავად მათი კანის ფერის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციისა ან სხვა ისეთი მახასიათებლებისა, როგორცაა ფიზიკური ან გონებრივი უნარშეზღუდულობა (Khan Taaren, 2021 :5285-5294).

სიძულვილის ენა არა მხოლოდ აძლიერებს ცრურწმენას ან სტერეოტიპს საზოგადოებაში, არამედ მას აქვს ადრესატის გონებრივ ან ფიზიკურ

ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების უნარი.

თანამედროვე მკვლევარები ხან თარენ მანანი, ხან თარენ ჰანინი, თარიქ მოჰამედი და სხვები, თავიანთ სტატიაში: „სიძულვილის ენა და სოციალური მედია: სისტემური მიმოხილვა“, რომელიც გამოქვეყნებულია თურქულ ონლაინ ჟურნალში (TOJQI), სამეტყველო აგრესიის 4 ეტაპს გამოყოფენ:



სქემა 1. სიძულვილის ენის ეტაპები (საფეხურები)

პირველი ეტაპი ცნობილია როგორც გავლენის (ზეგავლენის) მოხდენის ეტაპი, რომელშიც სიძულვილის ენის გამოყენება სოციალურ ქსელებში მაღალ დონეზეა შენარჩუნებული; მეორე (ჩარევის) ეტაპზე რამდენიმე დღეში სიძულვილის ენის გამოყენება იკლებს, მესამე (პასუხის გაცემის) ეტაპზე კი, შედარებით დიდი დროის შემდეგ, სამეტყველო ენის გამოყენება ნულს უტოლდება, ხოლო საბოლოო ანუ მეოთხე (ხელახლა დაბადების/გამოჩენის) ეტაპზე ონლაინ სიძულვილის ენა ხელახლა იჩენს თავს, თუმცაღა, ეს გამოჩენა მომხდარი შემთხვევის ბუნებასა და ეფექტურობაზე დამოკიდებული (Khan Taaren, 2021 :5285-5294); აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ვინ, რა, სად და როდის, ინდივიდებზე ონლაინ სიძულვილის ენის გამოყენებით მიღებულ გავლენას განსაზღვრავს; სიძულვილის ენამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს როგორც პირდაპირ, ისე ირიბად. სიძულვილის ენის უშუალო (პირდაპირი) გამოხატვის შემთხვევაში დაზარალებულები მყისიერად ზიანდებიან სხვისი კომენტარებით, ხოლო ირიბი სიძულვილის ენის შემთხვევაში, შედეგები იგვიანებს და ისინი ფასდება შუამავლების მიერ. ზოგჯერ გამოხატვის თავისუფლება განიხილება როგორც გადამწყვეტი, გამომწვევი მიზეზი სიძულვილის ენის დაწინაურებისათვის. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენებით სხვადასხვაგვარი ფიქრისა და გრძნობის გამოხატვა, კონკრეტული პიროვნების ან ჯგუფის მიმართ, თანდათან უფრო პოპულარული ხდება და სწორედ ამიტომ სიძულვილის ენაც იზრდება. ყველაფერთან ერთად, ონლაინ სიძულვილის ენის გამოყენების ზრდით, გამოხატვის

თავისუფლება და ადამიანის არსებითი უფლებებიც ირღვევა. სიძულვილის ენის გამოყენება შესაძლოა გამოწვეული იყოს ისეთი განსხვავებული ფაქტორებით, როგორებიცაა: რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, უნარშეზღუდულობა და სქესი.

რელიგიური სიძულვილის ენა წარმოადგენს ანტირელიგიური მიკერძოების გამოხატულებას, რომელიც მიმართულია რელიგიების, მათ შორის ისლამის, ინდუიზმისა და ქრისტიანობის მიმართ. რელიგიის მიმართ გამოხატული სიძულვილის ენა უფრო მეტად საზიანოა ობიექტისათვის, ვიდრე ის სიძულვილის ენა, რომელიც მიმართულია კონკრეტული პირის ან ხალხთა ჯგუფისადმი. ძალადობის წაქეზების მიზნით ონლაინ სივრცეში, ხშირად, მუსლიმანებს ლანძღვენ და ცილს სწამებენ არასახარბიელო მოსაზრებების, სტერეოტიპების, ცრურწმენების, პირადი შეურაცხყოფისა და შევიწროების გზით (Khan Taaren, 2021 :5285-5294).

ზოგადად, პოპულარული პირები და ხალხი, რომელსაც ბევრი გამომწერი ჰყავს სოციალურ ქსელებში, ხშირად გამოაქვეყნებს სიძულვილის ენის მატარებელ განცხადებებს. სიტუაციური განცხადებები კი თავის მხრივ უფრო მეტ გაზიარებას გამოიწვევს, ვიდრე საზოგადოებრივი განცხადებები. მკვლევარებმა გამოიკვლიეს ბევრი „ფეისბუქ“ გვერდი, რომლებიც სწორედ მუსლიმთა წინააღმდეგ რელიგიური სიძულვილის ენის გამოყენების მიზნით შეიქმნა.

რაც შეეხება სქესსა და სიძულვილის ენას - ის წარმოადგენს გენდერზე დაფუძნებულ დემონსტრაციას. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ხშირად ხდებიან სიძულვილის ენის ადრესატები. ამ მიზნით გამოყენებულ სიძულვილის ენას შეიძლება „სექსისტური სიძულვილის ენა“ ვუწოდოთ, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სოციალურ სტიგმას, რაც მიზნად ისახავს ქალების დამცირებასა და მათში შიშის, დაუცველობის შეგრძნების გაღვივებას. ქალთა დამცირებას უარყოფითი გავლენის მოტანა შეუძლია თვითონ ქალის როგორც პიროვნულ, ისე პროფესიულ ცხოვრებაზე. მკვლევარები, რომლებსაც საზოგადოების ბედი აფიქრებთ, აკეთებენ შემდეგი სახის დასკვნას, რომ ქალბატონებსა და მუსლიმანური საზოგადოების წარმომადგენლებს არ ეპყრობიან თანაბარუფლებიანად და ინტერნეტი მათთვის შესაძლოა საშიშ ადგილად გადაიქცეს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომაც შეიძლება ქალბატონები შეუერთდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს, გახლავთ სოციალური ძალადობა და ქალბატონების თვალთვალი.

ტერორისტულ ორგანიზაციებს სჭრიდებათ ახალგაზრდა ქალბატონები საშინაო მოსამსახურეებად ან/და იმისთვის, რომ მამაკაცებს ნებისმიერი სახის სექსუალური მომსახურება გაუწიონ. აღნიშნული ტენდენციით ქალებზე ორი სახის ძალადობა გამოიყოფა: იძულებითი ქორწინება და სექსუალური მომსახურების მიწოდება. უფრო მეტიც, ბულინგი (განურჩევლად იმისა ტრადიციული სახისაა თუ ციფრული ანუ კიბერ) განპირობებულია ინდივიდის პიროვნულობითა და გამოცდილებით. გოგონები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი კიბერბულინგისკენ, ვიდრე ბიჭები. როდესაც საქმე ეხება ბულინგის უფრო მეტად სერიოზულ სახეს, თანამხილველებმა შეიძლება დახმარება გაუწიონ დაზარალებულს ან ზოგ შემთხვევაში, ხელი შეუწყონ თანატოლებს შორის ბულინგს. როდესაც საქმე ბულინგს ეხება, სქესის კატეგორიას ორივე როლი შეიძლება ერგოს: დამხმარეს ან/და ქცევის გამაძლიერებლის. ისეთ ოჯახებში, სადაც გოგონებისა და ბიჭების რაოდენობები თანაბარია, სოციალიზაციის შემთხვევაში სხვადასხვა ადგილში გენდერს ენიჭება უპირატესობა. მამაკაცები უფრო მეტად არიან ჩართულნი არასასოციალურად, ლიდერულ და მიზნის მისაღწევ აქტივობებში, მაშინ როდესაც გოგონები მონაწილეობენ სოციალურ კავშირებში, რომ იზრუნონ სხვებზე და უკეთესი კომუნიკაცია დამყარდეს (Khan Taaren, 2021) მხარეებს შორის.

ქალბატონებს ხშირად ვნახავთ ისეთ პროფესიებში, როგორცაა: მასწავლებელი, მოლარე, ექთანი, სტილისტი, ხოლო მამაკაცებს - კომპიუტერული პროგრამისტი, ბანკირი, უსაფრთხოების თანამშრომელი და ქარხნის მუშა-ოპერატორი. ისეთი ონლაინ მედიის სწრაფი ზრდა, როგორცაა სოციალური ქსელები, ხელს უწყობს ფემინისტურ აქტივობებს, რომლებიც ხშირად ორიენტირებულია ძალადობაზე და შევიწროვებაზე.

ისეთმა სოციალურმა მედია ბიზნესმა, როგორცაა Twitter ან Facebook, უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ქალბატონებისა და მუსლიმანების ონლაინ ექსპლუატაციის შესაჩერებლად. სამწუხაროდ, სქესზე ორიენტირებული სიძულვილის ენის გამოყენება ყველაზე მეტად მოზრდილი (ე.წ. თინეიჯერი) თაობის წარმომადგენლებს შორისაა გავრცელებული.

ახლა კი რამდენიმე სიტყვით რასისტულ სამეტყველო აგრესიაზე, რაც ინდივიდის ან ხალხთა ჯგუფის გარეგნობიდან გამომდინარე ვლინდება. ამ ტიპის

მეტყველება მსოფლიოს მასშტაბით ჩვეულებრივ არის მოცემული. მეცნიერთა აზრით რასიზმი, როგორც გეგმა, მოიცავს სოციალურ და პოლიტიკურ ინფორმაციას, რომელიც დაფუძნებულია პროცესებზე, ისევე როგორც პერსონალურ დამოკიდებულებებსა და ქცევებზე. რასიზმი წარმოადგენს ინტეგრირებულ იდეოლოგიას, ისევე როგორც უსამართლო სოციალურ ტრადიციას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას და განხორციელდეს დომინანტური სოციალური ჯგუფის მიერ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ კონკრეტულ ჯგუფში შემავალი პირები ფასდებიან თავიანთი გარეგნობის მიხედვით მოცემულ, კონკრეტულ სიტუაციაში (მაგ. კანის ფერი). რასისტული ცილისწამება სოციალურ ქსელებზე მკვეთრად შემცირდა მას შემდეგ, რაც თეთრკანიანმა სოციალური ქსელის მომხმარებლებმა, რომელთაც ბევრი მიმდევარი ჰყავდათ, კონკრეტულ საკითხებს მხარი დაუჭირეს. უფრო მეტი შავკანიანი გააქტიურდა მას შემდეგ, ვიდრე თეთრკანიანი, რაც პოლიციის თეთრკანიანმა ოფიცერმა მოკლა შავკანიანი მაიკლ ბრაუნი. რასიზმთან დაკავშირებული პრობლემები შესაძლოა გააზრებული, გამოწვევად ქცეული და გადაჭრილი იქნას სოციალურ მედია კონტექსტებში. კვლევის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ მედია გადამწყვეტ როლს თამაშობს რასიზმის კამპანიაში და ის მიკერძოებულია კონკრეტული თემების მიმართ. გარდა ამისა, აღნიშნული მიკერძოებანი ინდივიდებს ფსიქოლოგიური პრობლემების, სიძულვილისა და რეცესიისკენ უბიძგებს (Khan Taaren, 2021 :5285-5294).

თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით კი ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, ყველაზე მეტად ეთნიკური სამეტყველო აგრესიის ნიმუშები არის გავრცელებული; აღნიშნული შემთხვევა გამოწვეულია დაძაბული პოლიტიკური ვითარებით ქვეყნებს შორის; ალბათ ყველა დამეთანხმებით, რომ რუსეთის ხსენებაზე მსოფლიოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მხოლოდ ომი, ოკუპაცია, აგრესია, ძალადობა და სხვა მსგავსი ცნებები გაახსენდება; ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 80% უარყოფითად არის განწყობილი რუსეთის პოლიტიკის მიმართ, რაც დესტრუქციული ლექსიკის ხშირ გამოყენებაში გამოიხატება.

აღსანიშნია ისიც, რომ სოციალური მედიის მომხმარებლები შეიძლება აღმოჩნდნენ ნებისმიერი სახის სამეტყველო აგრესიის წინაშე, რომელთა გამოც ისინი განიცდიან სტრესსა და დეპრესიას, რაც ხშირად უარყოფითი კომენტარებით არის

გამოწვეული. ამიტომაც, კონკრეტულ სფეროს სჭირდება უფრო მეტი გათვალისწინება იმისა, თუ რამდენად დიდ ფსიქოლოგიურ ზიანამდე შეიძლება მიგვიყვანოს სიძულვილის ენის გამოყენებამ. სოციალურ მედიაში გადაჭარბებული სიძულვილის ენის გამოყენების გამო კიბერტერორიზმის კონცეფცია მკვლევართა ინტერესის სფერო მომავალშიც არაერთხელ გახდება (Khan Taaren, 2021 :5285-5294). ფაქტია, რომ სიძულვილის ენა იწვევს ემოციურ ზიანს. ის ძალზედ გავრცელებული შემთხვევაა ყოველდღიურ ცხოვრებაში და მისი სხვისთვის გაზიარებაც სიმარტივეს წარმოადგენს.

აგრესიულობის პრობლემის კვლევა კომუნიკაციაში, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ დისკურსში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს თანამედროვე ანთროპოცენტრულ ლინგვისტიკაში. აღნიშნული ფაქტორი განსაზღვრულია იმით, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ხალხის კომუნიკაციის საჯარო ფორმისა და აზროვნების გზას. პოლიტიკური დისკურსის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი მუდმივი მიზანი, კერძოდ კი ძალაუფლებისთვის ბრძოლა და ნებისმიერ ფასად მისი შენარჩუნება. მასობრივი მედიის კომუნიკაციის განვითარებამ ამ ბრძოლაში ენას დაუთმო ადგილი, როგორც მთავარ იარაღს. მან ასევე უზარმაზარი მნიშვნელობა, გარკვეული სიმბოლური, მანიპულაციური და აგრესიული თვისებები შეიძინა ბოლო წლებში. პოლიტიკურ დისკურსში სამეტყველო აგრესიის ფენომენის შესწავლა დაგვეხმარება პოლიტიკური დისკურსის დონეზე კომუნიკაციური სიტუაციების უკეთესად გააზრებასა და სწორი მიდგომებით მის გაუმჯობესებაში.

აგრესია, როგორც ლინგვისტური ფენომენი, მეტყველებაში სხვადასხვა ადგილს იკავებს, თუმცა მისი მთავარი მიზანი ყოველთვის არის ის, რომ ზიანი მიაყენოს აგრესიის ადრესატს (ანუ მსხვერპლს). ლინგვისტიკები სამეტყველო აგრესიის დეტალებსა და ფუნქციებს განიხილავენ სხვადასხვა კონტექსტში (ძირითადად პუბლიცისტურ ტექსტებში). მათივე კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება გამოვყოთ აგრესიის გამოხატვის საერთო ელემენტები სამეტყველო აქტებში (Bakai, 2022 :44-49).

აგრესიის გამომწვევი მიზეზების, გამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ზემოქმედების გამოვლენამ, შეიძლება ხელი შეუწყოს ძალადობის დემონსტრირების

და მისი მედია საშუალებებით მიწოდების შემცირებას, რომელიც ამჟამად, აგრესიის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ითვლება (Melnychenko, 2018 :41-44).

ვერბალური აგრესია შეიძლება განსხვავდებოდეს ინტენსივობითა და გამოვლინების ფორმით, სიძულვილისა და ბოროტების გამოხატულებიდან დაწყებული, სიტყვიერ შეურაცხყოფამდე. როგორც ლ.პ. კრისინი აღნიშნავს: „დღესდღეობით აგრესიულობის დონე ხალხის სამეტყველო ქცევაში ძალიან მაღალია. ვერბალური ინვექციის (გამოწვევის გამოხატულება) ჟანრი ზედმეტად გაცოცხლებულია; იგი იყენებს მიმღების ქცევისა და პიროვნების უარყოფითი შეფასების მრავალფეროვან საშუალებებს - გამომხატველი სიტყვებისა და ფრაზების ლიტერატურული ფორმებიდან დაწყებული, უხემ ჟარგონულ სიტყვებამდე და შეურაცხმყოფელ ენამდე. ყველა ეს თვისება არავერბალურ კომუნიკაციაში მიმდინარე უარყოფითი პროცესების შედეგია; ისინი მჭიდრო კავშირშია კულტურისა და მორალის სფეროში გავრცელებულ დესტრუქციულ მოვლენებთან“³ (Krysin, 1996 :384-408).

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „აგრესია“ დაკავშირებულია აგრესიულობისა და მტრული დამოკიდებულების ფენომენთან, რომლებიც ურთიერთცვლადი არ არიან. აგრესიულობა განისაზღვრება როგორც ინდივიდუალური ფსიქიკური თვისება, სპეციფიკური სტრუქტურა, რომელიც პიროვნების ფსიქიკური თვისებების უფრო რთული სტრუქტურის კომპონენტს წარმოადგენს. ამრიგად, აგრესია არის ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკური თვისება, რომელიც გარკვეულ პირობებში (კონფლიქტური კომუნიკაციური სიტუაცია) ხორციელდება ფიზიკური ან ვერბალური საშუალებების გზით (Melnychenko, 2018 :41-44).

აუცილებელია, ასევე, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ „აგრესია“ და „მტრული დამოკიდებულება“. ეს უკანასკნელი განიმარტება როგორც ფარული სიტყვიერი რეაქცია, რომელსაც თან ახლავს უარყოფითი დამოკიდებულებები და შეფასებები ხალხსა და მოვლენებზე. მაშასადამე, ისეთი თვისება როგორცაა „საიდუმლოება“, განასხვავებს მტრულ დამოკიდებულებას აგრესიისგან, რომელიც ბუნებით გარეგნულად, აქტიურად არის გამოხატული სხვებთან მიმართებით.

აღსანიშნავია ის, რომ მტრული დამოკიდებულება არის მდგომარეობა,

³ აქ და ქვევით თარგმანი ჩვენია - კ.თ.

რომელიც არ მოიცავს მეტყველებას ან ფიზიკურ აქტივობას, მაშინ როდესაც აგრესია გულისხმობს ფიზიკურ მოქმედებას, რომელიც ასევე მოიცავს მეტყველებასაც. მაშასადამე, აგრესია არის გარკვეული მდგომარეობის (მტრული დამოკიდებულების) გამოვლინება და ფსიქიკის გარკვეული მახასიათებლების რეალიზაცია ადამიანთა ურთიერთობების სიტუაციებში.

სამეტყველო აგრესიის სტატუსის პრობლემის განსაზღვრას თანამედროვე ლინგვისტიკაში ისეთი გამოხატულებების არსებობა უძღვის, როგორცაა: ვერბალური (ვოკალური, ენობრივი, სამეტყველო, კომუნიკაციური) აგრესია, ბრძოლის ენა, ექსტრემიზმის ენა, სამეტყველო კონფლიქტი - რომლებიც თითქმის სინონიმურ ერთეულებად მოიაზრება.

ტერმინი „სამეტყველო აგრესია“ დღეს გამოიყენება უარყოფითი ემოციებისა და კრიტიკული დამოკიდებულებების გამოსახატავად, ემოციური და მენტალური (გონებრივი) ზიანის მისაყენებლად და ფიზიკური აგრესიული ქცევის შეცვლის მიზნით.

საკმაოდ ხშირად ვერბალური აგრესია ლინგვისტურ კვლევებში კონფლიქტური კომუნიკაციის სინონიმად მოიაზრება. როგორც ტ.ვორონცოვი აღნიშნავს, სამეტყველო აგრესია წარმოადგენს კომუნიკაციური ინტერაქციის კონფლიქტოგენურ ტექნოლოგიას. კონფლიქტი არის სამეტყველო აგრესიის კომუნიკაციური პერსპექტივა, როდესაც საქმე გვაქვს ნებისმიერი სახის უარყოფით დამოკიდებულებაზე კომუნიკაციაში. გარდა ამისა, კონფლიქტური კომუნიკაცია, როგორც სამეტყველო აგრესია, მოიცავს ღირებულებებისათვის ბრძოლას, კონკრეტული წოდების მოპოვებას, ძალაუფლებასა და რესურსებს, რომლებიც მიიღწევა ნეიტრალიზაციის, მტრული დამოკიდებულების აღმოფხვრისა ან მორალური ზიანის მიყენებით. კონფლიქტური და აგრესიული კომუნიკაცია წარმოადგენს ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ბრძოლის პროცესს, რომლებიც ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი ინტერესები, მიაღწიონ დასახულ მიზნებს; თავად ამ პროცესს კი თან ახლავს მოწინააღმდეგე მხარის უარყოფითი ემოციები (Melnychenko, 2018 :41-44).

კონფლიქტის კვლევამ, კონფლიქტი განმარტა როგორც ინდივიდუალური ქცევის კომუნიკაციური მოდელი, რომელიც სუბიექტთაშორის ურთიერთობებში

დაპირსპირების წარმოქმნაზეა ორიენტირებული (Melnychenko, 2018 :41-44).

აგრესიის ინტერპრეტაციის გამოჩენის ფაქტი ფსიქოლოგიურ ასპექტში „მტრული დამოკიდებულების ან დესტრუქციული ქცევის“ მიმართებით მნიშვნელოვანია და პირველად ნახსენები იყო ზ. ფროიდის ნაშრომში 1912 წელს. ეს მნიშვნელობა აუცილებელია თანამედროვე კომუნიკაციური მეცნიერებების კვლევის პირობებში ზოგადად, ხოლო პოლიტიკურ მეცნიერებებში - კერძოდ.

ჩვენ ზემოთ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ აგრესიას უამრავი სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვა და განმარტება მოეპოვება, მათ შორის:

1. არაპროვოცირებული მტრული მოქმედება კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ, მეორე ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ;
2. მეორე მხარის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი და ზიანის მომტანი მოქმედების განხორციელება;
3. მსგავსი ქმედების განხორციელება.

საბოლოოდ უნდა შევაჯამოთ, რომ ვერბალური აგრესიის სპეციფიკა პოლიტიკურ დისკურსში, ლინგვისტური გავლენის თვალსაზრისით, დაფუძნებულია მოსაუბრის მიერ მისი პოზიციის აღიარებასა და აზრზე, რომ იგი უპირობოდ უნდა იყოს მიღებული ადრესატისთვის. ვერბალური აგრესიის საფუძველი ყალიბდება ადრესატზე უარყოფითად მიმართული ემოციური მეტყველების ზემოქმედებაზე, ანტიეტიკეტური მიზნების განხორციელებაზე, რაც ეწინააღმდეგება კომუნიკაციის პოზიტიურ მიმართულებას და კომუნიკაციის მონაწილეთა ურთიერთობების დესტაბილიზაციას იწვევს. ამ ტიპის ვერბალური ქცევა ხასიათდება ორმაგი ინტენციით. პირველი, ეს არის მოსაუბრის ცნობიერი ორიენტაცია სუბიექტ-ობიექტის ტიპის ურთიერთობაზე, რომელიც შეიძლება გამოიხატოს როგორც განცხადებების შინაარსით, ისე სიტყვიერი ქცევის დესტრუქციული ფორმებით. მეორე, აგრესიულ კომუნიკაციას ყოველთვის ახასიათებს უარყოფითი დამოკიდებულებების გამოხატვა ადრესატის ან საუბრის სუბიექტის მიმართ, რომელიც არ იმყოფება კომუნიკაციის პროცესში.

დიალოგიური ინტერაქციის თვალსაზრისით, სიტყვიერი აგრესია პოლიტიკურ დისკურსში ფართო გაგებით წარმოადგენს მოსაუბრის ორიენტაციას ანტიდიალოგზე, კომუნიკაციის წარუმატებლობაზე, რომელიც განზრახ

ორგანიზებულია ადრესატის მიერ (Melnychenko, 2018 :41-44).

მაშასადამე, ვერბალური აგრესიის კლასიფიკაციები ერთმანეთთან კორელაციაშია, რაც წარმოაჩენს სუპერპოზიციების გარკვეულ ხარისხს. მიდგომათა მრავალფეროვნება უზრუნველყოფს ჩვენი კვლევის ყოვლისმომცველობას, ვერბალური აგრესიის განხორციელებისას, საგარეო და საშინაო პოლიტიკურ დისკურში და, შესაბამისად, განაპირობებს შემდეგი კვლევის აქტუალურობას.

§2.3 სამეტყველო აგრესიის ლინგვისტური ანალიზი

ძალადობრივი დანაშაულების ამჟამინდელი ზრდა გვაფიქრებს იმაზე, თუ რა სოციალური გარემოებები იწვევს მას.

შესაძლოა ძალადობის ზრდას ხელს უწყობს საზოგადოებაში ინდივიდუალიზმის და მატერიალიზმის ზრდა ან ძალადობის სცენების მომრავლება მასმედიაში. ეს ვარაუდი ჩნდება იმის გამო, რომ ფიზიკური ძალადობის ზრდა დაემთხვა მედიაში, განსაკუთრებით კი ტელევიზიაში, სისხლიანი სცენების გაჩენას.

ა. ბანდურას „სოციალური დასწავლითი თეორიის“ მიხედვით (ეს თეორია ერთგვარი გაგრძელებაა ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის) აგრესია ქცევაა, რომლის ჩამოსაყალიბებლად და განსამტკიცებლად სამი სახის პროცესის არსებობაა საჭირო:

1. ონტოგენეზის განმავლობაში აგრესიული ტიპის ქცევის შეთვისება;
2. აგრესიული ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორები;
3. იმ პირობების არსებობა, რომლებიც განამტკიცებენ აგრესიული ქცევის

სტერეოტიპს (Bandura, 2001 :1-26).

აგრესიის ბუნების სრულყოფილად გასაგებად, საჭიროა, სამ საბაზისო საკითხზე ვფლობდეთ ინფორმაციას: 1. მანერა, რომელშიც ასეთი ქცევაა შეძენილი; 2. ჯილდო და დასჯა, რომელიც მოქმედებს მის შესრულებაზე და 3. სოციალური და გარემოსეული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოცემულ კონტექსტში მის შესრულებაზე.

სტრატეგიული ვერბალური აგრესია პირადი ვერბალური აგრესიისგან სამი ძალიან მნიშვნელოვანი გზით განსხვავდება; სტრატეგიული ვერბალური აგრესია გულისხმობს ვერბალურად გამოხატული აგრესიული შეტყობინებების შეგნებულ და

შერჩევით გამოყენებას კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების მიღწევად. პირად ვერბალურ აგრესიას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს სასურველი შედეგი და არ იყოს ცნობიერი (შეგნებული) კონტროლის ქვეშ (Kuzyk, 2013 :1-10).

სტრატეგიული ვერბალური აგრესიის მნიშვნელოვანი კომპონენტია განზრახვა. სტრატეგიული ვერბალური აგრესია რიტორიკული ხასიათისაა და ამასთანავე ის ყოველთვის გამოიყენება მიზანმიმართულად. ზოგ შემთხვევაში, სტრატეგიული ვერბალური აგრესია შეიძლება გამოყენებული იქნას მომბეზრებელი ადამიანის თავიდან მოშორების მიზნით. სხვა შემთხვევაში ის გამოიყენება იმისათვის, რომ აიძულოს ვინმე შეცვალოს საკუთარი ქცევა, დამოკიდებულება ან თვითშეფასება. სტრატეგიული ვერბალური აგრესია, ასევე, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ფსიქოლოგიური ტკივილის მიყენების მიზნით. მისი განზრახვის შესაძლო წყარო უსასრულოა, თუმცა შედეგები ორმხრივია: წარმატება ან წარუმატებლობა მიზნის მიღწევაში.

მესამე, სტრატეგიული ვერბალური აგრესია გულისხმობს ლოგიკურ პროგრესს, სხვადასხვა ტაქტიკის განხილვას, რამაც შესაძლოა მიზნის მიღწევაში და სამეტყველო აგრესიის მეშვეობით შეტყობინების გადასაცემად ტაქტიკის სწორ შერჩევაში დაგვეხმაროს (Kuzyk, 2013 :1-10).

მ.ბახტინის აზრით, მეტყველება უპირველესყოვლისა ვლინდება მეტყველების კონკრეტული ჟანრის არჩევაში. ეს არჩევანი განისაზღვრება სამეტყველო კომუნიკაციის მოცემული სფეროს სპეციფიკური ბუნებით, სემანტიკის (თემატიკის) გათვალისწინებით, სამეტყველო კომუნიკაციის კონკრეტული სიტუაციით, მისი მონაწილეების პირადი შემადგენლობით და სხვა.

სხვადახვა მეცნიერის, მათ შორის ო. შეიგალის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენ ვიგებთ, რომ გამოთქმის აგრესიულობა ცვლადია და დამოკიდებულია ბევრ ისეთ ფაქტორზე, როგორცაა: ლინგვისტური მნიშვნელობების ინვექტიურობა, ადრესატი, რომელიც გამოთქმას მნიშვნელობას სძენს, გამოთქმის პერლოკუციური ეფექტი, შეფასების კრიტერიუმების ეთნოკულტურული ტრადიციები, მრავალმხრივი კონტექსტუალური პარამეტრები (Kuzyk, 2013 :1-10).

აგრესიული კომუნიკაციური ქცევის ლინგვისტური ანალიზის პროცედურებთან დაკავშირებით, ჩვენი მოსაზრება შემდეგია:

1. სამეტყველო სტრუქტურის სემანტიკური პოტენციალის ანალიზი.

ამ წინასწარ სტადიაზე მიმდინარეობს სალანძღავი სიტყვების (ინვექტივების) იდენტიფიცირება; ავტორის წინასწარი განწყობის ანალიზი; შესწავლილი ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგიური და შემეცნებითი ასპექტები, თავდაჯერებულობა და არგუმენტირებულობა ადასტურებს კონფლიქტების მოგვარების სასარგებლოდ ადრესატის კონსტრუქციულ მიდრეკილებას.

თავდაჯერებულობა კონცეპტუალიზებულია, როგორც „კონსტრუქციული საკომუნიკაციო თვისება“ (პიროვნებასთან დაკავშირებული თვისება, რომელიც ეხება კონკრეტულად ადამიანის სიმბოლურ ქცევას), რადგან ის გულისხმობს კონტროლის განსახორციელებლად ვერბალური და არავერბალური სიმბოლოების გამოყენებას, გამართლებული ჯილდოს მისაღებად და საკუთარი უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. თავდაჯერებული პირები იცავენ თავიანთ უფლებებს და გამოხატავენ თავიანთ აზრებს, გრძნობებს და რწმენას სათანადო გზებით, რომლებიც არ არღვევს სხვის უფლებებს. სხვა თავდაჯერებული ქცევა მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს: ღიაობას, არაგონივრული მოთხოვნების უარყოფას, პიროვნებათშორისი უთანხმოების არარსებობას, მოთხოვნების წამოყენებას, საკუთარი გრძნობების სპონტანურ გამოხატვას, დაშინებაზე უარის თქმას, ინიციატივების მიღების სურვილს და აქტიური და პასიური უთანხმოებების დაპირისპირებას (Kuzyk, 2013 :1-10).

მტრობა და ვერბალური აგრესია დესტრუქციულ მიდრეკილებებად განიხილება. დესტრუქციული სიმბოლური აგრესია კლასიფიცირდება როგორც მტრობა. მტრობა ვლინდება ისეთი პიროვნებათშორისი კომუნიკაციის დროს, როდესაც კომუნიკანტები შეტყობინებებს თავიანთი გაღიზიანების, უარყოფითი დამოკიდებულების, წყენისა და ეჭვის გამოხატვის მიზნით გამოიყენებენ და რომელსაც თან ახლავს აგრესიული სამეტყველო ქცევა.

ვერბალური აგრესია განისაზღვრება არა იმდენად კომუნიკაციის თემის ირგვლივ საკუთარი პოზიციების დაფიქსირებაზე თავდასხმის მცდელობად, არამედ კომუნიკანტის თვითშეფასებაზე ზემოქმედებად. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ არსებობს თვითკონცეფციაზე (თავდაჯერებულობაზე) თავდასხმის სამი მთავარი

სფერო: კონკრეტულ ჯგუფზე მიკუთვნებულობა, პირად გრძნობებზე ხაზგასმა და ურთიერთობის გრძნობებზე ზემოქმედება.

სამეტყველო აგრესიის მარკერები იდენტიფიცირებულია ინვექტიურობის წარმომქმენლი საშუალებების გამოყოფის პროცესში, რომლებიც ტექსტის ან მისი სემანტიკური ერთეულის სტრუქტურულ კომპონენტებს წარმოადგენს (Kuzyk, 2013 :1-10).

იმისათვის რომ ამოვიცნოთ ინვექტიმები და განვასხვავოთ ისინი სხვა ერთეულებისაგან, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- თუ არსებობს რაიმე ფსევდოარგუმენტი, რომელიც ადრესატზეა მიმართული?
- გადმოსცემს თუ არა კონკრეტული გამოთქმა კონკრეტული პიროვნების ან ჯგუფის მიმართ დამამაცირებელ ინფორმაციას?

2. შეინიშნება ტექსტის ტონალობა, ხაზგასმულია უარყოფითი ტონალობის შექმნის საშუალებები.

ინვექტივის აგრესიულობის გათვალისწინება გრადირებადი (ცვალებადი) მნიშვნელობის მაგალითს წარმოადგენს, რომელიც ენის ყველა დონეზე ჰპოულობს ასახვას. მაშინ როცა, ცნება „დანაშაულის“ ენობრივი კონცეფცია გაცილებით ფართოა, ვიდრე მისი იურიდიული ანალოგი, მიზანმიმართული იქნება თუ შევისწავლით ინვექციური სემანტიკის მატარებელი საშუალებების სპექტრს ტექსტის ტონალობასთან მიმართებაში.

გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე ინვექტიურია თუ არა გამოთქმა, მიიღება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- არის თუ არა გამონათქვამში რაიმე ისეთი ერთეული, რომელიც ეწინააღმდეგება მორალურ და სოციალურ ნორმებს?
- ლექსიკური ერთეულების ფუნქციური და სემანტიკური დატვირთვა სიტყვათა კომბინაციაში, წინადადებაში ან ტექსტში;
- გამოთქმის ფუნქციური და სემანტიკური დატვირთვა;
- ხორციელდება თუ არა ინფორმაციის ვულგარული ფორმით გადაცემა კომუნიკაციის დროს?
- ხვდება თუ არა ენობრივი ერთეულები ინვექციური ლექსემების რომელიმე ერთ ჯგუფში მაინც?

3. კომუნიკაციური სტრუქტურის კომპონენტები გაანალიზებულია.

ამ საფეხურზე განიხილება გამონათქვამების შემცნებითი სტრუქტურა, რომელიც აგრესიულ კომუნიკაციურ-პრაგმატულ ზრახვებს ახორციელებს. ინვექციური გამოთქმის პროპოზიციური სტრუქტურის ანალიზი გულისხმობს მისი კომპონენტების მონიშვნას, მათი ფუნქციონირების თავისებურებების შესწავლას და ინვექციური სიტუაციების ტიპების განსაზღვრას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვაკვირდებით ავტორის თვითიდენტიფიკაციის კომპონენტებს (არგუმენტებს), ობიექტის (მეტყველების აგრესიის მსხვერპლი) მითითებას, სამეტყველო აგრესიის მეორადი ადრესატისა და ინვექტემეს (აგრესიის სუბიექტის) იდენტიფიკაციის კომპონენტებს.

4. გამოთქმების კომუნიკაციური სტრუქტურა განიხილება მათი სემანტიკისა და მოდელირების პერსპექტივიდან (ინვექტიმის ტიპები-შეფასება, ფაქტი, მოსაზრება), განიხილება აქტანტების შემოტანის გზა, აქტანტების ცვლა, დესტრუქციული, დამამაცირებელი და დისკრედიტაციული წინადადებების ენობრივი თავისებურებები. აღნიშნული ეტაპი ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ აგრესორის დასამცირებლად შეურაცხყოფელი ერთეულების ზედაპირული, არამოტივირებული გამოყენება გონივრულ საფუძველს წარმოადგენს (Kuzyk, 2013 :1-10).

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ჩვენ შევეცადეთ განგვეხილა სამეტყველო აგრესიის ფენომენი რიტორიკული პერსპექტივიდან და წარმოგვეჩინა მისი განმასხვავებელი ნიშნები როგორც მედია, ისე პოლიტიკურ დისკურსში; აქვე საუბარი გვქონდა აგრესიული კომუნიკაციური ქცევის ლინგვისტური ანალიზის პროცედურებზეც.

თავი III სამეტყველო აგრესიის მთარგმნელობითი ასპექტები

§3.1 თარგმანი როგორც მეცნიერება

თარგმანი, როგორც ენობრივი კომუნიკაციის სპეციფიკური სახეობა, ყველა თავისი განზომილებით უფრო თავისუფლად განთავსდა მიკროლინგვისტიკაში და მჭიდროდ დაუკავშირდა ისეთ დისციპლინებს, როგორცაა: ტექსტის ლინგვისტიკა, კომუნიკაციური, სოციალური, პრაგმატული ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვა. თავის მხრივ, თარგმანის თეორიულ შესწავლაში ლინგვისტური ანალიზის მეთოდების გამოყენებამ, უკეთ გამოავლინა ენის კომუნიკაციური არსი და ეს მოხდა ფუნქციონირების აღწერის მეშვეობით კომუნიკაციის სპეციფიკური სახეობის - თარგმანის საფუძველზე.

ენათმეცნიერების ყურადღება მიიპყრო თარგმანმა ბილინგვიზმის თვალსაზრისითაც, თუმცადა, ესაა სპეციფიკური, მოწესრიგებული ორენოვნება, რომლის დროსაც ინდივიდის ცნობიერებაში ორი ენობრივი სისტემა ერთმანეთთან დაკავშირებულია ურთიერთეკვივალენტური ერთეულების თავისებური ბმით.

თარგმანის ლინგვისტური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა შემდეგი სახისაა: უნდა გაიმიჯნოს თუ არა ერთმანეთისგან „თარგმნა, როგორც პროცესი“ და „თარგმანი, როგორც შედეგი“, ე.ი. თარგმანის ტექსტი? ჩვენი აზრით, ლინგვისტური კვლევა აუცილებლად უნდა მიჯნავდეს ერთმანეთისგან ამ ორ ცნებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ყოველი ტიპის ტექსტის თარგმნის პროცესის ანალიზი მეტწილად პირობითია. ჩვეულებრივ, ანალიზისთვის იყენებენ როგორც საწყის (გამოსავალ) ტექსტს, ანუ დედანს, ასევე საბოლოო ტექსტს, ანუ თარგმანს. თეორეტიკოსთაგან განსხვავებით, თარგმანის პროცესის აღწერა პრაქტიკოსი მთარგმნელის პერეოგატივია, ვინაიდან, ყველაზე უკეთ მთარგმნელმა შეიძლება აღწეროს ენათშორისი ტრანსფორმაციების ის გზა, რომელმაც მიგვიყვანა საბოლოო ტექსტამდე (ფანჯიკიძე, 1995 :3-4).

თარგმანის ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსი, ვ.ნ. კომისაროვი თარგმანის თეორიაში ოთხ ძირითად მიმართულებას გამოჰყოფს:

1. ნაშრომების ერთ წყებაში თარგმანი ზოგადად განიხილება, როგორც ენათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება. თარგმანის ამ ასპექტის შესწავლა

მიზნად ისახავს თარგმანის ცნების განსაზღვრას, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამოვლენას, მათი ურთიერთზემოქმედების კვლევას და ამ ფონზე განიხილავს თარგმანის თეორიის ცენტრალურ პრობლემას - ეკვივალენტობის პრობლემას.

2. თარგმანი განიხილება როგორც მეტყველების თავისებური სახეობა, განხორციელებული მთარგმნელ-ბილინგვის მიერ. ამ ფსიქოლოგიური ასპექტის შესწავლის მიზანია მთარგმნელის სააზროვნო ოპერაციების გაანალიზება თუ როგორ ხდება დედნის შინაარსის გააზრება და თარგმანის ვარიანტის შერჩევა.

3. თარგმნა მოიაზრება როგორც ერთ ენაზე შექმნილი ტექსტიდან მეორე ენაზე შესაქმნელ ეკვივალენტურ ტექსტზე გადასვლა. ამ შემთხვევაში თარგმნა განიხილება როგორც საწყისი „ტექსტის“ ტრანსფორმაციები ანუ ორ სტრუქტურას (ტექსტს) შორის მიმართებათა აღწერის ხერხები.

4. თარგმანის პროცესი განიხილება როგორც ორი ენის სამეტყველო და ენობრივი ერთეულების შეპირისპირების განსაკუთრებული (დინამიკური) სახეობა. თარგმნის პროცესში ეკვივალენტურობა დგინდება არამარტო ორ სხვადასხვა ტექსტს შორის, არამედ ამ ტექსტების ელემენტებს შორისაც, თვით ცალკეულ ენობრივ ერთეულებამდეც კი. ამასთან, ორი ენის ეკვივალენტური ერთეული ერთმანეთს შეეფარდება არა როგორც მხოლოდ მათი სისტემების ერთეულები, არამედ ისინი არსებობენ ეკვივალენტური სამეტყველო გამონათქვამების შემადგენლობაში. ამის მიხედვით „თარგმნა გვევლინება როგორც ისეთი ერთეულების გამოვლენის ხერხი სხვადასხვა ენაში, რომელთაც ძალუმთ შეასრულონ ერთნაირი კომუნიკაციური ფუნქცია“ (Комиссаров, 1972 :253).

სხვა ლინგვისტური თეორიებისგან განსხვავებით, თავის მოსაზრებაში, ი. რეცკერი არ გაურბის ისეთი კატეგორიების ხსენებას, როგორცაა შინაარსისა და ფორმის ერთიანობა. კერძოდ, იგი წერს: „მთარგმნელის ამოცანაა სხვა ენის საშუალებით მთლიანობაში და ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და ამავე დროს შეინარჩუნოს მისი სტილისტური და ექსპრესიული თავისებურებანი. თარგმანის „მთლიანობაში“ მოიაზრება ფორმისა და შინაარსის ერთიანობა სხვა ენობრივ საფუძველზე“ (Рецкер, 1974 :7).

რომან იაკობსონი, თარგმნის ლინგვისტურ ასპექტებზე მსჯელობისას განასხვავებს თარგმანის სამ სახეობას:

1. შიდაენობრივი თარგმანი - გულისხმობს ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაციას იმავე ენის სხვა ნიშნებით;
2. ენათშორისი თარგმანი ანუ საკუთრივ თარგმანი - ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა რომელიმე ენის მეშვეობით;
3. სემიოტიკათშორისი თარგმანი ანუ ტრანსმუტაცია - ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია არავერბალურ ნიშანთა სისტემის მეშვეობით.

მისი აზრით, „ენათშორისი თარგმანის დონეზე, ჩვეულებრივ, კოდის ერთეულებს შორის არ არსებობს სრული ეკვივალენტურობა, მაგრამ შეტყობინება, რომლებშიც იგი გამოიყენება, შეიძლება გამოდგეს უცხო კოდური ერთეულების ადეკვატურ ინტერპრეტაციად ან მთელ შეტყობინებად“ (Якобсон, 1978 :7).

რ. იაკობსონი თარგმნისას დიდ ყურადღებას უთმობს გრამატიკული სტრუქტურების როლს, თუმცა, ამავე დროს აღნიშნავს, რომ თავისი კოგნიტური ფუნქციით ენა მაინც მინიმალურადაა დამოკიდებული გრამატიკულ სისტემაზე. ენის კოგნიტური დონე არამარტო შესაძლებელს ხდის, არამედ ითხოვს კიდევ შეცვლით განხორციელებულ ინტერპრეტაციას, ანუ თარგმნას.

ჯონ კეტფორდი თარგმანის თეორიას განიხილავს როგორც კომპარატიული (შედარებითი) ლინგვისტიკის ერთ-ერთ განშტოებას, ხოლო ცნება „თარგმანი“ მისთვის არის „ერთ ენაზე (ანუ წყარო ენაზე) მოცემული ტექსტობრივი მასალის შეცვლა ეკვივალენტური ტექსტობრივი მასალით მეორე ენაზე (ანუ სამიზნე ენაზე)“ (Catford, 1965 :20).

იუჯინ ნაიდა სტატიაში „თარგმანის მეცნიერების საკითხები“ მიმოიხილავს თარგმანის ტიპებს, რომელთა არჩევანი დამოკიდებულია;

1. შეტყობინების ხასიათზე;
2. ავტორის განზრახვაზე და აქედან გამომდინარე, მთარგმნელის განზრახვაზე, როგორც ავტორის ნდობით აღჭურვილი პირისა;
3. აუდიტორიის ტიპზე. (Nida, 1969 :12-33)

მთარგმნელის მთავარი ამოცანა დედნის შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებით ინფორმაციის გადმოცემაა, რაც არ გამორიცხავს მკითხველში ემოციური ეფექტის შექმნის მცდელობას.

იუჯინ ნაიდას შემოაქვს ტერმინები: ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტურობა. ფორმალური ეკვივალენტურობის დაცვისას ყურადღება ექცევა თვით შეტყობინებას. შეტყობინებაში იგი მოიაზრებს ფორმისა და შინაარსის პლანს ანუ აუცილებად მიიჩნევს, რომ პოეზია ითარგმნოს პოეზიით, წინადადება - წინადადებით, ცნება-ცნებით და ა.შ. ფორმალური ეკვივალენტურობის დაცვისას მთარგმნელი ცდილობს ფორმისა და შინაარსის რაც შეიძლება ზუსტად, სიტყვა-სიტყვით აღდგენას.

დინამიკური ეკვივალენტურობის დაცვისას აუცილებელია თარგმანის ენაზე (სამიზნე ენაზე) მოწოდებული ინფორმაციის არა დამთხვევა წყარო ენაზე მოწოდებულ ინფორმაციაზე, არამედ, აქ უნდა შეიქმნას შეტყობინებასა და თარგმანის ენაზე მიმღებს შორის დინამიკური კავშირი. ამასთან, სასურველია, ეს კავშირი იყოს დაახლოებით ისეთივე, როგორც მყარდებოდა შეტყობინებასა და მიმღებს შორის დედნის ენაზე.

ამ პრინციპით შესრულებულ თარგმანს ახასიათებს გამოხატვის ხერხების ბუნებრივობა. ამასთან, მიმღებს სთავაზობენ მისი საკუთარი კულტურის კონტექსტის რელევანტური ქცევის მოდუსს, მისგან არ მოითხოვენ ესმოდეს ორიგინალის ენის კულტურის კონტექსტი.

თარგმანის პროცესის ინტერპრეტაციას ეხება ჟან-პოლ ვინესა და ჟან დარბელნეს ნაშრომი „თარგმნის ტექნიკური ხერხები“ (Vinay & Darbelnet, 1958), სადაც ავტორები განასხვავებენ ორ ლინგვისტურ სისტემას, რომელთაგან ერთი ექსპლიციტურია და მყარი, მეორე კი პოტენციური და ადაპტაციის უნარის მქონე.

ერთ-ერთ მთავარ ასპექტად ავტორები გამოყოფენ თარგმანში სტილისტური ეფექტის გადმოცემას, რასაც ზოგჯერ ხელს უშლის სტრუქტურული ან მეტალინგვისტური განსხვავებანი და ასახელებენ 7 ხერხს:

1. სესხება - აქ იგულისხმება სტილისტური ეფექტის შექმნის მიზნით ეროვნული რეალიების გადმოტანა;

2. კალკირება - სინტაგმების სესხება ანუ მისი შემადგენელი ელემენტების ბუკვალური (ასო-ბგერითი) გადმოტანა;

3. სიტყვა-სიტყვითი თარგმნა, რომელიც შეუძლებელია, როცა:

ა) ნათქვამი იძენს სხვა აზრს;

ბ) გამოდის უაზრობა;

გ) შეუძლებელია სტრუქტურული მოსაზრებით;

დ) არ შეესაბამება არაფერს თარგმნის ენის მეტალინგვისტიკაში;

ე) შეესაბამება რაღაცას, მაგრამ არა იმავე სტილისტურ დონეზე.

4. ტრანსპოზიცია (ფაკულტატური და აუცილებელი) ანუ ერთი მეტყველების ნაწილის შეცვლა მეორეთი;

5. მოდულაცია ანუ ინფორმაციის ვარირება (ასევე ფაკულტატური და აუცილებელი), სხვადასხვა ფორმით გადმოცემა.

6. ეკვივალენცია;

7. ადაპტაცია - ამ ხერხს ვირჩევთ მაშინ, როცა დედანში აღწერილი სიტუაცია არ არსებობს თარგმანის ენაში და უნდა გამოიცეს სხვა, მისი ეკვივალენტური სიტუაციით. ესაა სიტუაციის ეკვივალენტურობა.

საინტერესოა გერმანელი თეორეტიკოსის ოტო კადეს სქემა, რომელიც აღწერს ენათშორისი (ორენოვანი) კომუნიკაციის ანუ თარგმანის პროცესს (Kade, 1968).

ო. კადე იყენებს კავშირის თეორიის ტერმინებს, სადაც კომუნიკაციური აქტი აღიწერება მისი მონაწილეების (გამგზავნისა და მიმღების) ურთიერთქმედების პლანში კავშირის ამა თუ იმ არხის მეშვეობით. გამგზავნი იყენებს რომელიმე კოდს სათანადო არხით გადასაცემი შეტყობინების ასაგებად, მიმღები კი იყენებს იმავე კოდს, ახდენს შეტყობინების დეკოდირებას და ამრიგად, იღებს მისთვის განკუთვნილ შეტყობინებას. თუ ამ სქემას სამეტყველო კომუნიკაციურ აქტს მივუსადაგებთ, მაშინ გამგზავნი და მიმღები სამეტყველო შეტყობინების მონაწილენი აღმოჩნდებიან (მოლაპარაკე და მსმენელი, ტექსტის ავტორი და მკითხველი); კავშირის არხის როლში გამოდის სამეტყველო კომუნიკაციის ხერხი - ზეპირი ან წერილი მეტყველება, მათი ჟანრული სახესხვაობანი; შეტყობინების ადგილს იკავებს ენობრივი წარმონაქმნი ანუ ტექსტი, ხოლო კოდი ამა თუ იმ ბუნებრივი ენის წესების ერთობლიობა იქნება.

ოტო კადეს სქემაში⁴ თარგმანის პროცესი, როგორც სამეტყველო ენათშორისი კომუნიკაციის აქტი, სამ ფაზად იყოფა:

1. კომუნიკაცია გამგზავნასა და მიმღებს შორის, სადაც მთარგმნელი მიმღების როლში გვევლინება;

2. კოდის შეცვლა წყარო ენიდან სამიზნე ენაზე მთარგმნელის მიერ, რომელიც ამ შემთხვევაში კოდის შემცვლელად გვევლინება; მთარგმნელი ჯერ ახდენს საწყისი შეტყობინების დეკოდირებას, შემდეგ ამ გზით ამოღებული ინფორმაციის საფუძველზე სხვა კოდის გამოყენებით ანუ სამიზნე ენის მეშვეობით აგებს შეტყობინებას;

3. კომუნიკაცია გამგზავნასა (მთარგმნელს) და საბოლოო შეტყობინების მიმღებს (მკითხველს, მსმენელს) შორის.

ო. კადეს შეხედულებები თარგმანზე შეიძლება შეჯამდეს მისივე განმარტებით; კერძოდ, იგი წერს: „თარგმანში ჩვენ მოვიაზრებთ პროცესს, რომელიც იწყება წყარო ენის ტექსტის (აკუსტიკურ-ფონეტიკური ან ოპტიკურ-გრაფიკული) აღქმით და მთავრდება თარგმანის ენაზე (სამიზნე ენაზე) შესრულებული ტექსტის (მოტორულ-ფონეტიკური ან გრაფიკული) გადაცემით. მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია კოდების ცვლა ანუ მოცემული ტექსტის გადატანა წყარო ენის კოდიდან სამიზნე ენის კოდზე“.

ა. ლილოვა მიეკუთვნება იმ ავტორთა რიცხვს, რომლებიც მხარს უჭერენ თარგმანის ერთიანი თეორიის შექმნის იდეას; ასეთმა თეორიამ უნდა მოიცვას თარგმანის ყველა სახეობა და მათ შორის, ცხადია, მხატვრული თარგმანიც. ა.ლილოვა თარგმანის ინტერპრეტაციისას მის სოციალურ ფუნქციას წამოსწევს წინ, თარგმანის როლს ორი კულტურის დაახლოების საქმეში, მაგრამ თვით თარგმანის სპეციფიკაზე მსჯელობისას, სხვა მრავალ თეორეტიკოსთა მსგავსად, განასხვავებს თარგმანსა და თარგმნას. პირველი მას მიაჩნია დედნის ანალოგად, თარგმნის პროცესი კი მისთვის არის „სპეციფიკური ზეპირი ან წერილობითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია ერთ ენაზე არსებული ზეპირი ან წერილობითი ტექსტის

⁴ ოტო კადეს სქემა - აღნიშნული სქემა ვიზუალურად წარმოგვიდგინა თანამედროვე მეცნიერმა, თარგმანმცოდნეობის თეორეტიკოსმა, პროფესორმა მარინე აროშიძემ სალექციო კურსში „შესავალი თარგმანმცოდნეობაში“.

სხვა ენაზე გარდაქმნაზე, რომლის წინაპირობა ორიგინალის შინაარსის, თვისებების ინვარიანტობისა და ავტორის ავთენტურობის შენარჩუნებაა“ (Лилова, 1985 :33).

ა. ლილოვა გამოყოფს თარგმანის ცნების ექვს ასპექტს:

1.სოცალური ბუნება და საზოგადოებრივი ფუნქციები;

2.თარგმანი ეროვნული კულტურების განვითარების ნაწილი და საშუალებაა;

3.თარგმნა სპეციფიკური ლინგვისტური მოვლენაა, რომლის დროსაც მიმდინარეობს ზეპირი ან წერილობითი ტექსტის ერთი ენიდან მეორე ენაზე ტრანსფორმაცია, ამავე დროს ესაა გარკვეული ინფორმაციის გადმოცემა ანუ ერთი ენის მხატვრული სახეების სისტემის გარდაქმნა მეორე ენის შესაბამის სისტემად და ამდენად, თარგმნის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი მისი ლინგვისტური ასპექტია;

4.თარგმანი, სახელდობრ, მხატვრული თარგმანი, შეუძლებელია გავიაზროთ ესთეტიკური და ლიტმცოდნეობითი კვლევის გარეშე;

5.ასახვის თეორიის პოზიციიდან თარგმანის კვლევა - სხვათაშორის, ა. ლილოვა აღნიშნულ მომენტში ეთანხმება ქართველ თეორეტიკოსს გ. გაჩეჩილაძეს, რომელიც მთარგმნელის ასახვ ობიექტად დედანში გადმოცემულ მხატვრულ სინამდვილეს მიიჩნევს და არა ობიექტურად არსებულ სინამდვილეს;

6.თარგმანის ფსიქოლოგია - აქ მოცემული დეფინაციის თანახმად, თარგმნა „რთული, არამარტო რეპროდუქციული, არამედ პროდუქციული შემოქმედებითი პროცესია, სადაც მონაწილეობს ადამიანის ყველა სულიერი ძალა: ინტელექტი, ინტუიცია, ემოციები, წარმოსახვა, ნებისყოფა, მეხსიერება და ა.შ.“ (Лилова, 1985 :28).

ამრიგად, ლინგვისტური თეორიის საკვლევ საგნად ითვლება ზოგადად თარგმანი, შესაბამისად, როგორც „საწყისი (წყარო) ტექსტი“, ასევე „საბოლოო (სამიზნე) ტექსტიც“ და „თარგმნის პროცესიც“.

წყარო ტექსტისა და სამიზნე ტექსტის შეპირისპირებისას, როცა ვლაპარაკობთ მათ ეკვივალენტურობაზე, არ ვგულისხმობთ მხოლოდ ფორმალურ იგივეობას; ორი ტექსტი იდენტურად ითვლება მაშინ, თუ მათ აქვთ იდენტური შინაარსი, რომელიც დაკავშირებულია ერთ რომელიმე სიტუაციასთან; სიტუაცია კი თავის მხრივ, შეიძლება იყოს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური.

თარგმანის ლინგვისტური თეორიის გაგებით, კომუნიკაციის მიზანი არის ის ზეამოცანა, რომელიც მოიცავს თარგმანში დედნის სტილის რეპროდუქცირებას, რაც, თავის მხრივ, დედნისა და თარგმანის ეკვივალენტობის საფუძველია.

§3.2 თარგმანი როგორც საქმიანობა

თარგმანის, როგორც საქმიანობის საწყისების პოვნა, ალბათ, ზედმეტად რთული იქნება, თუმცა, აღნიშნული საკითხის ირგვლივ გარკვეულ წარმოდგენას მისი ისტორიის მოკლე მიმოხილვა გვიქმნის (მოძიებული მასალა ეყრდნობა სალექციო კურსს „თარგმანის ისტორია“, ავტ. ასოც. პროფ. ასმათ არძენაძე);

თარგმანის ისტორიის ზოგიერთი კერძო ასპექტი გამოკვლეულია ცალკეულ სტატიებში თუ შრომებში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანის ისტორიაში კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი, რადგანაც არ არსებობს ერთიანი სახელმძღვანელო რომელიმე ერთი კონკრეტული ქვეყნისა და რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი მსოფლიოს თარგმანის ისტორიის სახელმძღვანელოზეც.

ამ თვალსაზრისით საქართველოს მდიდარი ტრადიცია გააჩნია. თარგმნილი ლიტერატურა ქართული მწერლობის ისტორიის სათავეებთან დგას. XIX საუკუნეში ქართული მთარგმნელობითი ტრადიციების განვითარების მწვერვალად შექსპირის ტრაგედიების მაჩაბლისეული თარგმანი მოგვევლინა. თარგმანის პროცესში ფრიად მნიშვნელოვანი შემდეგი მომენტია: ერთია თარგმანის პრაქტიკული ასპექტი, ხოლო მეორე - მისი მეცნიერული შესწავლა, რაც თარგმანის თანამედროვე მიმართულებებთან დამოკიდებულებას ავლენს, მაგრამ შედეგით ისევ თარგმანის ხარისხზე აისახება.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას (IV ს.) ბიბლიური წიგნების - ძველი და ახალი აღთქმის - ქართულ ენაზე თარგმნა მოჰყვა, რამაც ხალხის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა.

ამ პერიოდში მთარგმნელობითი საქმიანობა ეკლესია-მონასტრებში, ძირითადად, ბერ-მონაზვნების წრეში მიმდინარეობდა. რელიგიური თავმდაბლობის

პრინციპების თანახმად, ისინი ანონიმურად იღვწოდნენ და ამიტომაც პირველ მთარგმნელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

ქართული თარგმანების ფილოლოგიურ-შედარებითი ანალიზის თანახმად, უძველესი ქართული თარგმანები შეიძლება დავახასიათოთ როგორც თავისუფალი (აზრობრივი) თარგმანები, ხოლო გვიანდელი ხანისა - სიტყვასიტყვითი.

თუკი ქართველები სასულიერო წიგნებს, ძირითადად ბერძნულიდან და არამეულიდან თარგმნიდნენ, საერო ლიტერატურაში უწინარესად სპარსულიდან ნათარგმნი საგმირო-სარაინდო პოემები დომინირებდა და თუ სასულიერო ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში ადეკვატურად ითარგმნებოდა, საერო პოეზიის გადმოქართულებისას მეტწილად, ე.წ. „თავისუფალი თარგმანის“ ხერხს იყენებდნენ. აღსანიშნავია ქართულ ენაზე შემოთავაზებული ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, „ქილილა და დამანა“ და განსაკუთრებით კი „ვისრამიანი“, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა შემდეგი ხანის ორიგინალური ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

XIX საუკუნიდან რუსეთთან პოლიტიკურად ინტეგრირებული ქართული საზოგადოება ნელ-ნელა დასავლური ლიტერატურით ინტერესდება, რის საფუძველზე თარგმანების შესრულებაც კი იწყება. აღსანიშნავია ქართულად თარგმნილი უილიამ შექსპირის შემოქმედება.

შექსპირის პიესებს ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში თარგმნიდნენ, ქართული თეატრის ინტერესების შესაბამისად. თუმცა, ამ პერიოდის თარგმანები დედნიდან არ შესრულებულა და თითქმის ყველა მათგანი დაბალი ლიტერატურული ღირებულებისა გახლდათ. 1877 წელს გამოიცა პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი - შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი, რომელიც ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ - ილია ჭავჭავაძემ ივანე მაჩაბელთან ერთად შეასრულა.

მოგვიანებით, XIX საუკუნის 90-იან წლებში ივანე მაჩაბელმა მარტო განაგრძო შექსპირის პიესების თარგმნა და შთამომავლობას შვიდი პიესის თარგმანი დაუტოვა, ესენია: „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“, „იულიუს კეისარი“, „ანტონიოსი და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“. მან შექსპირის ათმარცვლიან სტრიქონებს ქართული თოთხმეტმარცვლიანი ტაეპი ჩაუნაცვლა, ვინაიდან ინგლისური ენა მონოსილაბურია (ერთმარცვლიანი), სტრიქონი მეტ ინფორმაციას

იტევს, ვიდრე ეს ქართულ ენას შეუძლია. მაჩაბელმა ამის გასანეიტრალებლად ქართულ გამოთქმათა ლაკონიზმი მოიშველია და პრობლემა ამგავარდ გადაწყვიტა. ქართველმა მთარგმნელმა მოახერხა შექსპირისეული დიალოგისთვის დამახასიათებელი დინამიკურობა შეენარჩუნებინა; ინგლისელი ავტორისთვის დამახასიათებელი სიტყვების თამაშსა და ფრაზის ორაზროვნებას მოხდენილი შესატყვისები უპოვნა. ამასთანავე, ივანე მაჩაბელმა შეძლო, რომ ქართულ თარგმანში სინტაქსი უაღრესად ქართული და ბუნებრივი, ხოლო მეტყველება ქართული სალიტერატურო და ხალხური მეტყველების მოხდენილი ნაზავი ყოფილიყო.

1977 წელს საქართველოში დაარსდა „მთარგმნელთა კოლეგია“, რომელიც დოტაციური ორგანიზაცია იყო, სახელმწიფოსგან საკმაოდ დიდ დაფინანსებას იღებდა და მაშასადამე, გარკვეულწილად, სახელმწიფო კონიუნქტურას ემორჩილებოდა, რაც ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ცნობილი და ღირებული ნაწარმოებების მხარდამხარ, მათთვის საბჭოთა ლიტერატურის შედარებით დაბალი ხარისხის ნაწარმოების თარგმნაც სავალდებულო იყო.

„მთარგმნელობითი კოლეგიის“ მთარგმნელობითი სტრატეგია საკმაოდ საინტერესო იყო; ისინი სათარგმნი ლიტერატურის სიას ადგენდნენ, შემდეგ კი ე.წ. „ფილოლოგიურ თარგმანზე“ დაყრდნობით ბზკარედულ თარგმანს ამზადებდნენ. შეიქმნა ე.წ. „ბზკარედის ბიბლიოთეკა“, სადაც ნაკლებგავრცელებულ ენებზე დაწერილი ნაწარმოებების უფრო გავრცელებულ ენებზე შექმნილი „ბზკარედული“ თარგმანები ინახებოდა.

საკმაოდ საინტერესო და დღევანდელისგან განსხვავებული იყო მთარგმნელთა შერჩევის პრინციპებიც - ორიგინალის ენის ცოდნაზე მეტად ყურადღება მთარგმნელის ლიტერატურულ შესაძლებლობებსა და მშობლიური ენის გამომსახველობითი ხერხების სრულყოფილ ფლობას ექცეოდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, თავისუფალი თარგმანის პრინციპის დომინირების ბაზას ჰქმნიდა (კოპალიანი ანა, ბენიძე სალომე).

მიუხედავად იმისა, რომ XVII საუკუნეში საფრანგეთის აკადემიის ინიციატივით დაიწყო თარგმანის მეცნიერული კვლევა, თარგმანის თეორიამ სიცოცხლე მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიძინა. თარგმანის თეორია თვისობრივად თარგმანის ლინგვისტიკაში გადაიზარდა, რადგან პირველი მხოლოდ

ლიტერატურათმცოდნეობის მონაპოვარს სჯერდებოდა იმ დროს, როდესაც მეორემ ანუ თარგმანის ლინგვისტიკამ, თავის წინაშე უაღრესად საინტერესო კვლევის პერსპექტივა დასახა, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციისა და ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებამ. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ეფუძნება ისეთი დისციპლინების შერწყმას როგორც გახლავთ: სტილისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა და სხვა. თარგმანის მეცნიერული შესწავლის არეალი გაფართოვდა, ტრადიციული თარგმანის თეორიის მიერ მოპოვებული ცოდნა თარგმანის ლინგვისტიკაში გაერთიანდა და თარგმანის ისტორიასთან ერთად შექმნა ისეთი ფილოლოგიური დარგი, როგორც გახლავთ ტრანსლატოლოგია ანუ თარგმანმცოდნეობა. ახლა კი დროა მოკლედ მიმოვიხილოთ თარგმანის უძველესი ისტორია სხვადასხვა ქვეყნისა თუ ცივილიზაციის მაგალითზე;

საუბარი უნდა დავიწყოთ ბაბილონის კულტურით, რომელიც შუმერთა კულტურული ტრადიციების გამგრძელებელი გახდა; თითქმის მეორე ათასწლეულის დასასრულამდე შუმერების ენა ემსახურებოდა კულტებს, სკოლას და მხოლოდ შემდგომში დაიჩრდილა აქადური ენით. ორი ენის მსგავსმა პარალელურმა არსებობამ განაპირობა და განავითარა მთარგმნელობითი ტრადიცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინის „ლექსიკონი“ გამოყენება პირობითია, მაგრამ გარდა ამისა, არსებობდა შუმერულ-აქადური, აქადურ-ხეთური, შუმერულ-აქადურ-ხეთური ლექსიკონები.

აქადური ლიტერატურის ჩამოყალიბება, ძირითადად, მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგი იყო. დღემდე შემორჩენილია შუმერული ენიდან აქადურ ენაზე შესრულებული თარგმანები. ასევე შემორჩენილია თარგმანის რამდენიმე ვარიანტიც, რომელიც შუმერულ პირველწყაროებს უკავშირდება, მაგალითად, „პოემა ეთანზე“ სამ ვარიანტად შემორჩა, ესენია: ძველი ბაბილონური ვარიანტი, შუა ასირიული ვარიანტი და ახალი ასირიული ვარიანტი.

თარგმანის როლის, როგორც ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებლის დამადასტურებელი, ასევე, გახლავთ ასირიული მოთხრობა „ახიკარის დარიგება“, რომელიც ჩვ.წ. VII-VI საუკუნეებს ეკუთვნის. ეს დიდაქტიკური ნაწარმოები შესრულებული იყო არამეულ ენაზე და ძალიან ბევრ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ძველ ბერძნულზე და ძველ რუსულზეც.

მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა ასტროლოგი ბეროსიკ, მეფე მარდუკის ქურუმი ბაბილონში, რომელმაც ჩვ.წ. III საუკუნის დასაწყისში დაწერა წიგნი „ბაბილონური სიძველეები“.

იმის შემდეგ, რაც აქადური ენა გავრცელდა დიდ ტერიტორიებზე, მესოპოტამიიდან - ეგვიპტემდე, დაიწყო მთარგმნელობითი საქმიანობის დაცემა, განსაკუთრებით - ლიტერატურისა. მისი შემდგომი აყვავების ხანა ჩვ.წ. VIII საუკუნის დასაწყისს უკავშირდება, როდესაც ასირიული ენა ჩრდილავს აქადურს.

უძველესი ცივილიზაციებისგან, ასევე უნდა გამოვყოთ ძველი ირანული ცივილიზაცია. ძველი ირანის მთარგმნელობითი საქმიანობის შეფასება ძალიან ძნელია, რადგან აქ საქმე გვაქვს ირანულ, თუმცა ახლონათესავურ და განსხვავებულ ენებთან. სწორედ ამიტომ, ძირითადად საქმე გვაქვს სპარსულიდან ან სპარსულ ენაზე შესრულებულ თარგმანებთან.

სპარსეთის მეფეთა მფლობელობის ქვეშ აღმოჩნდა უზარმაზარი ტერიტორია ეგვიპტიდან ჩრდ. დას. ინდოეთამდე. მრავალენოვანი მოსახლეობის პირობებში მოსალოდნელი იყო მთარგმნელობითი საქმიანობის ფართო განვითარებაც, მაგრამ ეს არ მომხდარა. ყველაფერთან ერთად, მთარგმნელობითი საქმიანობის დაბალი განვითარების მიზეზი იყო ირანული ლიტერატურის სუსტი განვითარება. ფაქტიურად, ერთადერთ ძეგლს წარმოადგენს „ავესტა-წმინდა წიგნთა კრებული“; ამასთან, სპარსელები თავიანთ რელიგიას (ზოროასტრიზმს) არ ახვევდნენ თავს დაპყრობილ ხალხს და ამიტომაც წმინდა წიგნები ადგილობრივ ენებზე არ ითარგმნებოდა.

რაც შეეხება ბერძნული ცივილიზაციის თარგმანებს - ბერძნული ლიტერატურული თარგმანების პირველი ცნობები ეგვიპტესთანაა დაკავშირებული. პტოლემეუსის დინასტიის მმართველობის პერიოდში ეგვიპტე ბერძნული კულტურის უფრო და უფრო დიდ ცენტრად იქცა. პტოლემეუს II ფილადელფოსის მეფობის დროს (ჩვ.წ. 285-243 წწ.) ითარგმნა ბიბლია ბერძნულ ენაზე. ეს იყო გრანდიოზული მთარგმნელობითი მოვლენა როგორც მოცულობით, ისე სირთულით, რომელსაც ძველ მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა მანამდეც არსებობდა. მცირე რაოდენობის თარგმანების განხილვისას დადგინდა, რომ ეგვიპტური

ლიტერატურული ტექსტები მეტწილად ადაპტაციას ან შინაარსის გადმოცემას წარმოადგენდა, მაგ. „ბერძნული ლეგენდა ეგვიპტელ ქალღმერთ ტეფნუტზე“, „ზღაპარი ნექტან-ბეზე“.

უძველეს დროში მთარგმნელები მონაწილეობას ღებულობდნენ საქმისწარმოებაშიც, თარგმნიდნენ ეგვიპტელების აზრებს, სიტყვებს მეფეებისათვის და მეფეთა ბრძანებებს ეგვიპტელებისათვის. ჩვენამდე მოღწეულია ეგვიპტური საქმიანი ქაღალდების რამოდენიმე ბერძნული სიტყვასიტყვითი თარგმანი;

ჩვ.წ. II საკუნის დასასრულს ბერძნულ ენაზე ითარგმნა „იესოს, ზირაქის ძის სიბრძნის წიგნი“ („სიბრძნე ზირაქისა“ - ძველი აღთქმა), რომელიც წარმოადგენდა ძველებრაელი მწიგნობრის იესო ბენ-ემაზარ ბენ-სირის სენტენციებისა და აფორიზმების კრებულს.

მეცნიერები დიდი ხანია მსჯელობენ იმ საკითხზე, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა ბერძნულმა კულტურამ რომაული კულტურის განვითარებაზე.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, რომაული კულტურა ბერძნულის გაგრძელებას წარმოადგენს; სხვები საპირისპირო აზრს იზიარებენ და საუბრობენ რა რომაელების მიერ, ისიც მხოლოდ ადრეულ ეტაპზე, ბერძნული კულტურის ზოგიერთი ელემენტის ფორმალური ათვისების შესახებ. უნდა ვაღიაროთ, რომ ბერძნულმა კულტურამ შესამჩნევი ზეგავლენა მოახდინა რომაული კულტურის მნიშვნელოვანი სფეროების ჩამოყალიბებაზე, მაგალითად, ლიტერატურაზე, თუმცა რომაული კულტურა თვითმყოფადობით ხასიათდებოდა.

პირველ მთარგმნელად და ამავე დროს რომაული ლიტერატურის ფუძემდებლად ითვლებოდა ბერძენი ლივიუს ანდრონიკუსი. ის ჯერ მონა იყო, შემდეგ სენატორ ლივიუსის სახლში ბავშვებს ლათინურ და ბერძნულ ენებს ასწავლიდა.

ტრადიციის თანახმად მას პირველ რომაელ პოეტს უწოდებენ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ანდრონიკუსამდე ლათინური სიტყვიერება საერთოდ არ არსებობდა, პირიქით, არსებობდა და ვითარდებოდა კიდევ, მაგრამ მხოლოდ ზეპირი ფორმით. აღსანიშნავია ჰომეროსის „ოდისეას“ თარგმანი ლათინურ ენაზე.

რომაელების მიერ ბერძნული ენის ცოდნა და მისი გავრცელების დონე უშუალო ზეგავლენას ახდენდა მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებაზე.

რომის „გრამატიკულ“ ე.ი. საშუალო სკოლებში არამარტო ბერძნულ ენას, არამედ ამ ენიდან თარგმანსაც ასწავლიდნენ.

რომაული ლიტერატურის განვითარების ადრეულ ეტაპებზე თარგმანების ძირითადი რიცხვი დრამატურგიაზე მოდიოდა, თუმცა, მოგვიანებით გაიზარდა საკითხავი წიგნების, ძირითადად კი რომანების რიცხვი.

თარგმანის წყალობით ლიტერატურის ახალი ჟანრები ყალიბდებოდა: პოეტურ შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება ალექსანდრიულ პოეზიას ექცეოდა, რომელიც ექსპერიმენტული ხასიათით გამოირჩეოდა. ვარონ ატაციუსმა ჩვ.წ. 82წ. თარგმნა აპოლონ როდოსელის პოემა „არგონავტები“, რომელიც ჩვ.წ. III საუკუნეში შეიქმნა.

ციცერონი რომის პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. თავის ნაწარმოებებში ციცერონი თარგმანის თეორიულ პრობლემებს ეხებოდა. ცნობილია, რომ მან თარგმნა პლატონის „პროთაგორა“. ციცერონს მიაჩნდა რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი მთარგმნელის ენობრივი სიღარიბისა და უსუსურობის ნიშანია.

დასასრულს, აუცილებლად უნდა შევეხოთ მთარგმნელობით საქმიანობას ინგლისში.

ჩვ.წ. V საუკუნემდე ბრიტანეთის მოსახლეობას კელტები წარმოადგენდნენ. V საუკუნიდან იწყება გერმანელი ტყვეების მიგრაცია ბრიტანეთში (ანგლები, საქსები და იუტები), რომლებმაც მნიშვნელოვნად დაჩრდილეს კელტები.

როცა ინგლისში მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისზე ვსაუბრობთ, ვიხსენებთ ბერი კედმონის (VII ს.) სახელს, რომელმაც ძველ ინგლისურ ენაზე ლექსის სტილში გადმოაკეთა წმინდათა მწერლობის ზოგიერთი სიუჟეტი. ცოტა მოგვიანებით ჩნდება იმ ეპოქის გამოჩენილი ავტორი ბედა, რომელმაც ლათინურ ენაზე დაწერა „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“ და რამდენიმე ეგზოთერიული თხზულება, შეეცადა გადაეთაგმნა „იოანეს სახარება“, მაგრამ სიკვდილის გამო ვერ მოასწრო მისი დასრულება.

ძველი ინგლისური თარგმანის პერიოდის ნამდვილი აყვავება ეკუთვნის IX ს. ბოლოს და უკავშირდება მეფე ალფრედ დიდის მოღვაწეობას. მისი გამეფების მომენტისთვის ქვეყანაში არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა იყო. ალფრედის

სიტყვებიდან გამომდინარე მისი მმართველობის დასაწყისისთვის რთული იყო ისეთი კაცის ნახვა, რომელსაც შეეძლო გადაეთარგმნა თუნდაც წერილი ლათინური ენიდან ინგლისურ ენაზე. მეორე მხრივ, მეფე კარგად ხვდებოდა, რომ ცოდნა ყველაზე კარგად ვრცელდება ქვეყანაში მაშინ, როცა ის გადმოცემულია ადგილობრივი ხალხის ენაზე. აქედან წარმოიშვა მთარგმნელობითი მოღვაწეობის პროგრამა - „გადავცეთ ენაზე, რომელიც ჩვენ ყველას გვესმის, რამოდენიმე წიგნი, რომელიც აუცილებელია ყველა ადამიანისთვის“.

ამ დავალების შესასრულებლად ალფრედმა თავის გარშემო სწავლულთა წრე შეკრიბა, რომლის წევრებიც გახდნენ უელსის ეპისკოპოსი ასერი - მეფის მომავალი მემკვიდრე, ეპისკოპოსი ვურსტერსკი ვერფუტი, რომელიც შემდგომში გახდა კენტერბერის არქიეპისკოპოსი, პლეგმუნდი და სხვა ბევრი.

ალფრედის, როგორც გრანდიოზული სამუშაოს სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის როლი უდავოა. მის დროს გადათარგმნილი იქნა შემდეგი ნაწარმოებები:

1. „ინგლისელ ხალხთა საეკლესიო ისტორია“, რომელსაც მოიხსენიებდა ბედა. აქ თავისუფლება ორიგინალისადმი უკვე ადგილს უთმობს შინაარსის გადმოცემის სიზუსტეს, რომელიც თითქმის ბუკვალიზმამდე მოდიოდა;

2. ბოეციუსი „ფილოსოფიური ნაშრომი“ - ბოეციუსი წიგნი შუა საუკუნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ხოლო მის ავტორში ხედავდნენ ქრისტიანს, რწმენისთვის წამებულს. ტექსტის სირთულის გამო, ალფრედმა, როგორც წყაროები გვაუწყებს, სთხოვა ერთ-ერთ თავის თანამოაზრე ეპისკოპოს ასერას რომ აეხსნა ორიგინალი ტექსტი, რის შემდეგაც ალფრედმა ის ინგლისურად გადმოგვცა; მიმართვა დედანთან საკმაოდ თავისუფალია: იცვლება მისი სტრუქტურა, გამოტოვებულია ბევრი ადგილი, შეძლებისდაგვარად გაძლიერებულია ქრისტიანული კოლორიტი. ზოგიერთი მინიშნება და ალუზია, რომლებიც უცნობი იყო ალფრედის თანამემამულეთათვის შეცვლილია მათთვის გასაგები მაგალითებით;

3. პაპის გრიგოლ I დიდის „მოვალეობები“ - ეს თარგმანი მკაცრად და გულდასმით მისდევს ორიგინალს, ვიდრე დანარჩენები, თუმცა მასში ხშირად გვხვდება პარაფრაზი და თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხსენებული

ნაშრომის არჩევანი, რომელიც თითქმის სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენს სასულიერო პირთათვის, აშკარაა აიხსნებოდა არა მარტო თავისი მნიშვნელობით შუა საუკუნეების კულტურაში, არამედ თვით ავტორის როლით ინგლისის გაქრისტიანების საქმეში.

გარდა ზემოთ დასახელებული ნაშრომებისა, ალფრედ დიდმა ხელი შეუწყო სხვა მრავალი ნაშრომის თარგმნის პროცესსაც.

მეთოდებზე, რომელსაც მისდევდნენ ალფრედი და მისი თანამოაზრეები ლათინური ორიგინალის გადმოცემისას, საუბარია მათ მერ დატოვებულ წინასიტყვაობაში. ასე მაგალითად: „პასტორის დანიშნულების“ წინასიტყვაობაში გადმოცემულია რომ ინგლისური ვერსია გადმოგვცემს დედანს სიტყვასიტყვით, ზოგჯერ კი აზრის შესაბამისად; ხოლო ნაშრომის „ფილოსოფიის ისტორია“ - წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ მეფე ალფრედი, როგორც ნაწარმოების მთარგმნელი, თარგმნიდა ზოგან სიტყვასიტყვით, ზოგან კი აზრობრივად, იმ სიზუსტით, რა სიზუსტითაც შეეძლო.

საბოლოოდ, შეიძლება დარწმუნებით ვისაუბროთ იმაზე, რომ მთარგმნელობით საქმიანობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და მისი საწყისები ჯერ კიდევ უძველეს დროს უკავშირდება; ამ ყველაფრის ნიადაგზე, ახლა უკვე ეჭვგარეშეა, თუ რატომ გახდა აუცილებელი თარგმანის, როგორც თეორიული მეცნიერების შესწავლა; მას ხომ საფუძვლად მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკული გამოცდილება უდევს.

§3.3 თარგმანი როგორც ენობრივ-კულტურული მედიატორი

ერთხელ ლ. ვიტგენშტეინმა თქვა: „ჩემი ენის საზღვრები წარმოადგენს ჩემი სამყაროს საზღვრებს“ (Wittgenstein, 1958, :53); თითქმის მსგავს იდეას იზიარებს ვ.ჰუმბოლდტიც, რომელიც ამბობდა, რომ ენა ზეგავლენას ახდენს აზროვნებაზე. ენა წარმოადგენს კულტურის ცენტრს; იმას, რასაც ხალხი ენის საშუალებით გადმოსცემს - თხრობა, პოეზია, სიმღერა, სპექტაკლი - მიიჩნევენ კულტურის გამოხატულებად;

რა არის კულტურა?

კულტურა თავის თავში მოიაზრებს ისეთ რამეებს, როგორიცაა: ღირებულებები, ტრადიციები, ქცევა, იმედი, საკვები და ხელოვნება;

3. ნიუმარკი განსაზღვრავს რომ: „კულტურა წარმოადგენს ცხოვრების სტილს და მისი მანიფესტაცია უნიკალურია იმ კონკრეტული საზოგადოებისთვის, რომელშიც კონკრეტული ენა გამოიყენება; შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერ ენათა ჯგუფს გააჩნია კულტურულად გამოყოფილი მახასიათებლები“; ნიუმარკი საერთოდ არ მიიჩნევს ენას კულტურის ელემენტად ან მახასიათებლად;

კულტურის კონცეპტისა და იდეის განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ თუ საქმე ეხება აღნიშნული კონცეპტის გამოხატულებას თარგმანში; სხვა მეცნიერებისგან განსხვავებით ი.ნაიდა კულტურულ და ლინგვისტურ განსხვავებს წყარო და სამიზნე ენებს უკავშირებს (Nida E., 1964 :126-140); მისივე აზრით, კულტურათმორისმა განსხვავებებმა შესაძლოა თარგმანში სირთულეები გამოიწვიოს; სხვათაშორის, კულტურული განსხვავებები თარგმანში ძალიან მნიშვნელოვან როლს იკავებს, ისევე როგორც ლექსიკური მნიშვნელობები და სხვა ფორმალური მხარეები.

ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ენა მდებარეობს „კულტურის გულში“; ენა და კულტურა ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია; თარგმანის შესრულებისას მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს სამიზნე აუდიტორიის მკითხველებზე ლექსიკური ასპექტების ზეგავლენა, ისევე როგორც ის, თუ როგორ გახადოს კულტურული ასპექტები სამიზნე აუდიტორიისთვის მისაღები;

წყარო ენის სიტყვებს ზოგჯერ არ შეუძლიათ ისეთი კულტურული კონცეპტების გამოხატვა, რომელიც მიმღები ენისათვის სრულიად უცხოა; კონცეპტი კი თავის მხრივ შეიძლება იყოს კონკრეტულიც და აბსტრაქტულიც.

ჩვენ ვაანალიზებთ იმას, რომ კულტურას გააჩნია ძალიან ფართო სპექტრი; ენაც თავის მხრივ კულტურული კომპონენტია და კულტურის ნაწილია.

რა კავშირი აქვს თარგმანს და კულტურას ერთმანეთთან?

პირველი მოსაზრება წარმოდგენილია კ. კეტფორდის მიერ; ის მიიჩნევს, რომ თარგმანი არის ერთ ენაზე შექმნილი ტექსტური შეტყობინების მეორე ენაზე გადატანა ექვივალენტური ტექსტის შექმნის გზით (Catford, 1965 :20). აღნიშნულ განმარტებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება „ექვივალენტურ ტექსტურ შეტყობინებას“.

ნაიდასა და თებერის (Nida & Taber., 1969 :12-33) აზრით, მთარგმნელობითი პროცესი გულისხმობს წყარო ენაზე შექმნილი ტექსტის ყველაზე ბუნებრივი, ექვივალენტური ტექსტის რეპროდუქციას მიმღებ ენაზე, როგორც მნიშვნელობის, ისე სტილის შენარჩუნებით. თარგმანი, რომელიც გულისხმობს ერთი სოციალური ჯგუფის მიერ ერთ ენაზე გამოხატული აზრების გადატანის პროცესს მეორე ჯგუფის შესაბამის გამოხატულებაში, მოიცავს კულტურული დეკოდირების, ხელახალი კოდირებისა და დაშიფვრის პროცესს. იმდენად, რამდენადაც კულტურები სულ უფრო და უფრო მეტ კონტაქტშია ერთმანეთთან, სწორედ ტექსტის კულტურული ასპექტი არის გასათვალისწინებელი.

თარგმანთან დაკავშირებით, კულტურა ვლინდება ორი გზით. ჯერ ერთი, ლექსიკური ერთეულების კონცეფცია (კონცეპტი) შესაძლოა სპეციფიკური იყოს მოცემული კულტურისთვის; მეორეც, კონცეპტი რეალურად ზოგადია, მაგრამ გამოხატულია წყარო ენის კულტურისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გზით, თუმცა, პრაქტიკაში ვარაუდობენ, რომ თარგმნისას მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს კულტურულად შეკრული სიტყვებისა თუ გამონათქვამების თარგმანის მიზანი. ასევე, გასათვალისწინებელია თარგმანის შესასრულებლად განხორციელებული პროცესები;

სხვადასხვა მეცნიერი, კულტურული ელემენტების თარგმნისათვის სხვადასხვა მთარგმნელობით პროცესს გამოჰყოფს; მონა ბეიკერის (1998) თეორიაში კულტურასთან დაკავშირებული ელემენტების თარგმნისთვის შესაძლოა გამოვეყნოთ შვიდი სახის ელემენტი;

1. უფრო ზოგადი სიტყვა (სუბორდინაცია);
2. უფრო ბუნებრივი / ნაკლებად ექსპრესიული სიტყვა;
3. კულტურული სუბსტიტუცია;
4. ნასესხები სიტყვების გამოყენება განმარტებასთან ერთად ან მის გარეშე;
5. პარაფრაზირება;
6. გამოტოვება;
7. ილუსტრაცია;

ყოველი ენა მოიცავს უამრავ ლინგვისტურ საკითხს, რომელიც ხშირად თეორეტიკოსი ან პრაქტიკოსი მთარგმნელისთვის განხილვის საგანი ხდება; სწორედ

აღნიშნული განაპირობებს ამ ტერმინის სინონიმების სიმრავლეს: „კულტურული სიტყვები“, „კულტურისთვის დამახასიათებელი კონცეპტები“, „რეალია“, „კულტურასთან-ბმული ფენომენი ან ტერმინები ან კულტურისთვის დამახასიათებელი ერთეულები“, „კულტურემა“ და სხვა.

„კულტურისთვის დამახასიათებელი ტერმინები“ განისაზღვრება როგორც ტექსტის ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უცხოური კულტურის გარკვეულ ცნებებთან (მაგ: ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა), რომლებიც შესაძლოა უცხო აღმოჩნდეს მიმღები კულტურის მკითხველისთვის. მ. ბეიკერი კულტურისთვის დამახასიათებელი ტერმინების გამოყოფის მიზნით, ყურადღებას ამახვილებს მის სამ მახასიათებელზე: 1. კონცეპტი, რომელსაც კულტურისათვის დამახასიათებელი ტერმინები წარმოადგენს სრულიად უცხოა სამიზნე კულტურისათვის; 2. გამოთქმას არ გააჩნია ჭეშმარიტი ეკვივალენტი სამიზნე ენაში; 3. ცნება გამოხატავს კონკრეტულ ფაქტს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურასთან, ჩვევებთან, ენასთან ან გარემოსთან (Baker, 1992 :10-44).

3. ნიუმარკი კულტურული სიტყვების კლასიფიკაციისთვის გამოყოფს 5 სფეროს: 1. ეკოლოგია; 2. მატერიალური კულტურა; 3. სოციალური კულტურა; 4. ორგანიზაციები, აქტივობები, პროცედურები, კონცეპტები; 5. ჟესტი და ჩვევები (Newmark, 1988 :94-103).

ფერნანდეს გუერერა კულტურისათვის დამახასიათებელ ტერმინებს აერთიანებს 4 ძირითად სფეროში: 1. გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ტერმინები; 2. სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც წარმოადგენენ ფოლკლორს, ტრადიციებს და მითოლოგიას; 3. ყოველდღიური ნივთების დასახელებები, მოქმედებები და მოვლენები (როგორცაა საკვები და დასალევი, ტანსაცმელი, ხელსაწყოები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ცეკვა და თამაშები, საზომი ერთეულები, ფული და სხვა); 4. სოციალური და ისტორიული ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულებს ან დანაყოფებს, დეპარტამენტებს, პროფესიებს, რანკებს, მიღება-დახვედრებს და სხვ. (Ana Guerra, 2012 :2-3).

სხვადასხვა მეცნერის აზრით (Newmark 1988, Baker 1992, Pederson 2011, Guerra 2012 და სხვ.) კულტურული კონცეპტების თარგმნის, დაახლოებით, 17 სტრატეგია გამოიყოფა:

1. სესხება (ტრანსფერენცია): ტრანსლიტერაცია;
2. ნატურალიზაცია: წყარო ენის ადაპტაცია სამიზნე ენაზე პუნქტუაციისა და მორფოლოგიის საშუალებით;
3. კულტურული ეკვივალენტობა: სამიზნე ენის კულტურაში არსებული ტერმინი, რომელიც წყარო ენის კულტურული ტერმინის მსგავსი იქნება;
4. ფუნქციური ეკვივალენტობა: კულტურულად თავისუფალი სიტყვების გამოყენება;
5. აღწერილობითი ეკვივალენტობა: აღწერის გზით, წყარო ენაზე შექმნილი ძირითადი მნიშვნელობის გაფართოება;
6. სონონიმი: რომელიც უფრო შეესაბამება ლიტერატურულ თარგმანს;
7. თარგმნა კალკირებით ან სესხებით;
8. შეცვლა: მთარგმნელობითი პროცესის ცვლილება;
9. მოდულაცია: თარგმანი, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს მსოფლმხედველობისა და აზრის კატეგორიის შეცვლას;
10. აზრობრივი თარგმანი: ნებისმიერი ტერმინის ოფიციალური და ზოგადად მიღებული თარგმანის გამოყენება;
11. მთარგმნელობითი ეტიკეტი: ახალი ტერმინის დროებითი თარგმანი;
12. კომპენსაცია: გულისხმობს კონკრეტულ მომენტში მნიშვნელობის, ჟღერადობის დაკარგვა და სხვ.;
13. კომპონენტური ანალიზი: ლექსიკური ერთეულის გაფართოება ერთიდან ორ ან სამ თარგმანის ძირითად კომპონენტამდე;
14. რედუქცია და ექსპანსია: ფრაზის მნიშვნელობის დავიწროება/გაფართოება;
15. პარაფრაზი: მნიშვნელობის გაფართოება ტექსტის სემანტიკის გაძლიერების ან ახსნის გზით;
16. კუპლეტი: რაიმე კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან ორი სტრატეგიის გაერთიანება;
17. აღნიშვნა და დამატება: მოცემულ სტრატეგიებზე კულტურული, ტექნიკური ან ლინგვისტური ინფორმაციის დამატება;

წყარო ტექსტიდან სამიზნე ტექსტზე კულტურის გადატანა აშკარად გულისხმობს მოცემული ენისა და კულტურისთვის დამახასიათებელი სიტყვების, ფრაზების და გამონათქვამების შეცვლას სხვა ენისა და კულტურის შესაფერისი სიტყვებით, გამონათქვამებითა და ფრაზებით.

კვლევის მოსაზრებათა ანალიზმა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა: კულტურისათვის დამახასიათებელი კონცეპტების თარგმნისას თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მთარგმნელები დიდ ძალისხმევას სწევენ. მათ ლინგვისტური მასალის წყარო ენიდან სამიზნე ენაზე გადათარგმნისას, სხვა დანარჩენთან ერთად, ყურადღება უნდა მიაქციონ ასევე კულტურასაც; ნებისმიერ შემთხვევაში, მათ უწევთ გადაწყვეტილების მიღება თუ როგორ გადათარგმნონ კულტურისათვის დამახასიათებელი ტერმინები სამიზნე ტექსტის შექმნისას; მხოლოდ ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეუძლიათ შეარჩიონ შესაბამისი მთარგმნელობით სტრატეგია (ახსნა-განმარტება, გამოტოვება, ჩანაცვლება და სხვ.).

§3.4 მთარგმნელობითი საქმიანობის თანამედროვე გამოწვევები

გლობალიზაციამ, ახალ ტექნოლოგიებთან ერთად, შეცვალა ხალხთა ყოველდღიური კომუნიკაცია და ამ პროცესების ფონზე, თარგმანი აღარ წარმოადგენს კულტურათშორისი კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებას.

გლობალიზაციის ფინანსურმა, სოციალურმა, კულტურულმა და ტექნოლოგიურმა შედეგებმა გავლენა მოახდინა პროფესიული თარგმანის ამჟამინდელ პანორამაზე. მანქანური თარგმანის კვლევამ და მათი უფრო მძლავრი და მოსახერხებელი ინსტრუმენტების შემუშავებამ, ხელი შეუწყო თარგმანის პროცესის გამარტივებას და ოპტიმიზაციას მსოფლიოში, რომელსაც მართავს კომუნიკაციების სიჩქარე, მწირი ვადები და ბაზრის სწრაფი ზრდა.

მანქანური თარგმანის აპლიკაციები ფართოდ იქნა შესწავლილი რამდენიმე მეცნიერის მიერ (Austermuhl F. 2001, Nogueira D. 2002, Somers H. 2003, Melby A.K. 2006, Wallis J. 2006); საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ მთარგმნელობითი მეხსიერების ან ლოკალიზაციის ხელსაწყოებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ

მთარგმნელებს, თუმცა, აღნიშნული პროგრამები მთარგმნელების ჩანაცვლების მიზნით ნამდვილად არ არის შექმნილი. მანქანური თარგმანის ინსტრუმენტების მთავარი ფუნქცია გახლავთ მთარგმნელთა მუშაობის გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია, თანმიმდევრობის უზრუნველყოფისა და დავალების შესასრულებლად საჭირო დროის შემცირებით, წინა თარგმანების გადამუშავების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ტექსტის საბოლოო ხარისხი მაინც დამოკიდებული იქნება ენის ცოდნაზე, პროფესიონალთა მთარგმნელობით უნარებსა და სტრატეგიებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მანქანური მთარგმნელობითი საშუალებები ნებისმიერ სფეროში ერთანირად ეფექტური და მომგებიანი ვერ იქნება, მაგ: ლიტერატურული (მხატვრული) თარგმანის დროს უფრო ნაკლებად გამოიყენება მანქანური თარგმანის საშუალებები, ვიდრე პროგრამული უზრუნველყოფის ან ვიდეო თამაშების თარგმანის დროს. ისინი, ასევე, გამოიყენება ისეთი ტექსტების თარგმნისას, სადაც ხშირია გამეორება და სრულ ტექსტში აუცილებელია რომ რომელიმე კონკრეტული ტერმინი ერთგვაროვნად ითარგმნოს (მაგ. ტექნიკური ტექსტები);

ვებ თარგმანის კონკრეტულ შემთხვევაში, მანქანური თარგმანის ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება განსაკუთრებით ეფექტური იყოს, თუ დავაკვირდებით ვებ-ის განსაკუთრებულ მახასიათებლებს. პირველი, რაც გასათვალისწინებელია, არის ნებისმიერი ვებსაიტის გამეორების მაღალი თანაფარდობა, რადგან არსებობს სტრუქტურული ელემენტების დიდი რაოდენობა, რომლებიც თანმიმდევრულად უნდა განმეორდეს საიტის შემადგენელ სხვადასხვა დოკუმენტსა და დონეზე: მენიუები, სლოგანები, სათაურები, ნავიგაცია; ელემენტები და სხვა ტექსტური და არავერბალური კომპონენტები წარმოდგენილი იქნება ქსელის სხვადასხვა ნაწილში.

ისეთი მულტიმედიური პროდუქტების მსგავსად, როგორცაა: ვიდეო თამაშები, მობილური ტელეფონის აპლიკაციების პროგრამული უზრუნველყოფა, ვებსაიტები - მთარგმნელებს სთხოვენ, გაითვალისწინონ რამდენიმე შეზღუდვა, მაგალითად, სივრცის შეზღუდვები, სემიოტიკური და არავერბალური ელემენტები (მაგ. ფერები) და კულტურული მითითებები.

გარდა ამისა, ვებსაიტი აჩენს უამრავ გამოწვევას, რომელთაც მთარგმნელები უნდა გაუმკლავდნენ, რათა შეინარჩუნონ ისეთი ძირითადი ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის ისეთ ურთიერთქმედებას, როგორცაა: გამოყენებადობა, ხელმისაწვდომობა და წაკითხვა. მართლაც, ვებსაიტების დისკურსის ტიპი უნდა შეესაბამებოდეს ინტერნეტის სპეციფიკურ მახასიათებლებს და ფუნქციებს, სწორედ ამიტომ არსებობს რეკომენდაციები, რომლებიც გვთავაზობენ მარტივი და გასაგები ენის, მოკლე წინადადებების გამოყენებას, „ერთი იდეა აბზაცზე“ შაბლონის დაცვას, აკრონიმების თავიდან აცილებას, სასაუბრო ენას, გამონათქვამებსა და იდიომატურ გამონათქვამებს (Nielson, 2000).

აღნიშნული ფუნქციები ვებ გვერდებს მანქანური თარგმანის ინსტრუმენტების გამოსაყენებლად შესაფერის სფეროდ აქცევს, რადგანაც ვებსაიტის ტექსტური სტრიქონების სეგმენტაცია შეიძლება ეფექტური გზით დამუშავდეს და მთარგმნელს შეუძლია ფოკუსირება მოახდინოს მხოლოდ ტერმინოლოგიასა და სიმარტივეზე და არა სტილისტურ კითხვებზე. თუმცა, ეს ჰიპოთეზა გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ვებსაიტებზე, რადგან ისეთი ონლაინ ფენომენები, როგორცაა ფანების გამოწერა, არ შეიძლება იყოს კლასიფიცირებული იმავე საფუძველზე. მართლაც, ფანების მიერ თარგმნილი ეკრანული წარმოდგენა უნდა გაანალიზდეს აუდიოვიზუალური თარგმანის მიდგომის ფარგლებში, სადაც სუბტიტრების ხარისხი და ვარგისიანობა იზომება სხვა ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორცაა: ეკვივალენტობა სამიზნე ენაში, დიალოგის ტექნიკა, მეტატექსტუალური ინფორმაცია ან სუბტიტრების სინქრონიზაცია კადრთან.

როგორც უკვე განვმარტეთ, მანქანური თარგმანი მთარგმნელებისა და ლინგვისტებისათვის დამხმარე კომპიუტერულ საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამა მთარგმნელობითი პროცესისათვის სხვადასხვა სახის მხარდაჭერით ფუნქციას ასრულებს. ის საშუალებას გვაძლევს დავარედაქტიროთ, შევქმნათ, „დავასაწყობოთ“ და ვმართოთ ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანები.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც მხედველობაში უნდა მივიღოთ არის ის, რომ მანქანური თარგმანის საშუალება დამოუკიდებლად ვერ თარგმნის.

ისევე როგორც სხვა კომპიუტერულ საშუალებას, SDL Trados-საც გააჩნია ტერმინოლოგიური ბაზა, დამხმარე ლექსიკონების მონაცემების გამოტანის ფუნქცია, რაც საშუალებას აძლევს მთარგმნელს გადაამოწმოს მანამდე შესრულებული რომელიმე კონკრეტული ტერმინის თარგმანი; ეს განსაკუთრებით საყურადღებოა მაშინ, თუ მთარგმნელი მუშაობს ვრცელ დოკუმენტზე და აუცილებელია, რომ მთლიან ტექსტში არსებული კონკრეტული ტერმინის თარგმანი ერთგვაროვანი იყოს (მაგ: სამედიცინო ან/და ტექნიკური ტექსტები...); ამ მიზნის მიღწევაში მანქანური თარგმანის საშუალებაში არსებული „მთარგმნელობითი მეხსიერება“ გვეხმარება.

SDL Trados-ის წყალობით მთარგმნელებს შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე დოკუმენტის გახსნა და მათზე მუშაობა; ამასთანავე, მათ არ უწევთ წყარო ტექსტის ფორმატის შენარჩუნებაზე ფიქრი, რადგანაც ამას პროგრამა თავად აკეთებს. SDL Trados-ი მთლიან ტექსტს ჰყოფს სეგმენტებად (ერთ ან რამდენიმე წინადადებად, აზნაცებად...), რის გამოც მთარგმნელობითი საქმიანობის შესრულება უფრო გამარტივებულია; თარგმანის დასრულების შემდეგ მთარგმნელს შეუძლია პროგრამაში არსებული შედეგი წყარო ტექსტის ფორმატით შეინახოს.

რაც შეეხება მთარგმნელობით მეხსიერებას:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელობითი მეხსიერება სხვაგვარ ფუნქციას ასრულებს; უპირველესყოვლისა, ის წყარო წინადადებებს თავიანთ თარგმანებთან ასაწყობებს. რას გულისხმობს ეს ყველაფერი? ის ძირითადად ინახავს იმ ფრაზებს, რომლის გადათარგმნაც აუცილებელია მთარგმნელის მიერ; როგორც კი მთარგმნელი გადათარგმნის მას, მთარგმნელობითი მეხსიერება შეინახავს თარგმანს. ეს გახლავთ აღნიშნული საშუალების ერთ-ერთი ფუნქციის ძირითადი პრინციპი. მთარგმნელობითი მეხსიერება იძლევა იმის საშუალებას, რომ მთარგმნელმა შეძლოს მანამდე შესრულებული თარგმანის იმდენჯერ გამოყენება, რამდენჯერაც ამის საჭიროება ექნება და ამით დაზოგოს დრო.

რას წარმოადგენს SDL Trados-ის მონაცემთა ბაზა?

ის ლექსიკონის მსგავსი საშუალებაა, რომლის უმაღლეს საფეხურზეც დგას დასაწყობებული ცალკეული სიტყვები და გამოთქმები; ამას გარდა, ტერმინთა ბაზაში არსებული კონკრეტული ტერმინი, სურვილის შემთხვევაში, მთარგმნელს შეუძლია მიუძღვნას კონკრეტულ კომპანიას, ორგანიზაციას და ა.შ. ტერმინთა ბაზა

წარმოადგენს საშუალებას, რომელიც მთარგმნელს უფრო ზუსტი და მაღალი ხარისხის მქონე თარგმანის შესრულებაში ეხმარება.

მანქანური თარგმანის ერთ-ერთი საშუალების, SDL Trados-ის მოკლე მიმოხილვა, შემდეგი სახის დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

აღნიშნული სისტემით შესრულებული თარგმანი, სისწრაფესთან ერთად, ხარისხითაც გამოირჩევა; ის გვაძლევს საშუალებას დავზოგოთ დრო მანამდე შესრულებული ტექსტის, ტერმინის, ფრაზის თარგმანის გამოყენებით, მთარგმნელობითი მეხსიერების დახმარებით; აქვე უნდა აღინიშნოს მანქანური თარგმანის საშუალებით შესრულებული თარგმანის პროდუქტიულობაც; ზოგჯერ ისიც აღმოჩნდება, რომ აღნიშნული საშუალებით გადათარგმნილი ტექსტისა და მანამდე შექმნილი მთარგმნელობითი მეხსიერების გამო, მთარგმნელს კონკრეტული შინაარსის მქონე ტექსტის 70-80% უკვე წინასწარ აქვს გადათარგმნილი; პროგრამა იმის საშუალებასაც იძლევა, რომ მთარგმნელმა იმუშაოს სახლიდან გაუსვლელად, თავისი კომპიუტერით იმ დამხმარე პროგრამის გამოყენებით, სადაც მას შესაძლებლობა ექნება, რომ დიდ პროექტზე მუშაობისას ადვილად მოახდინოს დაკავშირება სხვა მთარგმნელთან და გაუზიაროს სხვას კონკრეტული დეტალები; ერთი მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანის ტექსტი, შესაძლებელია გამოიყენოს სხვა მთარგმნელმა, იმავე პროგრამაში მუშაობის შემთხვევაში;

§3.5 ლინგვოკრიმინალისტიკის ნიმუშები სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში და მათი თარგმნის პროცესი

ვერბალური აგრესია და ლინგვისტური კრიმინალისტიკა, ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, რომელიც მოიცავს ენის ანალიზს და ინტერპრეტაციას ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც ის შეიძლება ზიანის ან კონფლიქტის გამომწვევი გახდეს. ვერბალური აგრესია გულისხმობს ენის გამოყენებას, ვინმეზე შეტევისათვის, დამცირებისა თუ დამუქრების მიზნით, რაც ხშირად ვლინდება შეურაცხყოფაში, მუქარაში ან სხვა სახის მტრულ კომუნიკაციაში. ასეთი აგრესია შეიძლება მნიშვნელოვანი სოციალური

და ფსიქოლოგიური გავლენის მომტანი აღმოჩნდეს, რაც მას კრიტიკული შესწავლის ობიექტად აქცევს როგორც კომუნიკაციის, ისე სამართლებრივ კონტექსტში.

ლინგვისტური კრიმინალისტიკა, თავის მხრივ, არის სასამართლო ლინგვისტიკის ქვესახე, რომელიც ლინგვისტურ ცოდნას იყენებს სამართლებრივი გამოძიებების პროცესში, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ენა კრიმინალური ქმედების მტკიცებულებაა ან ინსტრუმენტი. ეს მოიცავს მუქარის წერილების, სიძულვილის ენის, ცილისმწამებლური განცხადებების და სხვა სახის ვერბალური აგრესიის ანალიზს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს. ლინგვისტური კრიმინალისტიკა ცდილობს გამოავლინოს ასეთი ენის გამოყენების მიზანი, ავტორობა და შესაძლო გავლენა, რითაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან მტკიცებულებებს სამართლებრივ საქმეებში.

ამ ორი სფეროს ურთიერთკავშირი გამოიხატება იმაში, რომ ვერბალური აგრესია შეიძლება იყოს როგორც შესწავლის ობიექტი, ასევე მტკიცებულების ფორმა ლინგვისტური კრიმინალისტიკის სფეროში. მაგალითად, სასამართლო ლინგვისტმა შეიძლება გააანალიზოს მუქარის წერილში გამოყენებული ენა, რათა განსაზღვროს მისი სიმძიმე, გამოავლინოს ავტორი და შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა ეს დანაშაულებრივ ქმედებას. ანალოგიურად, ვერბალური აგრესიის ანალიზი საჯარო დისკურსში, მაგალითად, პოლიტიკურ გამოსვლებში ან ონლაინ კომუნიკაციაში, შეიძლება განხილული იყოს იმის დასადგენად, თუ რამდენად იწვევს ძალადობას ან სიძულვილს, რამაც შესაძლოა, თავის მხრივ, სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ვერბალური აგრესია წარმოადგენს როგორც საკვანძო ფენომენს, ასევე მტკიცებულების წყაროს ლინგვისტური კრიმინალისტიკის სფეროში, რაც აკავშირებს ლინგვისტურ ანალიზსა და სამართლებრივ სისტემას. ამ ურთიერთკავშირის გაგება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გავიგოთ, როგორ შეიძლება იყოს ენა გამოყენებული სხვებისათვის ზიანის მიყენების მიზნით და რა როლი აქვს ლინგვისტურ ექსპერტიზას სამართლის დაცვის პროცესში.

ტერმინი ლინგვოკრიმინალისტიკა რთული და მრავალსპექტიანია; იგი მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- აღნიშნავს ლინგვისტიკის დარგს, რომელიც შეისწავლის ტექსტს სამართალმცოდნეობის ინტერესების შესაბამისად;

- აღნიშნავს ლინგვისტიკის დარგს, რომელიც შეისწავლის სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზის ჩატარების წესებს;

- აღნიშნავს ლინგვისტიკის დარგს, რომელიც შეისწავლის კრიმინალური სუბკულტურის სოციოლინგვისტურ ასპექტებს (ჯაგოდნიშვილი & გაბელია, 2020 :9).

ლინგვისტოკრიმინალისტიკასთან, როგორც ტერმინთან, ახლოს დგას ტერმინი იურისლინგვისტიკა. ამ ტერმინით აღნიშნავენ ლინგვიკრიმინალისტიკის პირველ ორ ასპექტს, ე.ი. იურიდიული მიზნების შემცველ ტექსტის ლინგვისტიკას და სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზის ჩატარების სწავლების ენათმეცნიერების დარგს.

ფართო გაგებით, იურისლინგვისტიკა შეისწავლის ენისა და სამართლის ურთიერთმიმართებებს.

იურისლინგვისტიკა იკვლევს ენის კონფლიქტებში გამოყენების (ინვექტიურ, მანიპულაციურ, აგრესიულ, პოლიინტერპრეტაციულ) ასპექტებს. მის ინტერესებშია მოქცეული ასევე ენობრივი პოლიტიკის, სახელმწიფო ენის იურიდიულ-ლინგვისტური ასპექტების შესწავლა. სხვადასხვაგვარი სასამართლო ექსპერტიზის ერთიანი წესების დამუშავება; სამართალმცოდნეთა ლინგვისტიკური განათლება და სხვა (ჯაგოდნიშვილი & გაბელია, 2020 :10).

ლინგვიკრიმინალისტიკა, სამართალმცოდნეობის სფეროს ფუნქციური ენისა და სტილის გარდა, კრიმინალური სამყაროს სუბკულტურის ელემენტებსაც მოიცავს: არგოს, პირობით საიდუმლო ენას, ზედსახელებს („კლიჩკებს“), ტატუირებებს, საიდუმლო ჟესტებს და მიმიკებს, დამნაშავე ელემენტების ანდაზებსა და გამოთქმებს. ასე რომ, ლინგვიკრიმინალისტიკა ინტერდისციპლინურია თავისი ბუნებით (ჯაგოდნიშვილი & გაბელია, 2020 :10)

აქტუალობისა და თავჩენის სიხშირის მიხედვით, ლინგვისტიკურ ექსპერტიზათა შორის ყველაზე გავრცელებულია შეურაცხმყოფელი, ნეგატიური ინფორმაციის არსებობისა და მისი გვარობის დადგენა. ექსპერტიზის მიზანი ასეთ შემთხვევაში ადამიანის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვაა.

ნებისმიერი ტექსტი გარკვეულ სოციალურ კულტურულ სივრცეში წარმოიქმნება, ვრცელდება და ფუნქციონირებს. მისი აქტუალობის უმთავრეს მახასიათებელს დრო (დროითი პერიოდი, მონაკვეთი) წარმოადგენს. ამ

მახასიათებლის მნიშვნელობა კი განსაკუთრებულობას ლინგვისტურ ექსპერტიზაში იძენს.

ლინგვოკრიმინალისტური ექსპერტიზის გავრცელებული სახეობაა პიროვნული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან დაკავშირებული კვლევები. ამგვარი კვლევების ძირითადი ცნებითი კატეგორიები სამ ჯგუფად იყოფა:

- ზემოქმედების ობიექტი - ღირსება, პატივი, პრესტიჟი, რეპუტაცია;
- პროცესის დახასიათება და ზემოქმედების საშუალებები - ცნობები, დამცირება (პატივისა და ღირსების), ცილისწამება, შეურაცხყოფა, უღირსი ფორმა, ცინიკური ფორმა, უცენზურო (სკაბრეზული) თქმები;
- ზემოქმედების შედეგები - მორალური ზიანი, ზნეობრივი განცდები (საწუხარი)(ჯაგოდნიშვილი & გაბელია, 2020 :37).

ღირსება - საკუთარ შემეცნებაში ადამიანის თვისებების სოციალური შეფასების დადებითი ასახვა. ეს არის ადამიანის თანდაყოლილი ღირებულება, რომელიც უნდა იყოს პატივცემული, რათა თავიდან იქნას აცილებული აგრესია. როდესაც ადამიანები გრძნობენ, რომ მათი ღირსება კომპრომეტირებულია ან შელახულია, ეს ხშირად თავდაცვით ან საპასუხო აგრესიას იწვევს. ღირსებასა და აგრესიას შორის კავშირის გააზრება გვეხმარება იმ გარემოს შექმნაში, სადაც ადამიანები თავს დაფასებულად გრძნობენ და ნაკლებად არიან მიდრეკილნი აგრესიული ქმედებებისკენ ან ნაკლებად ხდებიან აგრესიის მსხვერპლნი. ღირსებისა და აგრესიის ურთიერთმიმართების შესწავლა მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის დასაცავად. როდესაც ღირსება დაცულია, ეს სისტემური აგრესიის ისეთ სახეს ამცირებს, როგორცაა დისკრიმინაცია, ჩაგვრა ან ვერბალური შეურაცხყოფა.

პატივი - ადამიანის მიერ საკუთარი საქციელის შეფასების უნარი, ზნეობრივ ყოფაში საზოგადოებაში მიღებული მორალური ნორმების, წესების, მოთხოვნების შესაბამისად მოქმედების უნარი. პატივისცემა გულისხმობს სხვისი გრძნობების, უფლებების და ტრადიციების აღიარებას. პატივისცემის ნაკლებობა ხშირად იწვევს აგრესიას, რაც კონფლიქტების მიზეზი ხდება როგორც პირად, ასევე სოციალურ კონტექსტში. პატივისცემის შესწავლა აგრესიის კონტექსტში გვეხმარება უკეთ გავიგოთ, როგორ ავიცილოთ კონფლიქტები და შევუწყოთ ხელი მშვიდობიან

ურთიერთობებს. სხვადასხვა კულტურას პატივისცემის განსხვავებული აღქმა აქვს. ამ განსხვავებების გაგება მნიშვნელოვანია გლობალიზებულ სამყაროში, სადაც გაუგებრობამ ან უპატივცემულობამ შეიძლება აგრესია გაამწვავოს. აღნიშნულის კვლევა გვეხმარება ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიების შემუშავებაში.

ცნობათა გავრცელება - ცნობების გამოქვეყნება პრესაში, ტრანსლირება რადიო-ტელევიზიით, დემონსტრირება კინო-ქრონიკებსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ინტერნეტით; ცნობების შეტანა სამსახურეობრივ დახასიათებებში, საჯარო გამოსვლების ტექსტებში, განცხადებებში, რომლებიც მიმართულია (განკუთვნილია) თანამდებობის პირებისადმი; ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება გავლენა იქონიოს აგრესიაზე, განსაკუთრებით ციფრულ ეპოქაში. დეზინფორმაციამ, მიკერძოებულმა გაშუქებამ ან პროვოკაციულმა კონტენტმა შეიძლება გამოიწვიოს აგრესია, სიძულვილის ენის გამოყენება ან თუნდაც ძალადობა. ინფორმაციის გავრცელების შესწავლა გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ შეიძლება მედია და კომუნიკაციის არხები პასუხისმგებლობით იქნეს გამოყენებული აგრესიული რეაქციების მინიმუმამდე შესამცირებლად. ინფორმაციის სწრაფი გავრცელება სოციალური მედიის მეშვეობით წარმოშობს აგრესიის ახალ ფორმებს, როგორცაა კიბერბულინგი და ონლაინ შევიწროება. ანალიზი იმისა, თუ როგორ ვრცელდება ინფორმაცია ონლაინ სივრცეში, აუცილებელია ამგვარი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და ინდივიდების ციფრული ზიანისგან დასაცავად.

ღირსება, პატივისცემა და ინფორმაციის გავრცელება ურთიერთდაკავშირებულია და ერთობლივად ახდენს გავლენას აგრესიული ქცევის აღბათობასა და ბუნებაზე. ამ ცნებების ყოვლისმომცველი შესწავლა საშუალებას გვაძლევს, უფრო ღრმად გავიგოთ აგრესიის ფესვები და შევიძუშაოთ ეფექტური სტრატეგიები პრევენციისა და ჩარევის მიზნით.

1. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადება, ნიკა მელიას დაკავების შემდეგ, 23 თებერვალი, 2021	
წყარო ტექსტი: „The United States Embassy is deeply concerned by the	სამიზნე ტექსტი: ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ღრმად

<p>government’s decision to detain the head of a major opposition political party at the party’s headquarters this morning. We regret that the call of the United States and other international partners for restraint and dialogue was ignored. We are dismayed by the polarizing rhetoric from Georgia’s leadership at a time of crisis. Force and aggression are not the solution to resolving Georgia’s political differences. Today, Georgia has moved backward on its path toward becoming a stronger democracy in the Euro-Atlantic family of nations“.</p>	<p>არის შემფოთებული მთავრობის გადაწყვეტილებით მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების გამო ამ დილით პარტიის სათავო ოფისში. ვწუხვართ, რომ შეერთებული შტატებისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებები თავშეკავებისა და დიალოგისკენ უგულვებელყოფილი იყო. შეძრწუნებული ვართ კრიზისის დროს საქართველოს ხელმძღვანელი პირების მიერ გამოყენებული განხეთქილების გამომწვევი რიტორიკით. ძალისმიერი მეთოდები და აგრესია არ არის საქართველოს პოლიტიკური უთანხმოებების გადაჭრის გზა. დღეს საქართველომ უკან დაიხია ევროატლანტიკურ სახელმწიფოთა ოჯახში უფრო ძლიერი დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე“.</p>
<p>ანალიზი: თარგმანი შესრულებულია ნეიტრალური ენით; ვინაიდან ინგლისური ენა ნაკლებად აგრესიულ ენას წარმოადგენს, ამასთანავე, აღნიშნული განცხადება გავრცელებულია ამერიკის საელჩოს მიერ, მთარგმნელს არ ექნებოდა შესაძლებლობა, რომ ორიგინალი ტექსტის ექსპრესიულობა შეეცვალა მეტად აგრესიული სიტყვების გამოყენებით; შეიძლება ითქვას რომ შინაარსის, ფორმის და დანიშნულების მიხედვით წყარო ტექსტიდან სამიზნე ენაზე გადმოტანილი ინფორმაცია ადეკვატურია. როგორც წყარო, ისე სამიზნე ენაზე შექმნილი ტექსტი ოფიციალური სტილით არის შესრულებული; წყარო ტექსტში ძირითადად გამოყენებულია ახლანდელი დრო (presente tenses: <i>“is deeply concerned”</i>, <i>“are dismayed”</i>, <i>“has moved”</i>), ქართული ტექსტი კი ხაზს უსვამს მოცემული ფაქტების დაუყოვნებლივ და განგრძობით მნიშვნელობაზე. ორივე ტექსტში გამოყენებულია ვნებითი გვარი (<i>“the call ... was ignored”</i> / <i>“მოწოდებები ... უგულვებელყოფილი იყო“</i>).</p>	

ვნებითი გვარი ხაზს უსვას ქმედებებზე პიდაპირი პასუხისმგებლობის მინიჭების გარეშე. ინგლისური ენის სინტაქსის მიხედვით, წინადადებათა წყობა მიყვება სუბიექტი-ზმნა-ობიექტი (SVO) წყობას, წინადადებები არის რთული, ჩანს ლოგიკური ბმა. ქართული ენის სინტაქსის მიხედვით, წინადადებაში სიტყვათა შედარებით თავისუფალი წყობა გვაქვს და ამის გამო, მოცემულ ტექსტში ზოგჯერ ზმნა წინადადების ბოლოში გვხვდება („*უგულეზელყოფილი იყო*“). სამიზნე ტექსტში შეინიშნება შედარებით ვრცელი წინადადებები, რაც, თავის მხრივ, ნორმალურია როდესაც წყარო ენა ინგლისურია. ინგლისურენოვან ტექსტში, კულტურის მხრივ, სპეციფიკურია დიპლომატიური ენის გამოყენებაც, სადაც ჩანს ყურადღების გამახვილება ისეთ ღირებულებებზე, როგორცაა: *democracy-დემოკრატია, dialogue - დიალოგი, Euro-Atlantic family of nations - ევრო-ატლანტიკურ სახელმწიფოთა ოჯახი და სხვ.* ქართულენოვან ტექსტში გამოყენებულმა ფრაზამ „*შეშფოთებული ვართ*“ („*dismayed*“) შეიძლება გამოიწვიოს უფრო მძაფრი ემოციური რეაქცია ქართველი აუდიტორიის მხრიდან. წყარო ტექსტში მოცემული ლექსიკური ერთეულები „*regret*“, „*dismayed*“, „*force and aggression*“ შერჩეულია დიპლომატიური ტონის გათვალისწინებით, თუმცა ზომიერი კრიტიკის მიზნით. სამიზნე ტექსტში გადმოტანილი ლექსიკური ერთეულები „*ვწუხვართ*“, „*შეშფოთებული ვართ*“, მსგავსი მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ მათ უფრო მეტად ემოციური და კულტურული დატვირთვა აქვთ.

იხ. ლინკი:

<https://www.facebook.com/usingeo/posts/pfbid0P3JLe1ay4kfbuhBLksYfj1jC54CrNFxVoAzqLpanHUdJ5iQwFCxJtGV2dWEwtGsPl>

ცილისწამება - ცრუ, ფალსიფიცირებული ცნობების გავრცელება, რომლებიც ჩირქს სცხებს სხვა პირის პატივსა და ღირსებას ან ძირს უთხრის მის რეპუტაციას („*ვუყურებ ახლა სალომე ზურაბიშვილის საპარლამენტო გამოსვლას და ესაა დედალი ბიძინა ივანიშვილი. არც მეტი არც ნაკლები*“ - შალვა ნათელაშვილი სალომე ზურაბიშვილზე);

შეურაცხყოფა - სხვა პირის პატივისა და ღირსების უღირსი ფორმით დამცირება („კარგით ახლა გვეყო მართლა და მართლა. ამ კაცმა გადამღუნეთო გვითხრა, გადამკუზეთო კი არ უთქვავს“ - გიგი უგულავა თორნიკე რიჟვაძეზე);

ცილისწამება, შეურაცხყოფა და სახელის გატეხვა ვერბალური აგრესიის ფორმებია, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ფსიქოლოგიური ზიანი გამოიწვიოს: სტრესი, შფოთვა, დეპრესია და ზოგიერთ შემთხვევაში, საპასუხო აგრესია. ამ ქცევების შესწავლა დაგვეხმარება გავიგოთ, როგორ მოქმედებს ვერბალური აგრესია ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

ზოგიერთ კულტურაში ან თემში, ცილისწამება და შეურაცხყოფა შეიძლება ნორმალიზებული ან წახალისებულიც კი იყოს. ამ ქცევების შესწავლამ შეიძლება გამოავლინოს თუ როგორ ახდენენ გავლენას სოციალური ნორმები და კულტურული ღირებულებები ვერბალური აგრესიის გავრცელებაზე და მის მიღებაზე.

<p>2. რუსი ტურისტის ვიდეო მიმართვა ახალგაზრდებს, რომლებიც 2023 წლის მარტში, აქციის ფარგლებში აპროტესტებდნენ უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის მიღებას;</p>	
<p>წყარო ტექსტი: „We are at Shota Rustaveli where yesterday a rally was held where the crowd, I would more call a herd of young people, fans of IQOS, iPhone, Chewing Gum, Harley Davidson, tried to defend as their stupid right to be slaves of America. In general, the zombie youth were all jumping, making noise and screaming here. This was funny because it appears that they were run by older foreigners. They want you to pay twice as much for utilities or three times as much. They want gasoline at the gas station not ninety euros, not ninety euro cents, but two euros a litre. Come on,</p>	<p>სამიზნე ტექსტი: „ჩვენ ვიმყოფებით რუსთაველზე, სადაც გუშინ ტარდებოდა მიტინგი, სადაც მასა, მე ვიტყოდი ფარა ახალგაზრდა ადამიანებისა, აიქოსის, აიფონის, ჰარლი დევიდსონისა და სადეჭი რეზინის ფანატები, ცდილობდნენ დაეცვათ თავისი ბრიყვული უფლება იყვნენ ამერიკის მონები. მოკლედ, ზომბირებული ახალგაზრდობა აქ ხტუნავდა, ხმაურობდა, ყვიროდა. ეს იყო სასაცილო, რადგან ცხადი იყო რომ მათ აკონტროლებენ მათზე უფროსი უცხოელები. უნდათ რომ იხდიდნენ ორჯერ და სამჯერ მეტ კომუნალურ</p>

<p>you idiots. God give the power to maintain your right, position in this world“.</p>	<p>გადასახადებს; უნდათ რომ საწვავი ღირდეს არა 90 ცენტი, არამედ 2 ევრო ლიტრი. ნუ, რას იზამ, ბრიყვები. ღმერთმა ქნას, ხელისუფლებამ უერთგულოს თავის სწორ პოზიციას“.</p>
--	---

ანალიზი: წყარო ტექსტში გამოყენებულია ისეთი სიტყვები, როგორცაა: „*herd-ფარა, ნახირი*“, „*slave-მონა*“, „*zombie youth -ზომბირებული ახალგაზრდობა*“, „*idiots -სულელები*“; რუსეთ-საქართველოს შორის დამაბული და არასახარბიელო პოლიტიკური ურთიერთობების გამო, რუსი აქტივისტის მიერ მსგავსი სახის ტექსტის გავრცელება, თანაც იმ სიტყვებიც, რასაც საგანგებოდ გავუსვით ხაზი, რა თქმა უნდა პირდაპირი აგრესიის გამოხატულებას წარმოადგენს; მთავარი ისაა, რომ აღნიშნული ტექსტი თავისი ექსპრესიული ლექსიკით საპასუხოდვე აგრესიულ ქმედებას, ქცევას მოითხოვს; მთარგმნელი არ ცდილობდა ექსპრესიული ლექსიკის შერბილებას, მეტიც, ზუსტად და სიტყვა-სიტყვით თარგმნის აგრესიის გამომხატველ სიტყვებს; როგორც წყარო, ისე სამიზნე ტექსტში გამოიყენება არაფორმალური (არაოფიციალური) ენა, რაც უარყოფილი და კრიტიკული ტონის შენარჩუნებას უწყობს ხელს; ორივე ტექსტი სტრუქტურირებულია მარტივი წინადადებებითა და ფრაზებით, ხშირად არ გააჩნიათ ფორმალური კონექტორები (კავშირები). ეს ხელს უწყობს აგრესიულ, არაფორმალურ სტილს, რომლის მიზანია პროვოცირება და არა ობიექტური ინფორმირება. ინგლისურენოვანი ტექსტის სინტაქსი თავისუფლად არის ორგანიზებული, სალაპარაკო ენას წააგავს. ფრაზებში შეინიშნება მინიმალური კოჰეზია (შერწყმა); სტილი შეესაბამება ტექსტის არაფორმალურ, ემოციურად დატვირთულ შინაარსს. სამიზნე ტექსტიც სტრუქტურის მხრივ წყარო ტექსტს მიყვება: ფრაზები, როგორცაა “*ხტუნავდა, ხმაურობდა, ყვიროდა*” პირდაპირ იმეორებს წყარო ტექსტს “*all jumping, making noise and screaming.*” კულტურული კონცეპტების მხრივ წყარო ტექსტში დასახელებულია ისეთი ბრენდები, როგორცაა: *IQOS-აიქოსი, iPhone-აიფონი, Chewing Gum-სადეჭი რეზინი, Harley Davidson-ჰარლი დევიდსონი*, რაც დასავლური კულტურისთვისაა დამახასიათებელი და ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ქართველი ახალგაზრდებიც მისკენ მიილტვიან. წყარო და სამიზნე ტექსტებში შეინიშნება დამცინავი, სარკასტული ტონი, რიტორიკული

გაზვიადება; ინგლისური ტერმინი “herd”, ქართულად ითარგმნება როგორც „ფარა“ და მეტაფორულად გულისხმობს ბრბოს, როგორც „უგუნური მიმდევრები“. ტონი დამამცირებელია, რაც მიზნად ისახავს, რომ მომიტინგეები წარმოაჩინოს სულელ და შეცდომაში შეყვანილ ხალხად. პრაგმატიკის მხრივ ორივე ვერსიის ძირითადი გზავნილი არის აუდიტორიაში ზიზლის გამწვავება მომიტინგეების მიმართ და მათი დასავლურ იდეალებთან თანხვედრის წარმოჩენა, რაც ფინანსურად და სოციალურად საზიანოა. გზავნილი გამყარებულია ისეთი შედეგებით, როგორცაა ხარჯების გაზრდა და მომიტინგეების რეალობასთან მოწყვეტით წარმოჩენა.

იხ. ლინკი: <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=654317883132102>

სახელის გამტეხი - ისეთი ცნობებია, რომლებიც შეიცავენ მტკიცებულებებს მოქალაქის ან იურიდიული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, უღირსი, არასწორი, არაეთიკური საქციელის ჩადენის შესახებ პირად, საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში, უკეთური ქცევის შესახებ სამეურნეო, საწარმოო, სამეწარმეო საქმიანობაში, საქმიან სფეროში სამეწარმეო ეთიკის ან ჩვევების დარღვევის შესახებ, რომლებიც ამცირებენ მოქალაქის ან იურიდიული პირის პატივსა და ღირსებას.

ნეგატიური - ისეთი ინფორმაციაა, რომელიც შეიცავს უარყოფითი შეფასების კომპონენტს, ანუ იურიდიული ან ფიზიკური პირის უარყოფით დახასიათებას ჯანსაღი აზრის, მორალის, ან სამართლებრივი თვალსაზრისით. თუ ასეთი ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, იგი ამცირებს იმ პირის ღირსებას ან ჩირქს სცხებს საქმიან რეპუტაციას, ვისაც შეეხება (ჯაგოდნიშვილი, გაბისონია, & გაბელია, 2020).

ლინგვისტიკაში გამოყოფენ გარკვეული პირისათვის შეურაცხმყოფელ სიტყვათა რიგებს, რომლებსაც **ინვექტივებს** უწოდებენ. დღეისათვის დაფიქსირებულია ინვექტივების შემდეგი რიგები:

- სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გამოხატავენ სოციალურ გაკიცხვას (ფრანგი მწერალი, ფრედერიკ ბეგბედერი ავრცელებს უკრაინის მხარდამჭერ ვიდეოს, სადაც ამბობს, რომ "პუტინს სულ პაწაწინა პენ*სი აქვს");

- გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ზოგიერთი პროფესიის სახელწოდებები (ყასაბი-ქირურგის მისამართით, ჯალათი - მკაცრი ზემდგომის მისამართით);

- ფიტო-ზოოხემანტიკური მეტაფორები - მეტაფორები, რომლებიც მიმართავენ ცხოველთა სახელწოდებებს და ხაზს უსვამენ ადამიანების უარყოფით თვისებას (ძროხა-ტლანქი, მოუხეშავი; ვირი - სულელი, ჯიუტი, ხეპრე; მაიმუნი - ეშმაკი, თვალთმაქცი);

- ადამიანის საქციელის ექსპრესიული ნეგატიური შეფასების შემცველი სიტყვების, კონკრეტულ საქმიანობაზე ან პოზიციაზე მითითების აღმნიშვნელი (არამზადა, ხეპრე, გამოუსვლელი);

- პირდაპირი ნეგატიური შეფასების ან გამკიცხავი დანიშნულების ზმნები (აწაპვნა, მისაკუთრება, დათრევა);

- პირდაპირი და უარყოფითი შეფასების შემცველი ან გამკიცხავი მნიშვნელობის ზედსართავი სახელები (ირაკლი კობახიძე: „ვიღაცებს გიორგი გახარია კერკეტი კაკალი ეგონათ, აღმოჩნდა კერკეტი კვერცხი“);

3. ადამ კინზინგერის განცხადება სოციალურ ქსელში, 22 მარტი, 2021.	
<p>წყარო ტექსტი „Russia is not our ally; Putin is a murderer. He’s a tyrant who targets freedom-loving people and their elections. He helped Assad kill over 50k children in Syria and tortured activists in Belarus. He sows chaos and acts with impunity across the globe.</p> <p>I’m rooting for America, always”.</p>	<p>სამიზნე ტექსტი: „რუსეთი არ არის ჩვენი მოკავშირე. პუტინი მკვლეელია. ის არის ტირანი, რომელიც ყოველთვის თვალში იღებს თავისუფლების მოყვარე ადამიანებსა და მათ არჩევანს. ის დაეხმარა ასაღს 50ათასზე მეტი ბავშვის მკვლელობაში, სირიაში და აწამებდა აქტივისტებს ბელორუსში. ის ქმნის ქაოსს და დაუსჯელად მოქმედებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.</p> <p>მე ყოველთვის მხარს ვუჭერ</p>

ანალიზი: წყარო ტექსტი შეიცავს ძლიერ და სანდო დამკვირვებლურ შეფასებებს რუსეთის პრეზიდენტის - ვლადიმერ პუტინის შესახებ. ქართული თარგმანი ეფექტურად ინარჩუნებს ორიგინალური ტექსტის განზრახვას და ტონს, მკაფიოდ გამოხატავს პუტინის კრიტიკას. ქართული თარგმანი ზუსტად ასახავს წყარო ტექსტის ყველა ძირითად დეტალს, მათ შორის პუტინის ბრალდებებს, ქმედებებს; ნათლად გადმოსცემს იმავე სერიოზულობას და შეფასებებს, რაც ორიგინალი ტექსტის მთვარი იდეაა. წყარო ტექსტი გამოიყენებს პირდაპირ, დეკლამატორულ (განმცხადებლურ) წინადადებებს, ფრაზები, როგორცაა „*Putin is a murderer - პუტინი მკვლეელია*“ და „*I am rooting for America, Always - მე მხარს ვუჭერ ამერიკას, ყოველთვის*“ - არის მოკლე და ემფატიკური. ორივე ტექსტში გამოიყენება აწმყო მარტივი დრო (present simple), რომელიც ასახავს ზოგად ჭეშმარიტებას, აუცილებლობას. წყარო ტექსტის სინტაქსი მარტივია, იყენებს მარტივ და რთულ წინადადებებს რუსეთისა და პუტინის შესახებ საკვანძო პუნქტების ხაზგასასმელად; მოცემული სინტაქსური სიმარტივე განცხადებების ზემოქმედებაზე და ემოციურობაზე აკეთებს აქცენტს. წინადადებაში „*რუსეთი არ არის ჩვენი მოკავშირე - Russia is not our ally,*“ მთავარი სუბიექტი პირველ ადგილზეა წარმოჩენილი. ორივე ტექსტში მოცემული ყველაზე კრიტიკული აღწერილითი სიტყვები „*murderer - მკვლეელი, tyrant - ტირანი*“ ყოველი წინადადების დასაწყისთან ახლოს, ინარჩუნებს საბრალდებო ტონს. ინგლისურ ტექსტში აღნიშნულია სპეციფიკური ანტირუსული განწყობები, რომლებიც გავრცელებულია დასავლურ მედიაში, რაც რუსეთს გლობალურ საფრთხედ წარმოაჩენს თავისუფლებისა და დემოკრატიული ღირებულებების საწინააღმდეგოდ. ამას აძლიერებს „*freedom-loving people - თავისუფლებისმოყვარე ხალხის*“ და „*elections- არჩევნების*“ მითითებები, რომლებიც ამერიკულ და დასავლურ იდეოლოგიაში ძირითად ღირებულებებს წარმოადგენს. ქართულ ტექსტში გამოყენებულია მსგავსი ფრაზები, რამაც შესაძლოა რეზონანსი მოახდინოს ქართველ აუდიტორიაში, რომელიც კარგად იცნობს დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებს და რუსულ გავლენას. რუსეთთან საქართველოს რთული ისტორიის გათვალისწინებით, ამ ტექსტს, სავარაუდოდ, ძლიერი გავლენა ექნება ქართველ მკითხველზე, რაც ანტირუსულ განწყობებს ადგილობრივ კულტურულ მნიშვნელობას შემატებს. განცხადებას „*I'm rooting for America, always - მე მხარს ვუჭერ*

ამერიკას“ შეიძლება ჰქონდეს დამატებითი მნიშვნელობა ქართველი აუდიტორიისთვის, რადგან ის გულისხმობს არა მხოლოდ ამერიკული ღირებულებების მხარდაჭერას, არამედ გეოპოლიტიკური ბრძოლების რიგებში ჩადგომას, რაც სენსიტიური და აქტუალური თემაა საქართველოში. როგორც წყარო, ისე სამიზნე ტექსტი გამოიყენებს მკვეთრ და კონფრონტაციულ ტონს. პრაგმატიკის მხრივ ტექსტი პირდაპირ პოლიტიკურ განცხადებას წარმოადგენს, რაც ამერიკის მხარდაჭერაზე და რუსეთისა და პუტინის გაკიცხვაზე უსვამს ხაზს.

იხ. ლინკი: <https://1tv.ge/lang/en/news/congressman-kinzinger-says-russian-president-putin-to-be-murderer/>

- ევფემიზმები, რომლებიც მაინც ინარჩუნებენ ნეგატიურ შემფასებლურ ხასიათს (მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი);
- უცენზურო სიტყვები, რომლებიც გამოყენებულია გარკვეული პირის დასახასიათებლად (სააკაშვილი ბო*ებს დაატარებდა სამთავრობო თვითმფრინავით, ღარიბაშვილმა შვილი წაიყვანა ჩვენი ხარჯებით ამერიკაში“ - ალეკო ელისაშვილი);
- სპეციალური ნეგატიურ-შემფასებლური კალამბურული წარმონაქმნები („ნაცობა ნიშნავს გონების დაბინდვას, ამიტომ გაქვთ დაბინდული გონება“ - ირაკლი კობახიძე ჟურნალისტებს);
- ჟარგონიზმების, ტერიტორიული დიალექტების, სასაუბრო ენის წარმომავლობის არანორმატიული ლექსიკა-ფრაზეოლოგია (თხა, ყანა, ბანძი, ქათამი);
- პეიორატიული (დაცინვითი, აგდებითი) საკუთარი სახელები (ქეთინო, სერიოჟა);
- სუფიქსი დომინატივები, რომლებიც სიტყვებს დამამცირებელ შეფერილობას აძლევენ (მაგ.: დეპუტატუნა - ცუდი დეპუტატის მნიშვნელობით, დედაკაცუნა - ცუდი დიასახლისის მნიშვნელობით);
- ინტელექტ-ინვექტივები (გამოთაყვანებული), პოლიტ-ინვექტივები (ნაცისტი), პროფესიონალ-ინვექტივები (ყასაბი, მეთხე), ზოონინვექტივები („მალე ვიქნები ადგილზე და გპირდებით დინგში მოგხვდებათ“ - ელენე ხოშტარია), სექს-ინვექტივები (ცისფერი, რქიანი), ჟარგონ-ინვექტივები (ქათამი), ევფემიზმ-ინვექტივები (მსუბუქი ყოფაქცევის ქალი), კალამბურ-ინვექტივები (ლიბერასტები),

ინვექტივე-შედარებები იდიოზურ პიროვნებებთან და ლიტერატურულ პერსონაჟებთან (ჯაგოდნიშვილი & გაბელია, 2020 :57).

ინვექტიური სამეტყველო ჟანრების კომუნიკაციური მიზანია „თანამოსაუბრის“ კალაპოტიდან ამოგდება (წონასწორობიდან გამოყვანა), კონკრეტული ადამიანის დისკრედიტირება, მისთვის მორალური და ემოციურ-ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება. ამასთან ფუნქციური ინვექტიური მახასიათებლები ქსელურ ურთიერთობებში შეიძლება გამოიყენებოდეს ადრესატის სოციალური სტატუსის დასამცირებლად, პათოლოგიური ბილწისტყვაობისათვის, სამეტყველო აგრესიის პროვოცირებისათვის, ასევე წაქეზებისა და ყურადღების მიქცევისათვის (ჯაგოდნიშვილი & გაბელია, 2020 :56-57).

გარკვეულია რომ გოგოებიც და ბიჭებიც სამეტყველო აგრესიის გამოხატვის ერთიან საშუალებებს იყენებენ. თუმცა ბიჭები უფრო მიდრეკილნი არიან მეტყველებაში მუქარის გამოყენებისაკენ, ჩვეულებრივ გამოიყენებენ იმპერატივს ან მიუთითებენ კონკრეტულ მოქმედებაზე, რომელიც შეიძლება შეასრულოს ადრესანტმა. გოგოები, თავის მხრივ, უფრო ძახილისა და კითხვების ნიშნებს, **ემოტიკონებს** გამოიყენებენ. უშუალოდ ინვექტიურ ლექსიკას, რომლებსაც კომუნიკანტები ინტერნეტ-ურთიერთობებში გამოიყენებენ, მიეკუთვნება (ჯაგოდნიშვილი & გაბელია, 2020 :60):

• ანტისაზოგადოებრივი სოციალურად გასაკიცხი საქმიანობის ამსახველი სიტყვები;

- მკაფიონეგატიური შეფერილობის ლექსიკა;
- ზოოსემანტიკური მეტაფორები;
- გასაკიცხი მნიშვნელობის ზმნები;
- ექსპრესიულ-ნეგატიური ლექსიკა, რომელიც პიროვნებას აფასებს;
- ევფემიზმები

თუკი აღნიშნული საკითხის მთარგმნელობითი თვალსაზრისით გამოკვლევასა და გაანალიზებას დავისახავთ მიზნად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თარგმანის შეფასების პრობლემა კომპლექსური პროცედურაა, რომელიც, როგორც ვ.კომისაროვი აღნიშნავს, მოითხოვს რიგი ნორმატიული მოთხოვნის დაცვას: 1. ორიგინალისა და თარგმანის სიახლოვის ხარისხის უზრუნველყოფას; 2. თარგმანში ორიგინალის

ჟანრობრივ-სტილისტიკური თავისებურებებისა და ტექსტის ტიპის გათვალისწინებას; 3. დონორ კულტურაში არსებული ენობრივი უზუსისა და ნორმების გაცნობიერებას; 4. ორიგინალის პრაგმატული დომინანტის ტრანსპოზიციას თარგმანში (ვ.კომისაროვი მიიჩნევს, რომ კონკრეტული პრაგმატული ფუნქციის განხორციელება წარმოადგენს თავისებურ სუპერფუნქციას, რომელიც იქვემდებარებს ყველა მთარგმნელობით ნორმას, რის გამოც პრაგმატული ფაქტორის გავლენით მთარგმნელმა, შესაძლოა, უარი თქვას მაქსიმალური ეკვივალენტობის მიღწევაზე, შეცვალოს ორიგინალის ჟანრობრივი სახე, შეკვეცოს ტექსტი, დაარღვიოს ენობრივი უზუსი და ნორმები, ჩაანაცვლოს თარგმანი შინაარსის თავისუფალი გადმოცემით და სხვა); 5. თარგმანის კონვენციონალური ნორმის რეალიზაციას, რაც გულისხმობს თარგმანის შესაძლებლობას სრულფასოვნად ჩაანაცვლოს ორიგინალი როგორც მთლიანობაში, ასევე, დეტალებში და განახორციელოს ის ამოცანები, რის გამოც შეიქმნა თარგმანი (Комиссаров, 1997 :233).

როდესაც საუბარია მთარგმნელის ოსტატობაზე, მხედველობაში გვაქვს მთარგმნელობითი ტექნიკა, რომელიც განსაკუთრებით თავს იჩენს ე.წ. „უთარგმნელი ერთეულების“ გადმოცემისას. ეთნოკულტურული ასიმეტრიიდან გამომდინარე, ენები განსხვავებულად ახდენენ სამყაროს ხატის სეგმენტაციას, რაც გამოხატულებას პოულობს როგორც ლექსიკო-გრამატიკულ ერთეულთა, ასევე ეთნოკულტურულ ღირებულებათა არაერთგვაროვნებაში. „უთარგმნელ ერთეულებში“ განსხვავებულ მოვლენებს გულისხმობენ. ჩვენ ვეყრდნობით ა. ივანოვის გაფართოებულ ვარიანტს, რომელშიც სამი კომპონენტი გამოიყოფა: 1. რეფერენციულად უეკვივალენტო ლექსიკა, რომელშიც შედის რეალიები, ტერმინები, ფრაზეოლოგიზმები, ავტორისეული ნეოლოგიზმები, სემანტიკური ლაკუნები; 2. პრაგმატულად უეკვივალენტო ლექსიკა, რომელიც ენობრივი ნორმიდან გადახვევის სხვადასხვა შემთხვევას მოიცავს (ტერიტორიულ და სოციალურ დიალექტებს, ჟარგონს, არგოს, ტაბუირებულ ლექსიკას, არქაიზმებს, პოეტიზმებს, უცხოენოვან ჩანართებს, აბრევიატურებს, სუბიექტური შეფასების მქონე სუფიქსიან სიტყვებს, შორისდებულებს, ასოციაციურ ლაკუნებს; 3. ალტერნატიულად უეკვივალენტო ლექსიკა: საკუთარი სახელები, რეალიები და ფრაზეოლოგიზმები, რომელთა სპეციფიკა, ავტორის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ გამომდინარე მიმღები ენის

მიერ არჩეული ხერხიდან, უეკვივალენტობა შეიძლება იყოს ან რეფერენციული, ან პრაგმატული (Иванов, 2006 :200).

ლინგვოკრიმინალისტიკური ერთეულების მთარგმნელობითი ნიუანსების საჩვენებლად, შემოგთავაზებთ რამდენიმე მაგალითს;

რუსეთ-უკრაინის ომის თემატიკასთან დაკავშირებით:

• **წყარო ტექსტი:** LONDON, March 29 (Reuters) - A ceasefire agreement between Russia and Ukraine would not be enough to trigger the lifting of British sanctions, British Prime Minister Boris Johnson told a meeting of his senior ministers on Tuesday.

"The prime minister said a ceasefire alone would not be cause for UK sanctions to be removed on Russia," Johnson's spokesman told reporters, giving his account of the cabinet meeting.

"He said the pressure on (Russian President Vladimir) Putin must be increased both through further economic measures and providing military aid to ensure Russia changes course completely."

სამიზნე ტექსტი: „რუსეთსა და უკრაინას შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმება ბრიტანეთის მიერ დაწესებული სანქციების მოსახსნელად საკმარისი არ იქნება. ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა განაცხადა.

ბორის ჯონსონის თქმით, აუცილებელია ვლადიმერ პუტინზე ზეწოლის გაძლიერება, როგორც ეკონომიკური ზომების მიღებით, ისე სამხედრო დახმარების აღმოჩენით, რათა რუსეთმა სრულად შეცვალოს თავისი კურსი“ („იმედი ნიუსი“, 29 მარტი, 2022);

მთარგმნელობითი ანალიზი: ლექსიკური ტრანსფორმაცია (მაგ.: “Ceasefire agreement” ითარგმნა როგორც „შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ - სამიზნე ტექსტში საჭირო გახდა განვრცობა); სინტაქსური ტრანსფორმაცია (მაგ.: "A ceasefire agreement between Russia and Ukraine would not be enough to trigger the lifting of British sanctions" - "რუსეთსა და უკრაინას შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ბრიტანეთის მიერ დაწესებული სანქციების მოსახსნელად საკმარისი არ იქნება"); სემანტიკური ტრანსფორმაცია, მაგ.: “ ...would not be enough to trigger the lifting of

British sanctions“ – „დაწესებული სანქციების მოსახსნელად საკმარისი არ იქნება“; ქართული თარგმანი ეფექტურად ინარჩუნებს ორიგინალი ტექსტის განზრახვასა და ტონს; თარგმანი ასევე ინარჩუნებს პოლიტიკურ კონტექსტსაც, რაც უზრუნველყოფს იმას რომ ქართულმა სამიზნე აუდიტორიამ სწორად გაიგოს ინფორმაცია; თარგმანში ნათლად ჩანს, რომ თავიდან არის არიდებული შესაძლო მიკერძოება და ორიგინალი ტექსტის არასწორი ინტერპრეტაცია. ინგლისურ ტექსტში გამოყენებულია ფორმალური ენა ზუსტი გრამატიკით, რაც ტიპური პოლიტიკური რეპორტაჟისთვის დამახასიათებელია. ტერმინები, როგორცაა „*ceasefire agreement - ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება*“, „*trigger the lifting of British sanctions - გამოიწვევს ბრიტანეთის სანქციების მოხსნას*“ და „*ensure Russia changes course completely - უზრუნველყოს რუსეთი მთლიანად შეცვალოს კურსი*“ ასახავს დიპლომატიურ და სტრუქტურირებულ ტონს. ორივე ტექსტში გამოყენებულია პირობითი წინადადების სტრუქტურა (conditional: *“would not be enough-არ იქნება საკმარისი“*), სადაც ხაზგასმულია, რომ სანქციების მოსახსნელად გარკვეული პირობები უნდა დაკმაყოფილდეს. ინგლისური სინტაქსი მკაფიოა და მიჰყვება ლოგიკურ თანმიმდევრობას; ის იხსნება ძირითადი აზრის განცხადებით და შემდეგ იძლევა პირდაპირ ციტატებს მის მხარდასაჭერად. პირდაპირი საუბრის სტრუქტურა („*The Prime Minister said ... - პრემიერმა თქვა...*“) ხაზს უსვამს სიცხადეს და სანდოობას. კულტურის მხრივ, ინგლისურ ვერსიაში ხაზგასმულია დიდი ბრიტანეთის პოზიცია სანქციებთან დაკავშირებით, რაც ასახავს დასავლეთის მიდგომას მდგრადი ეკონომიკური და სამხედრო ზეწოლის შესახებ. ეს პოზიცია განსაკუთრებით აქტუალურია მიმდინარე გეოპოლიტიკურ კონტექსტში, სადაც დასავლური ქვეყნები მტკიცე პოზიციას ინარჩუნებენ რუსეთის წინააღმდეგ.

ქართული ვერსია, მიუხედავად იმისა, რომ მჭიდროდ მიჰყვება ინგლისურს, შესაძლოა განსხვავებულად მოერგოს ქართველ მკითხველს რუსეთის კონფლიქტებთან და სანქციებთან დაკავშირებით საქართველოს საკუთარი გამოცდილების გამო. სანქციების არ გაუქმების მტკიცე პოზიცია შეიძლება ემთხვეოდეს საქართველოს განწყობებს რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართ, რაც კრიტიკულად განიხილება. ორივე პარაგრაფში გამოყენებულია ფორმალური და ნეიტრალური ენა, რომელიც შეეფერება ახალ ამბებსა და დიპლომატიურ

რეპორტაჟებს. ტონი ინფორმაციულია და არა ემოციური, რაც ასახავს თემის სერიოზულობას. ქართული ვერსია ინარჩუნებს ამავე ტონს, რაც მოცემულ პოლიტიკურ დისკურსში, აღნიშნულ ტექსტს, კარგად ნაცნობი მკითხველისათვის ხელმისაწვდომს ხდის.

- საერთაშორისო ჰაკერული დაჯგუფება „ანონიმუსი“ კიბერ ომს უცხადებს რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს:

წყარო ტექსტი: *“members of Anonimous have declared cyber war against your regime. Your secrets may no longer be safe. We plan to expose what has been hidden for years with the powers of anonymous bearing down on you and your corrupt cronies. It’s only a matter of time until we uncover the dirt you’ve been trying to hide from the community. You lied your way into leading from the depths of your closet no skeleton will be left unturned. We are now asking to restore the rights of the Ukrainian people and resign as an elected official. You have failed to protect those in vulnerable living conditions. You have failed your civic a moral duties as a public official... It’s time to put Vladimer Putin’s proverbial money where his mouth is. Do your research to dig and leave no stone unturned...”*

სამიზნე ტექსტი: „ანონიმუსის“ წევრებმა თქვენი რეჟიმის წინააღმდეგ კიბერ ომი გამოაცხადეს. თქვენი საიდუმლოებები ველარ დაიმალება. ჩვენ ვგეგმავთ გამოვავლინოთ ყველაფერი, რასაც ამდენი წლის მანძილზე საგულდაგულოდ მალავდით; ეს მოხდება ანონიმუსის ძალებით და დაგამხობთ თქვენც და თქვენს კორუმპირებულ მეგობრებსაც. გავამხელთ სიბინძურეს, რასაც თქვენ უმალავდით საზოგადოებას, რომლის მართვასაც ტყუილით ახერხებდით. თქვენს ღრმა გარდერობში არ დარჩება ჩონჩხი, რომელსაც არ გადავატრიალებთ. ჩვენ ახლა მოვითხოვთ აღადგინოთ უკრაინელი ხალხის უფლებები და გადადგეთ, როგორც არჩეული ხელისუფალი. თქვენ ვერ დაიცავთ გასაჭირში მყოფთ. თქვენ გაუცრუეთ იმედები მასაც, ვისაც მოტყუებით მართავდით... დროა ვლადიმერ პუტინს თავისი ფული გავუკეთოთ იქ, სადაც მას პირი აქვს (იდიომა). დაიწყეთ თქვენი მოქმედებები დრესვე. არ დატოვოთ არცერთი ქვა გადმოუბრუნებელი“;

მთარგმნელობითი ანალიზი: კონკრეტულ მაგალითში, სხვა მთარგმნელობით ტრანსფორმაციებთან (გრამატიკული, ლექსიკური, სემანტიკური) ერთად, საინტერესოა ფრაზეოლოგიზმის თარგმნის საკითხი, რომელიც ზოგ შემთხვევაში

უთარგმნელ ერთეულს წარმოადგენს, მაგ.: „no skeleton will be left unturned“ - თარგმანი სიტყვასიტყვით არის შესრულებული „ ... არ დარჩება ჩონჩხი, რომელსაც არ გადავატრიალებთ“ (არაფერი დარჩება საიდუმლო). ამ შემთხვევაშიც თარგმანი შესრულებულია გავრცობით, ანუ გამოყენებულია გენერალიზაციის მეთოდი; ამავე ტექსტში საინტერესოა პირდაპირი სამეტყველო აგრესიის ისეთი ნიმუში, როგორცაა *“It’s time to put Vladimir Putin’s proverbial money where his mouth is - დროა ვლადიმერ პუტინს თავისი ფული გავუკეთოთ იქ, სადაც მას პირი აქვს“*. გამოყენებული იდიომები ვერბალურ აგრესიას მეტად ექსპრესიულს ხდის, სწორედ ამიტომ ისინი უცვლელადაა გადმოტანილი სამიზნე ტექსტში;

<https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=532984588058548>

აღნიშნული წყარო ტექსტი, ისევე როგორც სამიზნე, გულისხმობს პირდაპირ მუქარით სავსე შეტყობინების გადაცემას. სამიზნე ტექსტი ეფექტურად ინარჩუნებს წყარო ტექსტის განზრახვასა და ტონს; თარგმანი სწორად ასახავს კულტურულ კონტექსტს, სადაც „ანონიმუსის“ წევრები პირდაპირი მუქარით მიმართავენ ობიექტს. მთარგმნელი სწორად გვაწვდის ფრაზების *„მოვითხოვთ“* და *„გავუკეთოთ ფული იქ, სადაც პირი აქვს“* ემოციურ დატვირთვას და აგრესიულ ტონს, რაც ხაზს უსვამს ტექსტის მიზანზე და სერიოზულობაზე. აღნიშნული თარგმანი ხაზს უსვამს ლინგვისტური და კულტურული ფაქტორების განხილვის მნიშვნელობას, პოლიტიკურად სენსიტიური კონტენტის თარგმნისას.

დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა:

1. დისკურსის ისტორიული სურათის კვლევამ საშუალება მოგვცა ვიფიქროთ, რომ დისკურსის წარმომავლობა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ერთი მხრივ ენის, მეტყველების, საჯარო გამოსვლის და ა.შ. ან, მეორე მხრივ, ლიტერატურის შესწავლას, იმდენად რამდენადაც დისკურსი მიიჩნევა უფრო ვრცელ ფენომენად, ვიდრე უბრალოდ ტექსტი. დისკურსი, შესაძლოა, მივიჩნიოთ, იმ საერთო კონტექსტისა და სიტუაციის ირგვლივ გაერთიანებულ ტექსტთა ერთბლიობად, რომლებიც შინაარსობრივად და ფორმით უკავშირდება ერთმანეთს და საერთო აზრის ჩამოყალიბებას ემსახურებიან, ერთსა და იმავე სფეროს ეხება. კონტექსტისა და სიტუაციის შესაბამისად, განისაზღვრება დისკურსის სტილიც და ჟანრიც, რაც მკაფიოდ ვლინდება კონტამინირებული ბუნების მქონე ფენომენში - სოციალურ-პოლიტიტიკურ დისკურსში;

2. მაშინ როდესაც ტექსტი წარმოადგენს ენის მკაფიო მატერიალურ გამოვლინებას, დისკურსი ქმნის და შესაბამისად წარმოადგენს კომუნიკაციის უფრო ფართო ჩარჩოს. ჩარჩოდ მოვიაზრებთ სიტუაციას, რომელსაც ვერბალურად ემსახურება დისკურსი და კონტექსტს, რომლითაც ხდება კონტექსტის ვერბალური უზრუნველყოფა. ეს (ჩარჩო) ანიჭებს მას (დისკურსს) მნიშვნელობას და დანიშნულებას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი დისკურსის შესწავლა ლინგვისტიკისთვის, რადგან ის გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ გამოიყენება ენა რეალურ კონტექსტში მნიშვნელობის გადმოსაცემად და სოციალური ურთიერთობების დასამყარებლად. სწორედ დისკურსის ანალიზის მეშვეობით გვეძლევა საშუალება გამოვავლინოთ კომუნიკაციის პროცესში არსებული ფარული მინიშნებები, მასში დაშიფრული კულტურული კოდი, რაც, თავის მხრივ, გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს და ასახავს ენა საზოგადოებას;

3. დისკურსისა და ფუნქციური სტილების ურთერთკავშირი მყარი და ურთიერთგანპირობებულია. ფუნქციური სტილი ყალიბდება დისკურსის კონტექსტის, მიზნის, აუდიტორიისა და სოციალური ნორმების შესაბამისად. ამ ურთიერთმიმართების გათვალისწინება კი გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც თავად ეფექტური კომუნიკაციის, ისე დისკურსის ანალიზის საქმეში;

4. ცვალებად სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში, როდესაც სოციალური მოვლენის პოლიტიკურად ტრანსფორმირება ხდება, სოციალური შინაარსისა და დანიშნულების ტექსტები ინარჩუნებენ სოციალური დისკურსის ნიშნებსა და მახასიათებლებს და იძენენ პოლიტიკურ დატვირთვასაც, რის შედეგადაც ვიღებთ კონტამინირებულ დისკურსს, რომელიც თავის თავში აერთიანებს სოციალურ და პოლიტიკურ მახასიათებლებს;

5. სოციალური დისკურსი ხშირად აისახება პოლიტიკურ დისკურსში სოციალური ღირებულებების, ნორმებისა და კონფლიქტების არეკვლით. პოლიტიკური დისკურსი აერთიანებს სოციალურ დისკუსიებში გავრცელებულ ენასა და საკითხებს, გამოიყენებს მათ საზოგადოებასთან გამოხმაურებისთვის. პოლიტიკოსები ცდილობენ გამოიყენონ ენა კონკრეტული საკითხისადმი საზოგადოებაში გავრცელებული გრძნობებისა და ემოციების შესაბამისად, რითიც ისინი თავიანთ სათქმელს მეტად დამაჯერებელს და არგუმენტირებულს ხდიან;

6. სამეტყველო აგრესიად მივიჩნევთ როგორც საკომუნიკაციო რეალობას, რომელიც შეიძლება ვლინდებოდეს ნებისმიერი დისკურსის ფარგლებში, მიუხედავად მისი ტემპორალური, არამუდმივი და სპეციფიკური, ეროვნული პარამეტრებისა, ეს არის კონფლიქტის თანმხლები და/ან მისი გამომწვევი სამეტყველო ქმედება, რომელიც პიროვნებათაშორის ან სოციალურ დონეზე ვლინდება;

7. ვერბალური აგრესიის ლინგვისტური სპეციფიკა პოლიტიკურ დისკურსში, ეფუძნება მოსაუბრის მიერ მისი პოზიციის აღიარებასა და მოთხოვნას, რომ იგი უპირობოდ უნდა იქნას მიღებული ადრესატის მიერ. ვერბალური აგრესიის საფუძველი ყალიბდება ადრესატზე უარყოფითად მიმართული ემოციური მეტყველების, ანტიეტიკური მიზნების განხორციელების და სხვა ნეგატიური ქმედებებისა და განზრახვების შედეგად, რაც კომუნიკანტთა ურთიერთობების დესტაბილიზაციას იწვევს;

8. აგრესიული ბუნების მქონე ვერბალური ქცევა ხასიათდება ორმაგი ინტენციით. ერთი მხრივ ეს არის მოსაუბრის ცნობიერი ორიენტაცია სუბიექტ-ობიექტის ტიპის ურთიერთობაზე, რომელიც შეიძლება გამოიხატოს როგორც განცხადებების შინაარსით, ისე სიტყვიერი ქცევის დესტრუქციული ფორმებით.

მეორე მხრივ, აგრესიულ კომუნიკაციას ყოველთვის ახასიათებს უარყოფითი დამოკიდებულებების გამოხატვა ადრესატის ან საუბრის ობიექტის მიმართ, რომელიც არ მონაწილეობს კომუნიკაციის პროცესში;

9. ენობრივი აგრესიის ლინგვისტური ბუნების კვლევა სამ საბაზისო საკითხს ეყრდნობა; მანერა, რომელშიც ასეთი ქცევა შეძენილია; ჯილდო ან სასჯელი, რომელიც გავლენას ახდენს მის განხორციელებაზე; სოციალური და გარემო ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოცემულ კონტექსტში მის შესრულებაზე;

10. ვერბალური აგრესია მჭიდრო კავშირშია, და, შესაბამისად, ასახავს კულტურულ ნორმებსა და სოციალურ პრაქტიკას, რომლებშიც ის იბადება და ფუნქციონირებს; აგრესიას სხვადასხვა ერსა და კულტურაში, შესაბამისად, სხვადასხვა ენაში, რომლებზეც ამ ერის წარმომადგენლები საუბრობენ, ჩვენს (აგრესიის გამოვლენის) შემთხვევაში კი, კამათობენ, სხვადასხვაგვარი გამოვლინება და, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი ლინგვისტური მახასიათებელი აქვს. განსხვავება განპირობებულია არა მხოლოდ ისეთი ხილული ელემენტებით, როგორცაა: კულტურა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, რიტუალები და ა.შ., არამედ ისეთი არამატერიალური ელემენტებითაც, როგორცაა: ეროვნული ხასიათი, პიროვნული აგრესია და სხვა. ბუნებრივია, მთარგმნელობითი თვალსაზრისით კომუნიკაციის როგორც ხილული, ისე უხილავი მდგენელების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნებათაშორისი თუ ერთაშორისი, სოციალური დაპირისპირების, კონფლიქტების არსებობის შემთხვევაში;

11. წყარო და სათარგმნ ენებში პარალელური, სინონიმური და სხვა სახის ელემენტების არარსებობისას თარგმნა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. რაც მდგომარეობს ნიუანსურ მიდგომაში, როდესაც მთარგმნელს უწევს იპოვოს გზები, რომლებითაც ის გადმოსცემს განზრახულ აგრესიას, შეინარჩუნებს გრამატიკულ სისწორეს და ტექსტის სათანადო გამართულობას. ეს შესაძლოა გულისხმობდეს თარგმნისას ისეთი ლექსიკური ერთეულების შერჩევას, რომლებიც მაინც ასახავენ ორიგინალის ტონს და განზრახვას, თუმცა, ადრესატისთვის მისაღები ტონით. ასევე, ვერბალური აგრესია ხშირად მიზნად ისახავს ძლიერი ემოციური ან ფსიქოლოგიური რეაქციის გამოწვევას. თარგმნის დროს, ბუნებრივია, მიზანშეწონილია რომ ეს გავლენა არ დაიკარგოს ან შემცირდეს. თუმცა,

რასაკვირველია, კონფლიქტის შემდგომი გაღრმავების თავიდან აცილებაც არსებითად მნიშვნელოვანია აგრესიული ბუნების მქონე კომუნიკაციის შემთხვევაში;

12. აგრესიული შინაარსის თარგმნა ასევე გულისხმობს ეთიკურ პასუხისმგებლობას. თარჯიმანი უნდა იყოს ფრთხილი, რომ არ გააღრმავოს აგრესია ან არ იყოს მიკერძოებული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ დისკურსებში, როგორცაა იურიდიული დოკუმენტები, მედია ან საგანმანათლებლო მასალა, განსაკუთრებით კი, ისეთ სენსიტიურ კონტექსტში, როგორცაა პოლიტიკური დატვირთვის მქონე სოციალური დისკურსი, რომელიც კომუნიკანტთა ყოველდღიურ არსებობასა და საქმიანობაში ვლინდება და სადაც ნათარგმნი ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგები შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადეიშვილი, ქ. „არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში (შეპირისპირებითი ანალიზი. ფრანგული და ქართული ენების მასალაზე)“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013;
2. არაბული, ა. „ქართული მეტყველების კულტურა“, თბილისი, 2005;
3. ბასილაია, ნ. „ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა“, თბილისი. 1991;
4. გოგელია, ნ. "მარიონ დენჰოვის პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზი", თბილისი, 2020;
5. იაკობაძე, ქ., „დრამატურგიული ტექსტის მთარგმნელობითი პარადიგმა (ტენესი უილიამსის პიესის „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია“ რუსული და ქართული თარგმანების მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018;
6. კოპალიანი ა., ბენიძე ს. (თ. გ.). „ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა“;
7. მშვენიერაძე, თ. "დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა პოლიტიკურ დისკურსში", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014;
8. სალია, ი. „ტერმინ "დისკურსის" გაგებისათვის. ტერმინოლოგიის საკითხები, 2018;
9. სვანი, მ. „მედია დისკურსის კონტრასტული ანალიზი (ბრიტანული და ქართული პრესის ახალი ამბების მიხედვით)“, თბილისი, 2017;
10. სოსიური ფ. “ზოგადი ენათმეცნიერების კურსი”, ც.ბიბილეიშვილის თარგმანი, თბილისი, 2002.
11. ფანჯიკიძე, დ., "თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა". თბილისი: "განათლება", 1995;
12. ჯაგოდნიშვილი. ი., ჯაგოდნიშვილი, თ., გაბისონია, ი., გაბელია, ჯ. „ლინგვოკრიმინალისტიკა“, სტუ, თბილისი, 2020;

13. ჩიქობავა, არნ., „ენათმეცნიერების შესავალი“. თბილისი: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018;
14. ჭიჭინაძე, კ. "აგრესია; აგრესის ეთოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური გამოვლინებები და მექანიზმები". თბილისი: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010;
15. ხახუტაიშვილი, მ; ცეცხლაძე, ნ;. "სტილისტიკა", გამომც."ივერიონი", თბილისი, 2014;
16. Adamzik, K. "Sprache: Wege zum Verstehen". Tübingen/Basel: Francke. 2004;
17. Ana Guerra, F. "Translating culture: problems, strategies and practical realities. Journal of literature, culture and literary translation, Art and Subversion", 2012;
18. Auer, P. "Sprachliche Interaktion". Eine Einführung anhand von 22 Klassikern. Tübingen: Niemeye. 1999;
19. Bakai, Y. I. "Psycholinguistic peculiarities of verbal aggression in English Political Discourse". Academic Journal of Nawroz University, 11(2), 2022;
20. Baker, M. "Meaning-Based Translation: A Guide to Cross-Language Equivalence". Lanham and New York: University Press of America, 1992;
21. Bakhtine M. (1984) "Esthetique de la création verbale", trad.fr. Paris, Seuil;
22. Bandura, A., "Social Cognitive Theory: An Aggentive Perspective", 2001;
23. Benveniste, E. "Probleme de linguistique generale", Paris: Editions Gallimars, 1966;
24. Berkowitz, L. " Aggression: Causes, Consequences and Control.", 2002.
25. Busse, D. "Historische Diskurssemantik". Ein linguistischer Beitrag zur Analyse gesellschaftlichen Wissens, 2000;
26. Busse, D; Teubert W. "Ist Diskurs ein sprachwissenschaftliches", 1994;
27. Catford, J. "Translation: application and research". New York: Gardner Press Inc., 1965;
28. Dodge, K.A., Coie, J.D. "Social information-processing factors in reactive and instrumental aggression in children's playgroups", Journal of Personality and Social Psychology №53, 1987;

29. Fairclough, N. "Critical Language Awareness", London: Harlow , 1992;
30. Foucault, M. "Archäologie des Wissens". Übersetzt von Ulrich Köppen, Frankfurt, a.M.: Suhrkamp, 1981;
31. Fraas, C. "Bedeutungskonstitution im Diskurs – Intertextualität über", 1996;
32. Freud S., Das Ich und Das Es, Band 13 // Gesammelte Werke, Bände 1-17. Frankfurt, S. Fischer Verlag, 1960.
33. Gee, J. P. "an introduction to discourse analysis, theory and method". London: Routledge, 1999;
34. Hartono, R. "Cultural Aspects in Translation (A Multicultural Perspective Based on English, Indonesian and Local Languages Context)". 2nd English Language Teaching, Literature and Translation International Conference (pp. 2-15). Semarang: Semarang State University, 2013;
35. Jäger, S. "Kritische Diskursanalyse". Eine Einführung. Duisburg: Duisburger; Institut für Sprach- und Sozialforschung (DISS-Studien);, 1993;
36. Kade, O. "Kommunikationswissenschaftliche Probleme der Translation". Leipzig, 1968;
37. Khan Taaren, M. /. "Hate Speech and social media: A Systematic Review". Turkish Online Journal of Qualitative Inquiry, 12(8), 2021;
38. Krysin, L. "Euphemisms in the modern Russian language / Russian language of the late XX century", 1996;
39. Kuzyk, O. "Stages of linguistic analysis underlying the study of aggressive communicative-pragmatic intentions in the English-language political discourse of mass-media", 2013;
40. (Lorenz K.) Лоренц К. Агрессия (так называемое "зло"), М., Изд. гр. "Прогресс", 1994.
41. Maingueneau, D. "Analyse du discours et ses frontières". Marges Linguistiques (p. 645), 2005;
42. Melnychenko, I. "Approaches to definition of verbal aggression in political discourse". Science and Education a New Dimension(177), 2018;

43. Nababan, M. ("Translation processes, practics and products of proffesional Indonesian Translators". New Zealand: Victoria Univ of Wellington, 2004;
44. Newmark, P. "Approaches to translation". Oxford: Pergamon press, 1988;
45. Newmark, P. "Text book of Translation". Oxford: Pergamon Press, 1988;
46. Nida, E. & Taber C., "The theory and practice of translation". Leiden: E.J. Brill. 1969;
47. Nida, E. "Principles of Correspondence". London: Routledge, 1964;
48. Nielson, J. "Designing Web Usability. Indianapolis": New Riders Publishing, 2000;
49. Parris, K. slideshare.net. slideshare.net: <https://www.slideshare.net/KeishaParris/discourse-types> - მოძიებულია 05 თებერვალი, 2022;
50. Paveau, M.A., Sarfati, G.E. "Les Grandes theories de la lingustique". Paris: Collin, 2003;
51. Sauer, C. "Der aufdringliche Text. Sprachpolitik und NS-Ideologie in"., 1998;
52. Silvana Neshkovska and Sonja Kitanovska. researchgate.net. მოძიებულია 03 იანვარი, 2022, researchgate.net: <https://www.researchgate.net/publication/32921365>;
53. Vinay, J.-P., & Darbelnet, J. (1958). "Comparative Stylistics of French and English; A Metodology For Translation". მოძიებულია 08 იანვარი, 2022, <https://edisciplinas.usp.br/>: https://edisciplinas.usp.br/pluginfile.php/17199/mod_resource/content/1/09_Vinay_e_Darbelnet.pdf;
54. Warnke, I. (2000b) "Texte in Texten – Poststrukturalistischer Diskursbegriff und Textlinguistik". In: Adamzik, K. (Hg.). "Texte – Diskurse – Interaktionsrollen. Analysen zur Kommunikation im öffentlichen Raume", I. "Adieu Text – bienvenue Diskurs? Uber Sinn und", 2002;
55. Wichter, S. "Gespräch, Diskurs und Stereotypie", 1999;

56. Wingfield, J.C., Moore, I.T., Goymann. W., Wacker, D.W. "Context and Ethology of Vertebrate Aggression: Implications for the Evolution of Hormone-Behaviour Interactions. In Biology of aggression", Oxford University Press, 2006;
57. Wittgenstein, L."The Blue and Brown Books". Oxford: Oxford: Blackwell, 1958;
58. Woods, N. "Describing Discourse; A practical guide to discourse analysis". London: Hodder Education, 2006
(https://books.google.ge/books?id=u8qOAwAAQBAJ&printsec=copyright&redir_esc=y#v=onepage&q&f=false)
59. Боловин, Ю. С."Словарь психолога практика", 2005;
60. Будагов, Р. А."Введение в науку о языке". М., 1958;
61. Воронцова, А. Т. "Речевая агрессия в современной культуре". Челябинск, 2005;
62. Воронцова, А. Т. "Речевая агрессия: коммуникативно-дискурсивный подход". Челябинск: дис. канд. наук, 2006;
63. Воронцова, Т. речевая агрессия в коммуникативно-дискурсивной парадигме. ВЕСТНИК ВГУ,(1), 2006;
64. Гаврилова, М. В. "Лингвистический анализ политического дискурса", 2002;
65. Демьянков, В. З. "Политический дискурс как предмет политологической филологии", 2002;
66. Енина, Л. В."Речевая агрессия и речевая толерантность в средствах массовой информации", 2002;
67. Ефимов А. И., "Стилистика русского языка". М., 1969;
68. Жельвис, В. И. "Поле Брани". Сквернословие как социальная проблема в языках и культурах мира, 1997;
69. Иванов А. О., Безэквивалентная лексика. СПб.: СПбГУ, 2006;
70. Комиссаров, В. "Лингвистические модели процесса перевода", 1972;

71. Комиссаров В. Н., Коммуникативные концепции перевода // Перевод и коммуникация. М., 1997;
72. Кожина, М. "Стилистический энциклопедический словарь русского языка", 2003;
73. Кусов, Г. В. "Оскорбление как лингвокультурный концепт". Волгоград: автореферат дис. канд. наук. 2004;
74. Лилова, А. "Введение в общую теорию перевода", 1985;
75. Левина, И. , "Агрессивность - свойство личности или показатель её дезадаптации?", Психосфера, №5, 1999 - https://gilbo-ru.translate.google/index.php?page=psy&art=1120&_x_tr_sch=http&_x_tr_sl=ru&_x_tr_tl=en&_x_tr_hl=en&_x_tr_pto=sc;
76. Мурат В. П., "Об основных проблемах стилистики". М, 1957;
77. Рецкер, И. "Теория перевода и переводческая практика. Очерки лингвистической теории перевода", 1974;
78. Седов, К. Ф. "Речевая агрессия в современной культуре". Челябинск. 2005;
79. Сергеевна М.В. "Особенности Речевой агрессии в СМИ (На материале Англо и Русскоязычных масс-медиа)". Белгород, 2017;
80. Синеокая, Н. А. "Характеристика политического дискурса". Современные проблемы науки и образования. № 6;, 2012;
81. Синеокая, Н. А. "Характеристика политического дискурса", 2012;. <https://science-education.ru/ru/article/view?id=7695> - მოძიებულია 09 მაისი, 2022;
82. Шейгал, Е.И. "Вербальная агрессия в политическом дискурсе" / Вопросы стилистики, Саратов, 1999;
83. Щербинина, Ю. В., & Флинта М. „Русский язык. Речевая агрессия и пути ее преодоления“. В Ю. В. Щербинина, „Русский язык. Речевая агрессия и пути ее преодоления“, 2004;
84. Якобсон, Р. (1978). "Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике".
85. [www.iwaminda.wordpress.com.](http://www.iwaminda.wordpress.com), [https://iwaminda.wordpress.com:](https://iwaminda.wordpress.com) <https://iwaminda.wordpress.com/ზოგადი-ენათმეცნიერება/ენა-და-მეტყველება> - მოძიებულია 28 იანვარი, 2023 წ.;

86. www.bade.ge., <https://bade.ge/topic/5881-agresia/> - მოძიებულია 11 იანვარი, 2023წ.

ემპირიული მასალის ლინკები

1. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=515093940228032> – 31 მარტი, 2022;
2. <https://www.facebook.com/TvMtavari/posts/896568558379922> - 31 მარტი, 2022;
3. <https://imedinews.ge/ge/msoflio/244009/boris-jonsoni-ukrainashi-tsetskhlis-shetskveta-chven-mier-datsesebuli-sanqtsiebis-mokhsnis-sapudzveli-ver-igneba?fbclid=IwAR3VRqx18zsVJ59d1vep5uBBjaa10rAYtG8PwGIaziEXErHv5a8iSvvxVs0> - 29 მარტი, 2022;
4. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=1324398724737169> – 29 მარტი, 2022;
5. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=3279239232306637> – 29 მარტი, 2022;
6. <https://www.facebook.com/VanosShow/videos/522771915904479> - 25 მარტი, 2022;
7. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=297928162440022> – 28 მარტი, 2022;
8. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=519556039762531> – 26 მარტი, 2022;
9. <https://www.facebook.com/photo/?fbid=1634174876958971&set=gm.250769450596101> – 26 მარტი, 2022;
10. <https://www.facebook.com/ugulavageorge/posts/4985304208229892> – 23 მარტი, 2022;
11. <https://www.facebook.com/natelashvilishalva/posts/499219118314251> – 14 მარტი, 2022;

12. <https://www.facebook.com/TvMtavari/posts/873074424062669> - 11 მარტი, 2022;
13. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=986477165312357> – 27 თებერვალი, 2022;
14. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=532984588058548> – 26 თებერვალი, 2022;
15. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=3187523808136282> – 26 თებერვალი, 2022;
16. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=243181011355844> – 26 თებერვალი, 2022;
17. <https://www.facebook.com/TvMtavari/posts/857030642333714> - 26 თებერვალი, 2022;
18. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=380520853886046> – 25 თებერვალი, 2022;
19. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=403364401559297> – 25 თებერვალი, 2022;
20. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=5125182170875104> – 25 თებერვალი, 2022;
21. <https://www.facebook.com/TvMtavari/posts/856139439089501> - 25 თებერვალი, 2022;
22. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=678318066822520> – 25 თებერვალი, 2022;
23. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=359679476167809> – 24 თებერვალი;
24. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=231655429096958> – 24 თებერვალი, 2022;
25. https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=995375854404727 – 24 თებერვალი, 2022;
26. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=1513989912335970> – 24 თებერვალი, 2022;

27. <https://www.facebook.com/athomegeorgia/posts/465849508412980> - 24
თებერვალი, 2022;
28. <https://www.facebook.com/tabula.ge/posts/5202084813153872> - 03
დეკემბერი, 2021;
29. <https://www.facebook.com/ugulavageorge/posts/4589203417839975> - 26
ნოემბერი, 2021;
30. <https://www.facebook.com/ugulavageorge/posts/4454590157967969> - 14
ოქტომბერი, 2021;
31. <https://www.facebook.com/SaakashviliMikheil/posts/402016561293947> - 02
ოქტომბერი, 2021;
32. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=1009813879858237> - 31
აგვისტო, 2021;
33. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=4548802618466194&id=131906986822468 - 14 ივლისი, 2021;
34. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=507551786984682> - 12
ივლისი, 2021;
35. <https://www.facebook.com/SaakashviliMikheil/posts/347680803394190> - 09
ივლისი, 2021;
36. https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=330106385477744 - 08 ივლისი, 2021;
37. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=822690448619785> - 06
ივლისი, 2021;
38. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=515527506361042> -06
ივლისი, 2021;
39. https://mtavari.tv/news/49543-mtavrobis-gantskhadebebma-caakhalisa-dzaladoba?fbclid=IwAR0s3Cwp9MCfXkuwrUpVNPoMXuBJrsNNyUTUvbMvzRxLPD9AgqyHIM9_QgI - 06 ივლისი, 2021;
40. <https://mtavari.tv/news/49549-sakhelmcipom-unda-daitsvas-gamokhatvis?fbclid=IwAR3ur-Z78Z64t4Gld8FMflitQJREA8kwjCq9jbeBdAHXtZAZfRNHmyY-SFk> - 06 ივლისი, 2021;

41. <https://mtavari.tv/news/49558-aktsiaze-politsia-mokmedebda-im-parglebshirats?fbclid=IwAR2Kl1sIuBig8E3k0dYIYiXgxWCUHYnaZ9gx-kDI0GnROlg-quqOIOtg3iU> – 06 ივლისი, 2021;
42. <https://mtavari.tv/news/49596-vgmob-msgavs-kmedebes-es-adamianis-uplebebis?fbclid=IwAR2KQ0Q8s3YVIXcjpsspwmKcsmaZiUAsDS2p1e4Hh5J1fNDIQu5XpLzdH81k> – 06 ივლისი, 2021;
43. <https://www.facebook.com/TvMtavari/posts/671557634214350> - 06 ივლისი, 2021;
44. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=138517295034440> – 06 ივლისი, 2021;
45. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=4108845779229374> – 05 ივლისი, 2021;
46. <https://megatv.ge/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B/?fbclid=IwAR1H55wNDS22v3KSsKjzPKNu1bVWnJZ42oULIH1 2VuTMD4do uPcaMkwo8o> – 05 ივლისი, 2021;
47. https://mtavari.tv/news/49512-rotsa-kartuli-otsneba-ar-gmobs-damnashavees-es?fbclid=IwAR3a6mKJppf-aPW7EUJ_Qg1OXyVZvBm9hEMT_0rEnPWeytPx-TXDUm_aCq4 – 05 ივლისი, 2021;
48. <https://mtavari.tv/news/49513-bbc-reuters-guardian-euronews-msoplios-camqvani?fbclid=IwAR2UMPHW7HMk9XKZTBebS8wqGx7DGIB8U36MrCJqdoJ4ABrHouALtGr6cDM> – 05 ივლისი, 2021;
49. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=228723665596617> – 05 ივლისი, 2021;
50. <https://www.facebook.com/TvMtavari/videos/548056519549465> – 05 ივლისი, 2021;

51. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=4663757443653202> – 05
 ივლისი, 2021;
52. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=346952393554526> – 05
 ივლისი, 2021;
53. <https://www.facebook.com/totalsportgeo/posts/971525736722114> - 02
 ივლისი, 2021;
54. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=4411119608901163&id=131906986822468 – 27 მაისი, 2021;
55. <https://www.youtube.com/watch?v=P4gQN5X-Vsg> – 01 აპრილი, 2021;
56. <https://www.facebook.com/tabula.ge/posts/4428388563856838> - 01 აპრილი,
 2021;
57. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=1351472111876413> – 29
 მარტი, 2021;
58. <https://www.facebook.com/nika.gvaramia.129/posts/1819362238232094> - 22
 მარტი, 2021;
59. <https://www.facebook.com/IurisprudenciaGeorgia/posts/1398204657211454> -
 17 მარტი, 2021;
60. <https://www.facebook.com/ugulavageorge/posts/3807790235981301> - 09
 მარტი, 2021;
61. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=422126038883281> – 07
 მარტი, 2021;
62. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=189381652961580> – 07
 მარტი, 2021;
63. <https://www.facebook.com/eka.kvesitadze.7/posts/10158332410312701> - 07
 მარტი, 2021;
64. <https://www.facebook.com/nika.gvaramia.129/posts/1806546186180366> - 07
 მარტი, 2021;
65. <https://www.facebook.com/IurisprudenciaGeorgia/posts/1390663814632205> -
 07 მარტი, 2021;

66. <https://www.facebook.com/eka.kvesitadze.7/posts/10158330821947701> - 06
მარტი, 2021;
67. https://www.interpressnews.ge/ka/article/644423-aluda-gudushauri-chveni-oponentebi-radikalur-nabijebis-aanonseben-romelic-xels-ar-ucqobs-deeskalacias-sharl-mishelis-mocodeba-namdvilad-quradsagebia-chveni-oponentebistvisac/?fbclid=IwAR0cFrtzc-sKiCcQSmZW84gfH_RUhUJzG1M6XnO8LFSPGxFnB4iMw752vs – 01 მარტი, 2021;
68. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=2623112277981054> – 27
თებერვალი, 2021;
69. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=2733184780139785&id=432762766848676 – 27 თებერვალი, 2021;
70. <https://www.facebook.com/eka.kvesitadze.7/posts/10158314382112701> - 27
თებერვალი, 2021;
71. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1124102311395162&id=194165114388891 – 23 თებერვალი, 2021;
72. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=181623003767511> – 23
თებერვალი, 2021;
73. <https://www.facebook.com/eka.kvesitadze.7/posts/10158305115317701> - 23
თებერვალი, 2021;
74. https://formulanews.ge/News/45950?fbclid=IwAR2ZsHe3TQKBHG4tEiqOLEP_HR5mK9cXzXvBrkWam_awSTPRc04Fb3DLv03Y – 23 თებერვალი, 2021;
75. https://www.washingtonpost.com/world/europe/georgia-opposition-arrested-melia/2021/02/23/fe20a7ee-75b0-11eb-9489-8f7dacd51e75_story.html?fbclid=IwAR0ag3R48m_mKQFYvGnXm2SuG4-nSuBkz0pzLhgb8c4CYMZ59PD_76qWz-E – 23 თებერვალი, 2021;
76. <https://mtavari.tv/news/33458-chven-mat-gverdit-vdgavart-vints-sakartveloshi?fbclid=IwAR2vF-HgK8BY-27pafw-96dj2isqs7vaQjl9-Tnlh3OOQ8PmqdMVgDFjkEUA> – 23 თებერვალი, 2021;
77. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=10159003578417488&id=6984867487 - 23 თებერვალი, 2021;

78. <https://www.facebook.com/david.zurabishvili/posts/10225055161751326> - 23
თებერვალი, 2021;
79. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=10159019663887954&id=55448127953 – 23 თებერვალი, 2021;
80. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=3637380722977427> – 23
თებერვალი, 2021;
81. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=430633378362948> – 22
თებერვალი, 2021;
82. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=829130090970291> – 22
თებერვალი, 2021;
83. <https://www.facebook.com/ugulavageorge/posts/376024769740222> - 21
თებერვალი, 2021;
84. https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=855977294970710 – 19 თებერვალი, 2021;
85. https://www.foreign.senate.gov/press/ranking/release/risch-shaheen-georgian-political-parties-must-de-escalate-reengage-in-negotiations?fbclid=IwAR0cFrtzc-sKiCcQSmZWW84gfH_RUhUJzG1M6XnO8LFSPGxFnB4iMw752vs – 19 თებერვალი, 2021;
86. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=432565777822413> – 17
თებერვალი, 2021;
87. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=808957543301643> – 17
თებერვალი, 2021;
88. <https://www.facebook.com/nika.gvaramia.129/posts/1793958947439090> - 17
თებერვალი, 2021;
89. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=235085984962604> – 17
თებერვალი, 2021;
90. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=2792610370978807> – 17
თებერვალი, 2021;
91. <https://www.facebook.com/nika.gvaramia.129/posts/1792966000871718> - 16
თებერვალი, 2021;

92. <https://ajaratv.ge/article/71854?fbclid=IwAR2vF-HgK8BY-27pafw-96dj2isqs7vaQjl9-Tnlh3OQ8PmqdMVgDFjkEUA> – 16 თებერვალი, 2021;
93. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=4109795069033620&id=131906986822468 – 16 თებერვალი, 2021;
94. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=4023384661007995&id=131906986822468 – 15 იანვარი, 2021;
95. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=4001924103154051&id=131906986822468 – 07 იანვარი, 2021;
96. <http://www.yasu.am/files/%20агрессия%20как%20предмет%20лингвистических%20научных%20исследований.pdf> – 26 ნოემბერი, 2021.